საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
27 დეკემბერი, 2017 - 16 იანვარი, 2018
№48 (424)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2018 წლის 17 იანვარს

## «საქართველოს დღევანდელ აქტიურ პოლიტიკაში არ მეგულება ადამიანი, რომელიც ამერიკელებისთვის არ მუშაობს» 2




„წინა ხელისუფლება თვითონ წვრთნიდა და ამზადებდა სადღაც გადასასროლად მათ, ვის წინააღმდეგაც მერე ე.წ. ლაფანყურის სპეცოპერაციის ჩატარება გახდა საჭირო“

## ვადაგასული მარიონეტი 4



«ნარკოტიკების ლეგალიზაციას ყველაზე მეტად ითხოვენ ლესბოსელები, გეები, ბისექსუალები, ტრანსვესტიტები და კიდევ ათასი ჯურის კეთილმოტ...ლი. არა, ბატონო პრემიერო?!» 5



7 «ეკუმენისტი ბართლომეს საქმე არ არის, საქართველოს პატრიარქი სად ჩავა და რას მოიმოქმედებს»



ვახტანგ გვარამია: 10

## ედუარდ შევარდნაძის ბრალია აფხაზეთში ომის უმიზეზოდ, უნიათოდ, უმიზნოდ, უხერხემლოდ დაწყებაც და დასრულებაც





მთვრალი პოეტები, ჰიჯაბიანი ქალები და «ბუღაძისტების დასი» 16



მამა ვახტანგი (დავითაშვილი):

## უნდა შევეწინააღმდეგოთ ქვეყანაში უზნეობისა და სოდომიის გავრცელებას

«უმეტესობა, ვისაც მარიხუანის დაკანონება უნდა, მისი მომხმარებელია. რა გამოდის? იმის გამო, რომ მან «დაბოლილმა» მშვიდად იაროს ქალაქში, ჩვენი შვილები და მომავალი თაობა შიშის ქვეშ უნდა გვყავდეს?» 8

12 «სტრატეგიული მოკავშირის» კრახი გაეროში და რისხვა, რომელიც საქართველოს მთავრობას თავს დაატეხეს

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 54 ათასი ინტრავენური ნარკომანი გვყავს. არაოფიციალურად — გაცილებით მეტი 15

გამოგონილი ქვეყანა ბინომო, სპეისის ხელი პოროშენკოს მუხლზე და გაეროში აშშ-ის წარმომადგენელი 13



# ეს არის თავისუფლება?! 6

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში მე რომ შევხვდე, ვთქვათ, რუსეთის რეზიდენტს და ეს დაინახონ, დამიჭერენ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურთან ურთიერთობისთვის, მაგრამ კრებსით ბოკერიებს, ხიდაშელებს ტაშს დაუკრავენ იმისთვის, რომ შეხვდნენ ამერიკის რეზიდენტს, რათა მისგან მიიღონ ინსტრუქციები. სამწუხაროდ, ეს ასეა“.**

### ვალერი ხაბურძანია:

# საქართველოს დღევანდელ აქტიურ პოლიტიკაში არ მეგულება ადამიანი, რომელიც ამერიკელებისთვის არ მუშაობს

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა სკანდალური მასალა, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, როგორ მუშაობენ დიპლომატიური საფარველის ქვეშ ამერიკელი მზვერავები და როგორ თანამშრომლობენ მათთან ქართველი პოლიტიკოსები, მაგრამ ამის შესახებ ხმას არავინ იღებს. ნიშნავს თუ არა ეს დუმილი იმას, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც „სტრატეგიული პარტნიორის“ მითითებების მორჩილი შემსრულებელია და რატომ არ აქვს რეაქცია საზოგადოებას პოლიტიკური ისტებლიშმენტის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე? ჩვენ უშიშროების ყოფილ მინისტრს, ვალერი ხაბურძანიას, ვესაუბრეთ, რომელმაც კონკრეტული ფაქტები გვიამბო, როგორ ერეოდა ამერიკის საელჩო ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მმართველობაში.**



**— ბატონო ვალერი, „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა მასალა საქართველოში ამერიკის გავლენის აგენტებზე. მასალაში საუბარია იმაზე, როგორ მუშაობენ დიპლომატიური საფარველის ქვეშ ამერიკელი მზვერავები და როგორ თანამშრომლობენ მათთან ქართველი პოლიტიკოსები. მაგალითად, სტატიაში ვკითხულობთ: „რამდენიმე შეკითხვას დავუსვამ ქალბატონ თინა ხიდაშელს, ბატონებს — ბოკერიასა და უსუფაშვილს: ხშირად ხვდებოდით თუ არა საქართველოში აშშ-ის საელჩოს სამხედრო ატაშეს, პოლკოვნიკ ჯეფრი ჰარტმანს, რომელიც უზბეკეთის საელჩოდან გადმოიყვანეს საქართველოში და რომელიც ოფიციალურად თანამშრომლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, მაგრამ რისთვის შეხვდით მას თქვენ — თავდაცვის ყოფილი მინისტრი, უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე?“ რას იტყვით ამ საკითხზე?**

— როგორც იტყვიან, საუკუნეა, რაც **დათო უსუფაშვილს** ვიცნობ, **თინა ხიდაშელსაც** — დაახლოებით ასე, **გიგა ბოკერიასაც** ვიცნობ. ეს ადამიანები ორიენტირებულნი არიან ამერიკაზე, იქ მიიღეს განათლება, მათთვის პოლიტიკური კარიერის შექმნაში ამერიკას დიდი წვლილი მიუძღვის. ისინი მხოლოდ ამერიკის ჭრილში ხედავენ საქართველოს მომავალს, ხვდებიან ისეთ ადამიანებს, როგორიც, მაგალითად, **ჯეფრი ჰარტმანია**, და ატარებენ მათ პოლიტიკას.

**— რას ნიშნავს მათი პოლიტიკის გატარება? ნიშნავს თუ არა ეს უცხო ქვეყნის ინტერესების მსახურებას და ჯაშუშობას?**

— ეს ადამიანები ამით ცხოვრობენ, ამ აზრზე არიან, ასე ჩამოყალიბდნენ. შესაძლოა, ხვდებიან, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ, როგორც იტყვიან, „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“... უფრო **დავით უსუფაშვილს** ექნება, ალბათ, ასეთი განცდა, ვიდრე ბოკერიას ან თინას, რადგან **ისინი ცნობიერებით უფრო ამერიკელები არიან, ვიდრე ქართველები. დღეს ჩვენს ქვეყანაში ამერიკის ინტერესების გატარება არ ითვლება კრიმინალად. საზოგადოების დიდ ნაწილსა და პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ჩამოყალიბდა მიდგომა, რომ ამერიკული ინტერესები — ეს არის სწორი და მართალი ინტერესები. ამერიკის კატეგორიული ტონი, შანტაჟი არის იმის მიზეზი, რომ გაეროში იერუსალიმის საკითხის განხილვისას ჩვენი წარმომადგენელი დაიმალა.** დიდ პატივს ვცემ ებრაელ ხალხს და მათი გულშემატკივარი ვარ, მაგრამ, როდესაც დიდი პოლიტიკა საფრთხეს უქმნის შენს სახელმწიფოს, უნდა გეყოს ჭკუაც და გამბედაობაც, მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შენი ქვეყნის ინტერესებს არ დააზარალებს.

სამწუხაროდ, დღეს ამერიკელები ფართოდ არიან წარმოდგენილნი ქართულ პოლიტიკაში და ისეთი ვითარება შეიქმნა, რთული განსასაზღვრიც კია, სად არის ქართული სახელმწიფოს ინტერესი და სად — ამერიკის. როგორც აღვნიშნე, **პოლიტიკური ისტებლიშმენტი თვლის, რომ დასავლური ღირებულებები, ორიენტაცია არის სწორი და მისგან გადახვევაა კრიმინალი. დანაშაულად თვლიან, აგრეთვე, სხვაგვარ აზროვნებას.** ფაქტია, რომ ბოლო 25 წლის განმვლობაში ამ მოქმედებამ და აზროვნებამ შედეგი ვერ გამოიღო. ახლა ზოგიმა შეიძლება კითხვა ასე შემომიბრუნოს: „რა, რუსეთთან 200-წლიანმა ურთიერთობამ გამოიღო შედეგი?“ გეტყვით, რომ **დიახ, რუსეთთან 200-წლიან ურთიერთობას შედეგი ჰქონდა.** მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლით ეს ურთიერთობა ცუდად დასრულდა, მაგრამ ცუდად დასრულდა არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ რუსეთისთვისაც. მერე რა გზასაც დავადექით, აგერ უკვე 25 წელია, ვუყურებთ და შედეგი არ ჩანს. **ჩვენი საბოლოო ამოცანაა, საქართველო რეგიონში ანგარიშგასაწევი ქვეყანა გახდეს, განვითარებული ეკონომიკით და, რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობით, მაგრამ ამის გარანტიას არც ამერიკა იძლევა და არც ევროპა. ერთადერთი გზა ისევ რუსეთზე გადის,** მაგრამ იქ დაბრუნება ძალიან რთულია, რადგან საზოგადოების დიდ ნაწილს ტვინი აქვს გადაბრუნებული და ყველაფერი დამყარებულია ზედაპირულ მოსაზრებებზე, რომ ამერიკა კარგი ქვეყანაა, რუსეთი კი — ცუდი, რადგან ჩვენს დაბრუნებას ცდილობს საზიზღარ საბჭოთა კავშირში და, როცა ასეთი პრიმიტიული აზროვნებაა ქვეყანაში დომინანტი, რთულია საკითხის ჯანსაღად განხილვა. თემას რომ დავუბრუნდეთ, გეტყვით, **საქართველოში მე რომ შევხვდე, ვთქვათ, რუსეთის რეზიდენტს და ეს დაინახონ, დამიჭერენ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურთან ურთიერთობისთვის, მაგრამ კრებსით ბოკერიებს, ხიდაშელებს ტაშს დაუკრავენ იმისთვის, რომ შეხვდნენ ამერიკის რეზიდენტს, რათა მისგან მიიღონ ინსტრუქციები. სამწუხაროდ, ეს ასეა.**

**«წინა ხელისუფლება თვითონ წვრთნიდა და ამზადებდა სადღაც გადასასროლად მათ, ვის წინააღმდეგაც მერე ე.წ. ლაფანყურის სპეცოპერაციის ჩატარება გახდა საჭირო»**



**— ისრაელის საკითხზე ამერიკის შანტაჟი ახსენეთ, ნიშნავს თუ არა ეს ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას?**

— ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენ ქვეყნად არ გვთვლის და, აქედან გამომდინარე, უხეშადაც არ ერევა ჩვენს საშინაო საქმეებში.

**— რას ნიშნავს ქვეყნად არ გვთვლის?**

— ასეა! ვაშინგტონისთვის აპრიორია, რომ ჩვენ, როგორც კოლონია, უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც სურს ამერიკას, რადგან ისინი „გვეხმარებიან“ და გვაძლევენ მიმართულებას „დემოკრატიის განვითარებაში“ და ა.შ. „დემოკრატიის შუქურა“ ხომ ვიყავით, საქართველოში ბუში რომ იყო ჩამოსული. ერთმა სომეხმა ბიჭმა ხელნაკეთი ყუმბარა ბოლომდე რომ ვერ ისროლა, გადარჩა ჩვენი „დემოკრატიის შუქურაც“ და პრეზიდენტებიც. ახლა მთლად შუქურის დონეზე ვერ ვქაჩავთ, მაგრამ მაინც არ გვერჩიან, სანამ მათ ინტერესებში ვჯდებით და, როგორც კი ინტერესის სფეროდან ამოვვარდებით, ნახავთ, რა საზიზღარი ქვეყანა გახდება მათთვის საქართველო.

**— დღეს ქილიკობენ, საქართველოში აშშ-ის ელჩის, იან კელის, ნებართვის გარეშე დამლაგებელიც არ ინიშნება... რა ხდებოდა, როცა თქვენ იყავით უშიშროების მინისტრი? ერეოდა ამერიკის საელჩო მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში?**

— სამი თუ ოთხი დღის დანიშნული ვიყავი, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელი მოვიდა ჩემთან და მაგიდაზე ხელები მიბრახუნა იმის გამო, რომ არ მივეცი უფლება, ჩაეტარებინათ სპეცოპერაცია, რომელიც, დიდი ალბათობით, დიდი მსხვერპლით დასრულდებოდა. რომ ვკითხე, სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ პროკურატურამ თუ იცის-მეთქი, მიპასუხა პროკურატურა რა შუაშია, ამერიკის საელჩოს წარმომადგენელმა იცისო... ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი ვინ არის, არ წერია, საპროცესო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. მას აქვს ბრძანების გაცემის უფლება თუ რა? — როგორც კი ეს კითხვა დავსვი, ზუსტად ერთ საათში ნასვამ მდგომარეობაში მოვიდა აშშ-ის დაზვერვის რეზიდენტი, ბატონი **უილიამ მური**, ეს იყო მისი სახელი და გვარი, რუსულად კარგად ვერ საუბრობდა და ასე მკითხა: „Вы почему не уважать интереси мая страна?“ ვუპასუხე, რომ, პირველ რიგში, ჩემი ქვეყნის ინტერესებს ვცემდი პატივს. მასაც ვუთხარი, რომ ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად საჭირო იყო პროკურატურის თანხმობა და პროცედურული საკითხების დაცვა. **დამოუკიდებელი ქვეყნის მინისტრი ვარ და უნდა ვიცოდე, რა ოპერაციას გეგმავს ამერიკის საელჩო ჩვენს ქვეყანაში პროკურატურის გვერდის ავლით-მეთქი.** მესამე დღეს, პატარა ბავშვს რომ გალახავენ და მამას მოიყვანს, ისე მომიყვანა ამერიკის ელჩი **რიჩარდ მაილსი** და მანაც დაახლოებით იგივე განმიცხადა. ჩემი პასუხიც პრინციპული იყო, მაგრამ ძალიან მალე იმდენი პრობლემა შემიქმნეს, რომ იძულებული გავხდი, რალაცები დამეთმო.

**— რას გულისხმობთ?**

— დავიწყე მათთან თამაში და ვცდილობდი, ვითარების ისე წარმოჩენას, თითქოს ყველაფერს ვაკეთებდი, რასაც ისინი ითხოვდნენ.

**— ახერხებდით?**

— 12 ხელმძღვანელი ჰყავდა საქართველოს უშიშროების სამსახურს ჩემამდე, მე მეცამეტე ვიყავი. **ალექსი ინაურმა** იმუშავა 30 წელიწადს, **ვახტანგ ქუთათელაძემ** — 3 წელიწადს, მე- ▶

**«იმხანად ძალიან მნიშვნელოვანი იყო პანკისის ხეობა და იმისთვის, რომ იქ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მქონოდა, რაღაც მიმართულებებს, მაგალითად, კონტრდაზვერვას, ამერიკელები განაგებდნენ. მეტსაც გეტყვით, როდესაც ჩემთან რუსი კოლეგები ჩამოდიოდნენ, ამერიკელების მიერ მართული გარე მეთვალყურეობის სამსახური დაგვდევდა... მე ვიცოდი, რომ გარე მეთვალყურეობის სამსახური მითვალთვალებდა. ასეთი ვითარება იყო იმ პერიოდში, როცა მე ვიყავი უშიშროების მინისტრი»**

# „სააკაშვილს, სახურავზე რომ დარბოდა, ნახეთ, რა საათი ეკეთა? — უძვირესი შვეიცარიული საათი და სად, რა ფასად ყიდულობს ამ საათებს? ასე რომ, ფუფუნების მოყვარულ სააკაშვილს ახლა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის, გარემოცვა აფინანსებს მხოლოდ იმისთვის, რომ იყოს ბუნტი და სააკაშვილი ბუნტის მოწყობაში აკეთებს ფულს“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სამე ადგილზე გახლდით მე — 2 წლისა და 2 თვის განმავლობაში ვიმუშავე. ძალიან რთული იყო ყოველთვის ლავირება, მაგრამ ბევრი რამის გაკეთება ისე შევძელი, როგორც სწორად ვთვლიდი. ამ ვითარების გაძლება ძალიან რთული იყო, მით უმეტეს, უწყებაში მყავდა კონკურენტები, რომლებსაც ამერიკელები თავიანთ ფავორიტებად მიიჩნევდნენ.

**— ვის გულისხმობთ?**

— **ირაკლი ალასანიას,** რომელიც ამერიკელების მიერ იმთავითვე იყო მომზადებული, როგორც საქართველოს დაზვერვის ხელმძღვანელი.

**— რა დირექტივებს იღებდით ამერიკის საელჩოსგან?**

— ამერიკელები აბსოლუტურად გაუაზრებელ და საქართველოს ინტერესებისგან სრულად გამოშიგნულ დირექტივებს გვაძლევდნენ. მაგალითად, პანკისში ჩასატარებელი იყო სპეცოპერაცია, რომლის არც საშუალება გვქონდა და არც გამოწვეული შედეგის განეიტრალების შესაძლებლობა. ამერიკის საელჩომ გამოგვიგზავნა სპეციალისტი, ექსპერტი და ვიეტნამის ომის მონაწილე. ერთი თვე ვატარეთ პანკისში. მას უნდა დაეგეგმა ოპერაცია იქ მყოფი არაბების წინააღმდეგ. ერთი თვის თავზე ამ კაცმა მოიტანა „გენიალური“ იდეა, რომ პანკისის ხეობაში უნდა დაგვეყენებინა „გაი“ (ავტოინსპექცია — გ.გ.), რომელიც ჩაატარებდა რეიდს და, თუ შემოწმებისას ტერორისტი, რომელსაც ვეძებდით, აღმოჩნდებოდა რომელიმე მანქანაში, მას იქვე, შორიახლოს დამალული სპეცრაზმი შეიპყრობდა. ვინც არ იცნობს პანკისის ხეობას, შესაძლოა, მისთვის უჩვეულო არაფერი იყოს ამ „გენიალურ“ მიგნებაში, მაგრამ წარმოიდგინეთ, კომუნისტების პერიოდშიც კი იქ „გაი“ არასდროს ყოფილა და ეს ექსპერტი გვიგეგმავდა პანკისში პოლიციის ჩაყენებას. მე პირდაპირ განვუცხადე მას, რომ ეს სულელური იდეა იყო. სხვათა შორის, ალსანიაც კი დამეთანხმა მაშინ, — ეს რა სისულელე თქვაო. ამ ამბავმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, როგორ გავბედე და ვუთხარი ამერიკელ ექსპერტს, ეს სულელური იდეაა-მეთქი. მოკლედ, ამ ამბავმა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელ **ჯორჯ ტენეტის** ყურამდეც მიაღწია, მან კი **შევარდნაძეს** დაურეკა, — ხაბურძანია ხელს მიშლის სპეცოპერაციის ჩატარებაშიო. შევარდნაძემ რომ მკითხა ამბავი, ავუხსენი, რაც მოხდა და ისიც დავძინე, რომ ამ სისულელეს არ გავაკეთებდი. იყო ასეთი შემთხვევაც: სპეციალური დანიშნულების აპარატურა გვჭირდებოდა, ამერიკელებმა გამომიგზავნეს ძალიან დიდი ზომის აპარატი და მითხრეს: ეს ტერორიზმში ერთ-ერთი ეჭვმიტანილის „ნივას“ უნდა მიაკრათო, რაც ასევე წარმოუდგენელი იყო. უკეთესი ვერ გაიმეტეს და ჩამოწერილი ტექნიკა გადმოგვიგდეს.

**— გამოდის, რომ ამერიკის საელჩოს მხრიდან ხელისუფლების კონტროლის მცდელობა შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდშიც საკმაოდ მაღალი ყოფილა...**

— იმხანად ძალიან მნიშვნელოვანი იყო პანკისის ხეობა და იმისთვის, რომ იქ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მქონოდა, რაღაც მიმართულებებს, მაგალითად, კონტრდაზვერვას, ამერიკელები განაგებდნენ. მეტსაც გეტყვით, როდესაც ჩემთან რუსი კოლეგები ჩამოდიოდნენ, ამერიკელების მიერ მართული გარე მეთვალყურეობის სამსახური დაგვდევდა.



**«ზუსტად ერთ საათში მოვიდა აშშ დაზვერვის რეზიდენტი ნასვამ მდგომარეობაში. ბატონი უილიამ მური რუსულად კარგად ვერ საუბრობდა და ასე მკითხა: «ВЫ ПОЧЕМУ НЕ УВАЖАТЬ ИНТЕРЕСИ МАЯ СТРАНА?» ვუპასუხე, რომ, პირველ რიგში, ჩემი ქვეყნის ინტერესებს ვცემდი პატივს. მასაც ვუთხარი, დამოუკიდებელი ქვეყნის მინისტრი ვარ და უნდა ვიცოდე, რა ოპერაციას გეგმავს ამერიკის საელჩო ჩვენს ქვეყანაში პროკურატურის გვერდის ავლით-მეთქი. მესამე დღეს, პატარა ბავშვს რომ გალახავენ და მამას მოიყვანს, ისე მომიყვანა ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი და მანაც დაახლოებით იგივე განმიცხადა. ჩემი პასუხიც პრინციპული იყო, მაგრამ ძალიან მალე იმდენი პრობლემა შემიქმნეს, რომ იძულებული გავხდი, რაღაცები დამეთმო»**

**— უფრო სავალალო მდგომრეობაში ვყოფილვართ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს...**

— ვიცოდი, რომ გარე მეთვალყურეობის სამსახური მითვალთვალებდა. ასეთი ვითარება იყო იმ პერიოდში, როცა მე ვიყავი უშიშროების მინისტრი. წარმოიდგინეთ ჩემ შემდეგ რა მოხდებოდა... ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რა შედეგის მომტანია ყოველივე ეს. 2008 წლის ომი მოხდა? — მოხდა. ჩავფლავდით? — ჩავფლავდით! სად იყო მაშინ ამერიკა?!

**— წყალი და პამპერსები ხომ გამოგვიგზავნეს...**

— სწორია, პამპერსები გამოგვიგზავნეს... ჩვენი ქვეყანა რომ არ არის რეალურად დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, ეს აშკარაა. ფორმალური დამოუკიდებლობის გარდა, სხვა საფუძვლებიც არის საჭირო, მათ შორის, ფინანსური დამოუკიდებლობა. **გაეროს სხდომაზე ჩვენი წარმომადგენლის შატალოც იმის ნათელი დასტურია, რომ ჩვენ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღები ქვეყანა არ ვართ, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ შემთხვევაში შატალოს უფრო ვემხრობი, ვიდრე სხვა სულელურ გადაწყვეტილებას.**

**— ირაკლი ალასანია ამერიკის საელჩოს დავალებით დანიშნეთ თქვენს მოადგილედ?**

— არა, ჩემი ინიციატივა იყო, მაგრამ შექმნილი სიტუაცია გავითვალისწინე. მე ალასანიას დანიშვნა მჭირდებოდა იმისთვის, რომ ამერიკელებთან სიტუაცია დამებალანსებინა და ამ გადაწყვეტილების შედეგად გარკვეული პერიოდი ეს მოვახერხე.

**— ირაკლი ალასანიას გარდა, ასევე, გეცოდინებათ, რომელი პოლიტიკოსები მუშაობდნენ თუნდაც თქვენი უშიშროების მინისტრობისას ამერიკისთვის...**

— სჯობს, იკითხოთ, რომელი პოლიტიკოსი არ მუშაობდა ამერიკისთვის. თითქმის ყველა მუშაობდა. უშიშროების ერთადერთი მინისტრი ვიყავი, რომელიც რუსეთის შესაბამისი უწყების ხელმძღვანელს პირისპირ შევხვდი. საგარეო საქმეთა იმდროინდელი მინისტრი **ირაკლი მენაღარიშვილი** თავის რუს კოლეგას ერთი-ერთზე არ შეხვედრია. ეს არ გაუკეთებია საქართველოს არც ერთ მინისტრს, რადგან ასეთი რამ ამერიკის გვერდის ავლით არ მოხდებოდა. მეტი რა გითხრათ? საქართველოს დღევანდელ აქტიურ პოლიტიკაში არ მეგულება ადამიანი, რომელიც ამერიკელებისთვის არ მუშაობს. დღევანდელი ხელისუფლების პრობლემა კი არის ის, რომ ამერიკელებთან ურთიერთობაშიც მოიკოჭლებენ და არც რუსებთან აქვთ ურთიერთობა.

**— იმ გახმაურებულ სპეცოპერაციაზეც მინდა გკითხოთ, რომლის მიმდინარეობისას ტერორისტების (მათ შორის, აჰმედ ჩატაევის) ლიკვიდაცია მოხდა...**

— ტერორიზმის წინააღმეგ ბრძოლა ნებისმიერ შემთხვევაში დადებითია, თუ ის ტერორისტის განადგურებით მთავრდება, მაგრამ ნებისმიერი შეთამაშება და გათამაშება ტერორისტებთან არასწორია. დღევანდელმა ხელისუფლებამ, როგორც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებამ, მომხდარით ერთგვარი ლაფანყური მიიღო. ჩატაევი საქართველოში ვერ შემოვიდოდა ხელისუფლების წაყრუების გარეშე. შემოვიდა და მერე, სავარაუდოდ, ვითარებამ მოითხოვა მისი განეიტრალება, რასაც ის არ დათანხმდა და მივიღეთ ის შედეგი. ამიტომ, **ოქროს წესია, რომ ტერორისტებთან არც მოლაპარაკება, არ თამაში, არც გათამაშება არ შეიძლება!** საბედნიეროდ, უფრო მძიმე შედეგი არ მივიღეთ. ალბათ, გაგიკვირდებათ, რაღა ბედნიერებაა, როდესაც დაიღუპა სპეცრაზმელი და დაიღუპნენ ტერორისტები, დაინგრა სახლი, რამაც ასეთი არასახარბიელო საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვიაო, მაგრამ შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო. დღეს შემიძლია ამაზე ვისაუბრო, მაშინ კი ცოტა რბილად შევაფასე, რადგან მე პანკისის სპეცოპერაციის ხელმძღვანელი ვიყავი და მესმის ის სირთულეები, რომლებიც ნებიმიერ დროს შეიძლება წარმოიშვას. სხვათა შორის, **წინა ხელისუფლება თვითონ წვრთნიდა და ამზადებდა სადღაც გადასასროლად მათ, ვის წინააღმდეგაც მერე ე.წ. ლაფანყურის სპეცოპერაციის ჩატარება გახდა საჭირო.** ამ შემთხვევაშიც ჩატაევის საქართველოში შემოსვლა ხელისუფლების წაყრუების გარეშე ვერ მოხდებოდა. ამ ტიპის ადამიანებთან ყოველთვის მიმდინარეობს ოპერატიული თამაში: მათ ხან ლმობიერად ექციევიან, ხან ცდილობენ მათ გამოყენებას, მაგრამ ისტორიამ, პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ შეუძლებელია ამ ადამიანების მართვა ყოველთვის და ამიტომ მათთან თამაშზე ერთხელ და საბოლოოდ უნდა ითქვას უარი. იმედია, ხელისუფლება ამ შეცდომას გაითვალისწინებს.

**«ჩვენი საბოლოო ამოცანაა, საქართველო რეგიონში ანგარიშგასაწევი ქვეყანა გახდეს, განვითარებული ეკონომიკით და, რაც მთავარია, ტერიტორიული მთლიანობით, მაგრამ ამის გარანტიას არც ამერიკა იძლევა და არც ევროპა. ერთადერთი გზა ისევ რუსეთზე გადის, მაგრამ იქ დაბრუნება ძალიან რთულია, რადგან საზოგადოების დიდ ნაწილს ტვინი აქვს გადაბრუნებული და ყველაფერი დამყარებულია ზედაპირულ მოსაზრებებზე, რომ ამერიკა კარგი ქვეყანაა, რუსეთი კი — ცუდი, ჩვენს დაბრუნებას ცდილობს საზიზღარ საბჭოთა კავშირში... და, როცა ასეთი პრიმიტიული აზროვნებაა ქვეყანაში დომინანტი, რთულია საკითხის ჯანსაღად განხილვა»**

**— უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზეც გკითხავთ: ჰპოვებს თუ არა იქ მიმდინარე პროცესები რევოლუციურ გაგრძელებას?**

— როგორც წინა ინტერვიუში გითხარით, **მიხეილ სააკაშვილის** მეტსახელი არის **არმაგედონი** და ეს კაცი არის დამანგრეველი მთელი თავისი არსით, სულით. ახლა, რასაც უკრაინაში აკეთებს, არის სრული მავნებლობა და ფაქტია, რომ მიშა უკრაინის დასანგრევად არის იქ მივლენილი. სააკაშვილი არ არის ის ფიგურა, რომ ვინმემ დამოუკიდებლად მიუშვას. თვითონაც აქტიურობს და ამას იყენებენ დასავლეთის ძალები, უწინარესად, ამერიკის და წარმოიდგინეთ, იქამდეც მივიდა, რომ რუსეთის გარკვეულმა ძალებმაც კი დაიწყეს მისი გამოყენება. სააკაშვილი იყო და არის ფულის მოყვარული კაცი. ის იყო საბჭოთა წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლის შვილი, ცხოვრობდა ყოველთვის კომფორტში და ვერასდროს იცხოვრებს კარავში. უკრაინაში ცხოვრობს ფეშენებელურ სახლში, რომლის ღირებულება თვეში 6 ათას აშშ დოლარს შეადგენს და იმის საშუალებაც კი აღმოაჩნდა, რომ იქიდან სახურავზე ამძვრალიყო და კარლსონივით ერბინა აქით-იქეთ.

**— როგორი სანახავი იყო თქვენთვის სახურავზე მორბენალი სააკაშვილი?**

— ეს კაცი ყველაფრის მკადრებელია, რაც მას, მისი აზრით, რაღაც დივიდენდს შესძენს დაბალი კატეგორიებით მოაზროვნე ადამიანების თვალში. სამწუხაროდ, დღეს უკრაინა იმ ეტაპზეა, როცა ადამიანები დაბალი კატეგორიებით აზროვნებენ და მათთვის მთავარია, დაამხონ, ჩამოაგდონ, წაართვან. როცა ასეთი ადამიანები უმრავლესობაში არიან, ხდება რევოლუციები. სააკაშვილს, სახურავზე რომ დარბოდა, ნახეთ, რა საათი ეკეთა? — უძვირესი შვეიცარიული საათი და სად, რა ფასად ყიდულობს ამ საათებს? ასე რომ, ფუფუნების მოყვარულ სააკაშვილს ახლა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ვიქტორ **იანუკოვიჩის,** გარემოცვა აფინანსებს, მხოლოდ იმისთვის, რომ იყოს ბუნტი და სააკაშვილი ბუნტის მოწყობაში აკეთებს ფულს. სამწუხაროდ, უკრაინის ამჟამინდელი პრეზიდენტი არ აღმოჩნდა ის ფიგურა, რომელსაც პროცესების სამართავად ჭკუა ეყოფოდა. სააკაშვილისგან გმირი რომ შექმნა, სულელი უნდა იყო და, სამწუხაროდ, უკრაინის ხელისუფლება ამ გზით მიდის. „გიჟი მიუშვი ნებასა...“ კარგი ქართული ანდაზაა, უნდა მიეშვათ ნებაზე და თვითონ მოიტეხდა კისერს. მაშინაც ვეუბნებოდი საქართველოს ხელისუფლებას: ნუ შექმნით ამ კაცისგან გმირს, მიეცით 36 საპარლამენტო ადგილი და თვითონვე დაანგრევს თავის თავს, რადგან სააკაშვილი ვერ უთავსდება ადამიანთა ერთობას, თუ მის გარშემო არ არსებობენ მონები. დღეს კი ამ შეცდომებს უკრაინის ხელისუფლება იმეორებს.

ესაუბრა
**გიორგი გელაშვილი**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნებისმიერ რთულ სიტუაციაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეტექსტში ხელს თითქოს „შუშის სასახლისკენ“ იშვერენ — „ჩვენ რა ვქნათ, იქ ასე გადაწყვიტესო“. ივანიშვილი, თავის მხრივ, მიანიშნებს, რომ მიკრომენეჯმენტში არ ერევა და ამა თუ იმ შეცდომასთან საერთო არაფერი აქვს. ასეთ სიტუაციაში გაუგებარი ხდება, ვის და როგორ უნდა მოსთხოვოს პასუხი საზოგადოებამ. ის ღიზიანდება და ფიქრობს, რომ მმართველ პარტიას არჩევნებზე დასჯის, მაგრამ ვერ ხედავს ალტერნატივას მკვეთრად დასუსტებული ოპოზიციის რიგებში, ამასთანავე, ნაციონალების რევანშის ეშინია და საბოლოოდ ხმას ისევ „ქართულ ოცნებას“ აძლევს ან სახლში რჩება.**

# ვადაგასული მარიონეტი

**იმ დღეებში, როდესაც ქვეყანას წლის შედეგები უნდა შეეჯამებინა, პრემიერმინისტრმა ნაციონალების დახმარებით პარლამენტში ისტერიკული ბენეფისი მოაწყო, მაგრამ ეს, სავარაუდოდ, ვერ გადაფარავს იმ სავალალო შედეგს, რომლითაც მთავრობა და პირადად გიორგი კვირიკაშვილი 2017 წელს ასრულებს.**



ინციდენტი პარლამენტში ძალიან აძლევდა ხელს ორივე მხარეს, სწორედ ამიტომ შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ის ხელოვნურად გათამაშდა. საქმე ისაა, რომ ბოლო დროს საზოგადოებაში, მათ შორის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რიგებში, დაიწყო ღია მსჯელობა კვირიკაშვილის გადადგომაზე. ის, რაც პარლამენტში მოხდა, შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც „2016 წლის არჩევნები მინიატურაში“, როდესაც ნაციონალების გააქტიურებამ და თავხედმა მუქარებმა აიძულა ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, „ქართული ოცნების“ გარშემო გაერთიანებულიყო. ასეა დღესაც — ამ ადამიანების აბსოლუტურმა უმრავლესობამ 20 დეკემბრის ინციდენტის შემდეგ შეწყვიტა (ეს დროებითია, მაგრამ მაინც) კვირიკაშვილის კრიტიკა და მედიასა თუ სოციალურ ქსელებში ნაციონალებს დაუპირისპირდა. ნაციონალებმა, თავის მხრივ, არაპოპულარულ მთავრობასთან ბრძოლის მედროშის როლი მოირგეს (ცხადია, ესეც დროებითია). ყოველივე ამან უკანა პლანზე გადაწია საუბრები წლის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე და თუნდაც იმ საეჭვო ტენდერებზე, რომლებზეც ცოტა ხნის წინათ გიორგი გაჩეჩილაძე ალაპარაკდა. ამ ინციდენტს კიდევ ერთი საინტერესო ქვეტექსტი აქვს – ის ქმნის სათანადო ფონს ელცინისეული „მე დავიღალე, მე მივდივარ“ ტიპის განცხადებისთვის, იმ შემთხვევისთვის, თუ „შუშის სასახლეში“ მართლაც დაიგეგმა პრემიერის შეცვლა ახლო მომავალში. ამ მხრივ, ის სავსებით ბუნებრივად ჯდება კვირიკაშვილთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი ინციდენტების ჯაჭვში (შალელაშვილის ეპიზოდი-გაჩეჩილაძის ეპიზოდი-მელიას ეპიზოდი).

მოდელი, რომლის ფარგლებში სიმბოლური დაპირისპირება ნაციონალებთან ყოველივე დანარჩენს ფარავს და ამართლებს, ძალზე პრიმიტიული და ამავე დროს ცინიკურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდე გამართულად მუშაობ,. თუმცა, ალბათ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რას ცვლის არსებითად ის, რომ კვირიკაშვილმა მელიას შეაგინა? ეკონომიკის მდგომარეობა გაუმჯობესდა ამით, სამართლიანობა აღდგა თუ რა? ეს იყო მხოლოდ ყვირილი, ცარიელი სიტყვები, რომელიც საკმაოდ მძიმე მოსასმენი იყო.

ეს ეპიზოდი გარკვეულ წინააღმდეგობაში შევიდა კვირიკაშვილის „დავარცხნილ იმიჯთან“, რომელმაც მის დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მაშინ, 2015 წლის მიწურულს, 2016 წლის არჩევნების პერსპექტივის გათვალისწინებით, ივანიშვილს სჭირდებოდა „ქართული ოცნებისთვის“ უფრო გაწონასწორებული ძალის იმიჯის შექმნა, როგორც საგარეო, ისე საშინაო არენაზე. იყო სხვა მიზეზებიც, რომელთა გამო მან ირაკლი ღარიბაშვილის პოსტზე დატოვება მიზანშეუწონლად ჩათვალა, თუმცა გიორგი კვირიკაშვილის დაწინაურებაში ერთ-ერთი მთავარი როლი სწორედ საიმიჯო ფაქტორმა შეასრულა. ამასთანავე, იმთავითვე ცხადი იყო, რომ ის ივანიშვილს არ აუბუნტდებოდა და იმ მოკრძალებულ „თავნებობასაც“ არ გამოავლენდა, რომელიც თუნდაც პრეზიდენტ მარგველაშვილს ახასიათებს.

**იმისთვის, რომ სისტემაში კვირიკაშვილის მდგომარეობა უკეთ აღვწეროთ, შეგვიძლია გავიხსენოთ ლამაზი ხის ფიგურები, რომლებსაც ძველად გემის ქიმზე ამაგრებდნენ. ის უფუნქციო, თუმცა ამავე დროს მიმზიდველი ელემენტია — გემის ერთგვარი სავიზიტო ბარათი. „ქართულ ოცნებაში“ კვირიკაშვილი სწორედ ასეთ ფუნქციას ასრულებდა.** ისტორიკოსებმა და მეზღვაურებმა შეიძლება გააღრმავონ ეს მეტაფორა – საქმე ისაა, რომ ძველად ტუალეტს მეზღვაურებისთვის ქიმზე აწყობდნენ, სწორედ იმ ლამაზი ფიგურების უკან — გემის ყველაზე მიმზიდველი ელემენტი ყველაზე ჭუჭყიან ადგილს ფარავდა. საინტერესოა, აცნობიერებდა თუ არა გიორგი კვირიკაშვილი თავიდანვე, რა როლი უნდა შეესრულებინა „ქართული ოცნებისთვის“.

**ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲙᲔᲗ ᲐᲦᲕᲬᲔᲠᲝᲗ, ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲮᲘᲡ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲫᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲔᲛᲘᲡ ᲥᲘᲛᲖᲔ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲘᲡ ᲣᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ — ᲒᲔᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ. «ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ» ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ**

**პიროვნულ პრეტენზიებს კვირიკაშვილს იშვიათად უყენებენ, რადგან ნორმალური ხასიათი აქვს და მასთან ურთიერთობა, როგორც წესი, სასიამოვნოა, მაგრამ ეს ვერ გააუქმებს პოლიტიკურ პრეტენზიებს მის მიმართ, მეტიც: გაამძაფრებს მათ, რადგან კარგმა ადამიანმა ცუდ საქმეს ხელი აპრიორი არ უნდა მოჰკიდოს.**

გაწონასწორებული კაცის იმიჯი, რომელზეც ამდენს ვსაუბრობთ, ბოლო ორი წლის განმავლობაში წარმოადგენდა შირმას, რომლის მიღმა ჰიბრიდული ოლიგარქიული რეჟიმის გამყარება ხდებოდა. პირველ ადგილზე ბიძინა ივანიშვილის ინტერესები იდგა, მეორეზე — უცხოელი პარტნიორების, მესამეზე — ბანკებისა და მსხვილი ბიზნესმენების, მეოთხეზე — პრემიერის ძველი მეგობრების, რომელთაგან ერთ-ერთს, ალექსანდრე ჯეჯელავას, შეიძლება არა მხოლოდ 2017 წლის, არამედ ხუთწლედის ანტიგმირის წოდება მიენიჭოს, თუმცა პრემიერმინისტრი რატომღაც არ გამოდის და არ მოგვითხრობს იმაზე, რატომ დააწინაურა ის, შემდეგ მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობაც ჩააბარა (სწორედ ამის შემდეგ მთავრობის რეიტინგი დაემსგავსა ალმოდებულ ბომბდამშენს, რომელიც მიწისკენ მიექანება), შემდეგ კი მოხსნა ისე, რომ მის მიერ განვლილ გზაზე არაფერი გვიამბო — თუნდაც ტენდერებზე, რომლებიც მისმა ტრენინგცენტრმა განხილულ პერიოდში მოიგო. ასე რომ, საზოგადოებამ ვერ გაიგო, რა იყო ეს მთლიანობაში: რთული სტრატეგიული მანევრი, ასე ვთქვათ, „პერეხოდ სუვოროვა ჩერეზ ალპი“ თუ ბანალური ნეპოტიზმი.

მიუხედავად იმისა, რა უთხრა კვირიკაშვილმა მელიას, სწორედ მისი პრემიერობის წლებში, „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ თანაცხოვრება სადომაზოხისტური წყვილის ურთიერთობას დაემსგავსა, რომლის ფარგლებში მმართველი პარტიის მდგომარეობა დაქვემდებარებულია, ხოლო ტერმინი „სამართლიანობის აღდგენა“ მინისტრების ლექსიკონიდან საერთოდ ამოვარდა. **სწორედ გიორგი კვირიკაშვილმა პირველმა შეიყვანა კაბინეტის შემადგენლობაში „ნაცმოძრაობის“ შემომწირველი — ზურაბ ალავიძე, რომელმაც, სხვათა შორის, სცადა, დაემალა ეს ფაქტი და ამისთვის საყვედურიც კი არ გამოუცხადეს.**

სწორედ ამ წლებში მოხდა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გარდატეხა — ადრე „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა დიდ ნაწილს სჯეროდა, რომ ელიტარული კორუფციის, აღმოფხვრა თუ არა, შეზღუდვა მაინც შესაძლებელია და თვლიდა, რომ ჩაწყობილი ტენდერები და გაბერილი პრემია-დანამატები დროებითი მოვლენაა, თუმცა საბოლოოდ მას დიდი იმედგაცრუება დაეუფლა. ერთი შეხედვით, ეს ერთი ჩვეულებრივი, მორიგი იმედგაცრუებაა, თუმცა, სავარაუდოდ, სწორედ მან მიიყვანა ეს ადამიანები ცნობილ ფორმულამდე: „ორივე ერთი ნაგავია“ („ორივეში“ ძველი და ახალი მმართველი პარტიები იგულისხმება).

პრემიერს ხშირად ბრალს სდებდნენ, რომ დიდი თუ მცირე კრიზისების საწყის ეტაპზე (ზაფხულის ხანძრები, არეულობა ბათუმში, 22 ნოემბრის სპეცოპერაცია და ა.შ.) იმალებოდა და ავანსცენაზე მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, როდესაც რწმუნდებოდა, რომ პრობლემა მალე დაიძლეოდა. პრინციპში, ეს არაა მიუტევებელი ცოდვა — საზოგადოებასთან ყველა ისე ურთიერთობს, როგორც შეუძლია. **ნამდვილი პრობლემა კი ისაა, რომ მთავრობას არ ჰყოფნიდა ცოდნა და გამბედაობა იმისთვის, რომ მიეღო სწრაფი და კომპეტენტური გადაწყვეტილებები, რათა კრიზისი ჩანასახშივე გაენეიტრალებინა.** ის თითქოს ელოდებოდა სანქციას ზემოდან, ფიქრობდა იმაზე, როგორ შეაფასებდა მის ქმედებას ბიძინა ივანიშვილი, ამასობაში კი დრო იკარგებოდა. ამის გამო საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებლობას გაურბის.

**ფასების ზრდა და ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის შემცირება თავისთავად სერიოზული ჩავარდნაა, რომლის გამოც პრემიერსა და მთავრობას პასუხი უნდა მოეთხოვოს, მაგრამ, შესაძლოა, გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა, სტრატეგიული ხასიათის პრობლემა, რომელმაც თავი ჯერ ღარიბაშვილის პრემიერმინისტრობის პერიოდში იჩინა, კვირიკაშვილის დროს კი განსაკუთრებით გამძაფრდა.** ნებისმიერ რთულ სიტუაციაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეტექსტში ხელს თითქოს „შუშის სასახლისკენ“ იშვერენ — „ჩვენ რა ვქნათ, იქ ასე გადაწყვიტესო“. ივანიშვილი, თავის მხრივ, მიანიშნებს, რომ მიკრომენეჯმენტში არ ერევა და ამა თუ იმ შეცდომასთან საერთო არაფერი აქვს. ასეთ სიტუაციაში გაუგებარი ხდება, ვის და როგორ უნდა მოსთხოვოს პასუხი საზოგადოებამ. ის ღიზიანდება და ფიქრობს, რომ მმართველ პარტიას არჩევნებზე დასჯის, მაგრამ ვერ ხედავს ალტერნატივას მკვეთრად დასუსტებული ოპოზიციის რიგებში, ამასთანავე, ნაციონალების რევანშის ეშინია და საბოლოოდ ხმას ისევ „ქართულ ოცნებას“ აძლევს ან სახლში რჩება. არსებითად, იგივე მოხდა 20 დეკემბერს, როდესაც კვირიკაშვილის დემონსტრაციულმა დაპირისპირებამ მელიასთან დროებით „გადახაზა“ ყველა ის პრეტენზია, რომელიც საზოგადოებას მის მიმართ დაუგროვდა.

**ვინაიდან კვირიკაშვილი პოლიტიკური ბრძოლის უნარ-ჩვევებს ცუდად ფლობს, „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებმა მისი (ფარდობითი) გავლენის სფერო თანდათან შეზღუდეს. ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის შაბლონური მეთოდების მუდმივი გამოყენების გამო, ის ერთობ მოსაწყენი გახდა. გამორიცხული არაა, რომ „შუშის სასახლეში“ უკვე მივიდნენ დასკვნამდე, რომ „ის დაიღალა“, მაგრამ უბრალოდ მოაცილებენ სკამს თუ საპატიო პოსტზე გადაიყვანენ, დამოკიდებულია იმაზე, როგორ შეაფასებს ივანიშვილი კვირიკაშვილის შემცირებულ საიმიჯო კაპიტალს.** კონკრეტულად როდის მოხდება ეს, ძნელი სათქმელია, თუმცა არსებითი მნიშვნელობა ამას, ალბათ, არ აქვს, გიორგი კვირიკაშვილი საკუთარი მდგომარეობისა და მარიონეტული როლის შეცვლას ნებისმიერ შემთხვევაში ვერ მოახერხებს.

**ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲣᲜᲐᲠ-ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲡ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲤᲚᲝᲑᲡ, «ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ» ᲡᲮᲕᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ (ᲤᲐᲠᲓᲝᲑᲘᲗᲘ) ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲔᲡ. ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲐᲑᲚᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ «ᲨᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ» ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲛ «ᲘᲡ ᲓᲐᲘᲦᲐᲚᲐ», ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲛᲝᲐᲪᲘᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲙᲐᲛᲡ ᲗᲣ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲜ, ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲘᲛᲘᲯᲝ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲡ**

**მიმდინარე აქციების ფონზე, სასამართლოს გადაწყვეტილებების ფონზე, ნელ-ნელა ის ადამიანები, რომლებსაც ნარკოტიკი არ მოგვწონს და მიგვაჩნია, რომ სექსი ქალსა და მამაკაცს შორის უნდა იყოს მხოლოდ, უმცირესობაში ვრჩებით. მერე, როცა ჩვენი უმცირესობა ისე დაპატარავდება, რომ ასი კვადრატული მეტრი დაიტევს, შვილებს ვეღარც კულუარულად ვეტყვით, რომ ეს ცუდია, რადგან მას გარეთ სხვა რეალობა ექნება — ქვეყანაში მარიხუანის სურნელი და სკვერების მოფარებულ კუთხეში ჩახუტებული, გოგოსა და ბიჭის ნაცვლად, ბიჭი და ბიჭი ან გოგო და გოგო, ან სულაც ძაღლი და კაცი... და ეს იქნება ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარკოტიკების ლეგალიზაციას ყველაზე მეტად ითხოვენ ლესბოსელები, გეები, ბისექსუალები, ტრანსვესტიტები და კიდევ ათასი ჯურის კეთილმოტ...ლი. არა, ბატონო პრემიერო?!




**თბილისის საქალაქო სასამართლომ გასულ კვირაში, ერთი შეხედვით, რიგითი სარჩელი განიხილა. ეგვიპტის მოქალაქე, ვინმე ვაგდი ელკორაეის სასამართლოსგან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა, აქაოდა, მოქალაქეობასა და დევნილის სტატუსზე უარი მითხრესო.**

„თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ეგვიპტის მოქალაქის, **ვაგდი ელკორაეის,** სასარჩელო მოთხოვნა საქართველოში თავშესაფრის მიღებაზე. სასამართლომ ბათილად ცნო საქართველოს ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე და სამინისტროს ახალი გადაწყვეტილების მიღება დაავალა", — ასეთია სასამართლოს განჩინების მოკლე შინაარსი.

როგორც ამბობენ, ვაგდი ელკორაეი თავის ქვეყანაში ქრისტიანული სარწმუნოებისა და სექსუალური ორიენტაციის გამო იდევნება და სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში პატიმრობა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხე ემუქრება.

**გაგიკვირდებათ და, უარის დოკუმენტში, რომელიც ლტოლვილთა სამინისტრომ ელკორაეის გაუგზავნა, დადასტურებულია, რომ ეგვიპტის მოქალაქე აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო კრიტერიუმს(?!). მიუხედავად ამისა, სამინისტროს მტკიცებით, არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ელკორაეი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას ან საზოგადოებრივ წესრიგს.** სამინისტრომ გაცემულ დოკუმენტში პრაქტიკულად ჩაწერა, რომ, გასაჩივრების შემთხვევაში, ეგვიპტის მოქალაქე, რომელსაც ვიზუალურად და ხილულად რამდენიმე ნახვრეტი ჰქონდა ყურსა და ცხვირზე (ისე, ვინ მოთვლის?!), სარჩელს მოიგებდა და აკი მოიგო კიდეც. ბედის ირონიით, მაშინ, **როცა ეგვიპტე მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ძალა იყო და ევროპასაც კი შიშის ზარს სცემდა, მის სათავეში ქართველი მამლუქები იყვნენ. ჰოდა, თუ ჩვენ მამლუქებს ვუგზავნიდით ეგვიპტეს (მართალია, ნებით არა, მაგრამ მაინც), ისინი საუკუნეების შემდეგ გეიაქტივისტებს გვიგზავნიან...**

არ თქვათ ახლა, — ეს განცხადება ჰომოფობიურიაო. რეალურად იმდენ ასეთ განცხადებას ვისმენთ ყოველდღე, რომ თვითონ გახდნენ ლგბტ თემის აქტივისტები ჰომოფობები. **თუ ჰეტეროსექსუალი ხარ და ამას ხმამაღლა ამბობ, შენკენ აგრესია მოდის, — როგორ გაბედე და თქვი, რომ ტრადიციული, სექსუალური ორიენტაციის მიმდევარი ხარ, ამით ხომ ლგბტ თემის აქტივისტთა „სათუთ" ფსიქიკას შეეხე და დააზიანეო?!** ფსიქიკის გარდა, სხეულის ნაწილები რომ აქვთ დაზიანებული, იმას მიხედონ ჯობია, თორემ...

სასამართლოს გადაწყვეტილების პარალელურად, განცხადება გაავრცელა არასამთავრობო ორგანიზაცია „თეთრმა ხმაურმა". მოგეხსენებათ, ეს ორგანიზაცია ნარკოტიკების ლეგალიზაციას ითხოვს და არაერთ აქციას მართავს. როგორც გაირკვა, ერთ-ერთ აქციაზე „თეთრ ხმაურს" ჰეტეროსექსუალი რეპერი „გაეპარა", ანუ აქციაზე მისული მხარდამჭერების გართობა რეპერმა „მასტერმა", იგივე **გიორგი პავლიაშვილმა**, გადაწყვიტა და, როგორც შემდეგ „ქვიარ აქტივმა" (ეს „ქვიარ აქტივი" თურმე, ჰეტეროსექსუალების გარდა, დანარჩენი სამყაროა და არა მხოლოდ ლგბტ თემი, ანუ ყველა გარყვნილი და რომელიმე გაუკუღმართებული სექსუალური მიმდინარეობის მიმდევარი) გააპროტესტა, პავლიაშვილი ჰომოფობიური გამონათქვამებით გამოირჩევაო. „თეთრმა ხმაურმაც" ოფიციალური განცხადება არ დააყოვნა და ამ განცხადების პათოსს ახლავე გაგაცნობთ: „პირველ რიგში, გვსურს, გამოვეხმაუროთ საზოგადოებაში წარმოშობილ ცხარე დისკუსიას აქციის გარშემო. ცხადია, ერთგული მხარდამჭერების განაწყენება არ წარმოადგენდა მოძრაობის მიზანს და გულწრფელად ვწუხვართ, რომ სადამსჯელო ნარკოპოლიტიკის მოწინააღმდეგეთა ნაწილის სცენაზე ხილვა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფმა და მათ შორის „ქვიარ თემის" აქტივისტებმა, ჰომოფობიის მხარდაჭერად და პირად შეურაცხყოფად მიიღეს. ბოდიშს ვუხდით ყველა განაწყენებულ მხარდამჭერს შექმნილი არასასურველი ვითარებისთვის და ყველას, ვისაც გაუაზრებლად გული ვატკინეთ. პრობლემა, რომლის გარშემოც გავერთიანდით, ყველასთვის საერთოა. „ქვიარ თემთან" კი არა მხოლოდ სოლიდარულია მოძრაობა, არამედ ისინი ჩვენი ბრძოლის ავანგარდში დგანან და ჩვენთვის რთულიც კია აღნიშნულ თემაზე განყენებულად საუბარი. „ქვიარ თემის" მიმართ საზოგადოებაში არსებულ განწყობებს ხელი არ შეუშლია მოძრაობისთვის, ღია მხარდაჭერა გამოგვეცხადებინა მათთვის. „თეთრი ხმაურის" მოძრაობა ყოველთვის ცდილობდა, სისტემის მიერ ჩაგრული ჯგუფების ძალისხმევის გაერთიანებას უსამართლობასა და ძალადობასთან ბრძოლაში. მიზანიც საერთო გვაქვს — საზოგადოებრივი კეთილდღეობა... გვახსოვდეს, ომი ჯერ არ მოგვიგია, მიზანთან ახლოს ვართ და თითოეული ადამიანის მხარდაჭერა საერთო იდეისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეს ომი კი ყველას ომია! წინ, ერთად, გამარჯვებისთვის!"

მთავარი ამ განცხადებაში, რომლის ნაწილიც შემოგთავაზეთ, რამდენიმე წინადადებაა და მათ შორის, გამორჩეულად შემდეგი: **„პრობლემა რომლის გარშემოც გავერთიანდით, ყველასთვის საერთოა. „ქვიარ თემთან" კი, არა მხოლოდ სოლიდარულია მოძრაობა, არამედ ისინი ჩვენი ბრძოლის ავანგარდში დგანან და ჩვენთვის რთულიც კია აღნიშნულ თემზე განყენებულად საუბარი. „ქვიარ თემის" მიმართ საზოგადოებაში არსებულ განწყობებს ხელი არ შეუშლია მოძრაობისთვის, ღია მხარდაჭერა გამოგვეცხადებინა მათთვის..."**

**უარის დოკუმენტში, რომელიც ლტოლვილთა სამინისტრომ ელკორაეის გაუგზავნა, დადასტურებულია, რომ ეგვიპტის მოქალაქე აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო კრიტერიუმს(?!). მიუხედავად ამისა, სამინისტროს მტკიცებით, არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ელკორაეი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას ან საზოგადოებრივ წესრიგს, ანუ სამინისტრომ გაცემულ დოკუმენტში პრაქტიკულად ჩაწერა, რომ, გასაჩივრების შემთხვევაში, ეგვიპტის მოქალაქე, რომელსაც ვიზუალურად და ხილულად რამდენიმე ნახვრეტი ჰქონდა ყურსა და ცხვირზე (ისე, ვინ მოთვლის?!), სარჩელს მოიგებდა და აკი მოიგო კიდეც**

რა გამოდის? **არასამთავრობო ორგანიზაცია პირდაპირ ამბობს, რომ სოლიდარობას უცხადებს „ქვიარ თემს" და ადასტურებს, რომ აქციაზე ისინი ავანგარდში დგანან, ანუ ნარკოტიკების ლეგალიზაციას ყველაზე მეტად ითხოვენ ლესბოსელები, გეები, ბისექსუალები, ტრანსვესტიტები და კიდევ ათასი ჯურის კეთილმოტ...ლი. არა, ბატონო პრემიერო?!**

კომუნისტების ლოზუნგი მახსენდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" და პროლეტარების ნაცვლად, „ქვიარებო" რომ ეწეროს, პირდაპირ მისწრება იქნება, როგორც აზრობრივად, ისე შინაარსობრივად და ვინ ოხერი, ამის წინააღმდეგი წავიდეს, ოღონდ იმ პირობით, რომ გარეთ ნუ გამოხვალთ, ხმამაღლა ნუ იტყვით, რასაც ვაკეთებთ, კარგია და მხარი დაგვიჭირეთო. ნურც იმას იტყვით, ნარკოტიკების ლეგალიზება კარგიაო, რადგან **პარლამენტარებიც კი გაიძახიან უკვე, სადარბაზოებში მარიხუანის სუნი დგასო. არადა, სწორედ ამ პარლამენტარებმა დაუჭირეს მხარი მარიხუანის ლეგალიზაციას და, თუ „ქვიარ თემთან" მიდგომას არ გაამკაცრებენ, მარიხუანის სუნთან ერთად, სადარბაზოებში სხვა რამის სუნიც დადგება და მერე ვაი-ვიში ვეღარ გვიშველის.**

არაერთ პარლამენტარს ვიცნობ, რომლებიც პირად საუბრებში ადასტურებენ, რომ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები რეალურად ქვეყნისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენენ და მათი რეკლამირება არ უნდა მოხდეს, მაგრამ ამას ხმამაღლა იმიტომ ვერ ამბობენ, რომ მერე ევროკავშირისა თუ ამერიკისგან მკაცრი სანქციები იქნება, მერე ჰომოფობიაში დაადანაშაულებენ და ეგებ მეგობრებმაც კი გარიყონ ხალხის დასანახავად, თორემ ისე, კულუარულად, „ქვიარ თემი" არავის მოსწონს; ანუ **ის, რაც არ მოგვწონს, ვმალავთ. და ვმალავთ იმიტომ, რომ ევროპა და ამერიკა არ გავაბრაზოთ. ვის ვუმალავთ: ჩვენს შვილებს? საკუთარ მომავალს? და ვუმალავთ იმის გამო, რომ მერე, ერთ არცთუ მშვენიერ დღეს, საკუთარი შვილები ვნახოთ ნარკოტიკებით გაბრუებული ან „ქვიარ თემის" აქციაზე?!**

ამერიკის პრეზიდენტი არ იყო, ხმამაღლა რომ განაცხადა: ნარკომანია ღუპავს ქვეყანას და ნარკოპოლიტიკა უნდა გავამკაცროთო? ამერიკის პრეზიდენტი არ იყო, ხმამაღლა რომ თქვა: კაცი ვარ და ვერ ვხვდები, როცა ირგვლივ ამდენი ლამაზი ქალია, მამაკაცის უკანალს რატომ უნდა შევხედოო?! თუ იმას არ ეშინია, თუ ის ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი ცუდია, ჩვენ რატომ გვეშინია?! მასზე ნაკლებად გვიყვარს შვილები თუ მასზე ნაკლებად გვაღელვებს ქვეყნის მომავალი?!

რეალობა ის არის, რომ **მიმდინარე აქციების ფონზე, სასამართლოს გადაწყვეტილებების ფონზე, ნელ-ნელა ის ადამიანები, რომლებსაც ნარკოტიკი არ მოგვწონს და მიგვაჩნია, რომ სექსი ქალსა და მამაკაცს შორის უნდა იყოს მხოლოდ, უმცირესობაში ვრჩებით. მერე, როცა ჩვენი უმცირესობა ისე დაპატარავდება, რომ ასი კვადრატული მეტრი დაიტევს, შვილებს ვეღარც კულუარულად ვეტყვით, რომ ეს ცუდია, რადგან მას გარეთ სხვა რეალობა ექნება — ქვეყანაში მარიხუანის სურნელი და სკვერების მოფარებულ კუთხეში ჩახუტებული, გოგოს და ბიჭის ნაცვლად, ბიჭი და ბიჭი ან გოგო და გოგო, ან სულაც ძაღლი და კაცი...** და ეს იქნება ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი და ვეღარაფერს ვუშველით. მერე, მარტო ეგვიპტიდან კი არა, სხვა ქვეყნებიდანაც მივიღებთ გეიაქტივისტებს, მოქალაქეობას მივანიჭებთ და ვინ იცის, ეგებ ერთ დღე, ის ქორწილი, ქართულ ჩოხებში გამოწყობილებმა ამერიკაში რომ გამართეს, საქართველოშიც გაიმართოს და, ხმლების ნაცვლად, ვიბრატორების თაღის ქვეშ გაატარონ ნეფე და... ნეფე... და იქვე, ასევე ჩოხებში გამოწყობილმა „ქვიარ თემმა" ომახიანად შემოსძახოს: **„ვისია, ვისია კაცი ლამაზი..."**

კიდევ ერთი — რაგბი თამაშია, რომელიც ყველას გვიყვარს და მორაგბეები, რომლებსაც პატივს ვცემთ, ამბობენ, რომ რაგბი კაცების თამაშია. დიახ, ლოზუნგი აქვთ ასეთი: „რაგბი —კაცების თამაში!"

ჰოდა, ერთ დღეს, ეს „ქვიარ თემი", ნარკომანებთან ერთად, სტადიონზე რომ მივიდეს და მორაგბეებს ობსტრუქცია მოუწყოს, ჰომოფობები ხართო, მაშინ რა რეაქცია გვექნება?! ისევ გავჩუმდებით და მორაგბეებს გავამტყუნებთ თუ... სხვა რამის თამაშს ნუ გვაჩვევთ და ნუ გვირჩევთ, ბატონებო! თუ რამეს ნიშნავს კიდევ თქვენთვის, ერთხელაც გაგიმეორებთ: ეს საქართველოა და ქართველები ვართ!

**ბესო ბარბაქაძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რუსული უღლისგან გათავისუფლებული საქართველო ახლა უკვე ამერიკის ელჩს უთანხმებს, დილით რომ გაიღვიძებს, საწოლიდან ჯერ მარცხენა ფეხი გადმოდგას თუ მარჯვენა. ეს არის თავისუფლება? ჰოდა, აბა, რანაირად უნდა გაგვეგო იმის გემო, რაც არ გვაქვს და არც არასდროს გვქონია? სიმართლე გითხრათ, ვერც მომავალ უახლოეს თაობებს ვუწინასწარმეტყველებ ასე თამამად თავისუფლების გემოს გაგებას. როგორც ჩანს, ამ გემოს მხოლოდ ისინი იგებენ ხოლმე, ვისაც რეალურადაც არასდროს მოშიებია.**

# ეს არის თავისუფლება?!

**აი ასეთი „კომუნისტური“ სულისკვეთების სათაური დავარქვი წინასაახალწლო სტატიას. დიახ, ზუსტად 1988 წელს მოვისმინეთ პირველად ფრაზა იმის შესახებ, რომ მთავარია, თავისუფლების გემო გავიგოთ და, თუ საკვები არ გვექნება, ბალახსაც შევჭამთ ქართველები. ვერაფერს იტყვით, ძალიან იოლად სათქმელი ფრაზაა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც შიმშილი რეალურად არასოდეს გამოუცდიათ, მეტიც: ვერც ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ უხელფასობა, უსამსახურობა, შიმშილი და სიცივე ძალიან ახლოს ჩასაფრებული რეალური მოვლენებია.**



**«ბალახის ჭამის» დაწყებიდან ოცდამეათე წელს ჯერაც გვმოძღვრავენ რეალური მედროვეები, მართლა გამყიდველები და ხალხის ბედის ფეხებზე დამკიდებლები**

სწორედ ასეთი იყო „საბჭოთა ქართველების“ ის თაობა, რომელიც შემართებით ეტაკა სსრკ-ის, როგორც მათ ეგონათ, „ურყევი ბეტონისგან“ ჩამოსხმულ საძირკველს და ნგრევა დაუწყო. სინამდვილეში, ეს ბეტონი უკვე „ზევიდან“ იყო დანგრეული. უბრალოდ, მის რეალურ დამანგრევლებს სჭირდებოდათ, ხალხისთვის შეექმნათ ილუზია, რომ ამხელა დიქტატორულ სახელმწიფოს თვითონ ხალხი ანგრევდა და ამით ისტორიული მოვლენების მონაწილე ხდებოდა. დღეს ამას სამოსანი მოსწავლის დონეზე მოაზროვნე ნებისმიერი ადამიანიც კი ხვდება, იმხანად კი სხვა დრო იყო. მაშინ რუსეთს „ბორჯომის“ გარეშე დატოვებით სრულიად სერიოზულად ვემუქრებოდით, ხოლო იმ ჭკვიან ადამიანებს, რომლებმაც გაბედეს და გვითხრეს, ამხელა ეკონომიკური კავშირების ასე ხელაღებით და ერთბაშად მოსპობა შიმშილს გამოიწვევსო, უყოყმანოდ დავარქვით ერის მოღალატეები და კრემლის აგენტები.

არაერთ ასეთ „მოღალატეს“ ნერვიულობითა და უსამართლო მოპყრობით გულიც გავუხეთქეთ და იმქვეყნად გავისტუმრეთ. სამაგიეროდ, **„ბალახის ჭამის“ დაწყებიდან ოცდამეათე წელს ჯერაც გვმოძღვრავენ რეალური მედროვეები, მართლა გამყიდველები და ხალხის ბედის ფეხებზე დამკიდებლები.** მაგალითად, გასულ კვირაში ტელეეკრანზე თვალი მოვკარი ბატონ **გელა ჩარკვიანს.** სხვა ბევრ თემასთან ერთად, ჟურნალისტი, რომელიც მისგან ინტერვიუს იღებდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე გადადგმულ ნაბიჯებსაც შეეხო და... **გელა ჩარკვიანმა, არც მეტი, არც ნაკლები, ნამუსზე აგდება დაგვიწყო: „მხვდებიან ადამიანები, რომლებიც მეუბნებიან: რა მოგვიტანა თავისუფლებამ? რად გვინდოდა ეს დამოუკიდებლობა? მხოლოდ შიმშილი მივიღეთ, სხვა არაფერიო! სიმართლე გითხრათ, მიკვირს ასეთი ადამიანების, გაოგნებული ვარ. ჩვენ მივიღეთ ყველაზე მთავარი — თავისუფლების გემო. თავისუფლებას არც ერთი საჭმლის გემო არ აქვს და ის ყველაზე მაგარი გემოა მათ შორის, რაც შეიძლება ოდესმე გავსინჯოთ!“**

ძალიან შთამბეჭდავია, არა, ბატონი გელა ჩარკვიანის პათოსი?! ადამიანები საქართველოში ნამდვილად დაიხოცნენ შიმშილით ამ 30 წლის განმავლობაში. სხვათა შორის, ზოგიერთი „გონებამახვილის“ გასაგონად, რომლებიც ამ მძიმე თემაზე ხუმრობასა და ღლაბუცსაც კი კადრულობს, მინდა ვთქვა, რომ შიმშილით სიკვდილი არ არის მხოლოდ ის, როდესაც ადამიანი იმ მოცემულ მომენტში საკვების მიუღებლობით გარდაიცვლება. წლების განმავლობაში არასრულფასოვანი, მწირი კვება ორგანიზმის გამოფიტვასა და უამრავ დაავადებას იწვევს, ხოლო შემდგომ ასეთი ადამიანების სიკვდილი, როგორ ფიქრობთ, შიმშილით სიკვდილის კატეგორიას აღარ მიეკუთვნება? **შედეგი კი, რომელიც რეალურად მივიღეთ „ბალახის ჭამიდან“ ოცდამეათე წლის თავზე, არის საქართველოს განახევრებული მოსახლეობა. აღარაფერს ვამბობ იმქვეყნად წასულებზე და, ვინც ცოცხალი დავრჩით, ისინიც უცხოეთში წასულებად და სამშობლოში დარჩენილებად ვიყოფით. ემიგრანტები საშინელი ფიზიკური დატვირთვის ფასად შოულობენ ლუკმაპურს, ხოლო აქ დარჩენილები ან ემიგრანტების ხარჯზე ვართ, ან იძულებული ვხდებით, მართლაც მათხოვრულ ანაზღაურებაზე დღე და ღამე გავასწოროთ.**

„ბალახი“ მართლაც ვერ გამოდგა საკვებად. ეს უკვე დავადგინეთ, რაც შეეხება თავისუფლების გემოს, საკითხავია: ეგ გემო საიდან უნდა გაგვეგო? **საბჭოთა უღლისგან გათავისუფლებული საქართველო ახლა უკვე ამერიკის ელჩს უთანხმებს, დილით რომ გაიღვიძებს, საწოლიდან ჯერ მარცხენა ფეხი გადმოდგას თუ მარჯვენა. ეს არის თავისუფლება? ჰოდა, აბა, რანაირად უნდა გაგვეგო იმის გემო, რაც არ გვაქვს და არც არასდროს გვქონია? სიმართლე გითხრათ, ვერც მომავალ უახლოეს თაობებს ვუწინასწარმეტყველებ ასე თამამად თავისუფლების გემოს გაგებას. როგორც ჩანს, ამ გემოს მხოლოდ ისინი იგებენ ხოლმე, ვისაც რეალურადაც არასდროს მოშიებია.**

როგორც ჩანს, მწვადითა და დელიკატესებით კარგად „გამოსკდომის“ მერე უფრო შეიგრძნობა ეგ გემო, თორემ მშიერი ადამიანისგან არასდროს მსმენია, — თავისუფლების გემო გავიგეო.

საზოგადოდ, **დღევანდელ საქართველოში ძალიან მოდურია ყველაფრის გადაბრალება საბჭოთა წარსულისთვის და თავის გასაღება „კომუნისტებისგან დევნილ და შევიწროებულ წამებულად“.** დაახლოებით ამავეს ცდილობს ჩარკვიანების, ფანჯიკიძეების, ბუღაძეებისა და სხვა საბჭოთა ნომენკლატურული ინტელიგენციის ოჯახების წარმომადგენლები. **ლაშა ბუღაძე** კი, ქვას რომ ფეხი წამოჰკრას და დაეცეს, ამასაც „საბჭოთა ინერციას“ აბრალებს. საბოლოოდ ირკვევა, რომ კომუნისტების მმართველობის პერიოდში ყველა კომუნისტებს ებრძოდა. აი, ასეთი პარადოქსული ვითარება გვაქვს — **ვინც კი კომუნისტების მთავრობაში იყო, ვისაც კომუნისტები ხელის გულზე ატარებდა, ვაკეში ბინებს აძლევდა, სქელტანიან წიგნებს გამოუცემდა, შემოქმედებით მივლინებებში უშვებდა და წარმოუდგენლად მაღალ ჰონორარებს უწერდა — აი ესენიც კი „დევნილები“ ყოფილან კომუნისტებისგან და თვითონაც ებრძოდნენ თურმე კომუნისტებს!** თუმცა, თუ მთავრობაში მყოფებიც, ხელოვნების სფეროში წარჩინებული პიროვნებებიც და, საერთოდ, ყველა სფეროში თანამდებობებზე მომჯდარი ხალხი კომუნისტებს ებრძოდა, მაშ, თვით ეს კომუნისტები ვინღა იყვნენ?! ეს ხალხი საკუთარ თავს ებრძოდა თუ რაშია საქმე?! ეს კომუნისტები რაღაც არამიწიერი სუბსტანცია ყოფილა, რომელსაც ყველა ებრძოდა, მაგრამ ისინი მაინც მართავდნენ ქვეყანას?

საზოგადოდ, „ბრძოლის ჟინი“ რომ გვკლავს ქართველებს, როგორც ჩანს, ეს არის ჩვენი მთავარი უბედურება, ანუ, გარდა იმისა, რომ 30 წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც თავისუფლებისა და „ბალახის გემოს“ გაგება გადავწყვიტეთ, ამასთანავე, ზუსტად ამდენივე წელიწადი გადის მას შემდეგაც, რაც ჩვენს მტრებს ზედიზედ „ვაჩმორებთ“, მაგრამ საბოლოოდ წაგებული მაინც ჩვენ ვრჩებით.

ერთ საღამოს რომელიღაც ტელეარხმა ქართველთა შორის შეუთანხმებლობასა და აგრესიას მიუძღვნა გადაცემა. ტელევიზორის ხმა გვერდითა ოთახიდან გამოდიოდა, არ მიყურებია და ამიტომ ვერ გეტყვით, რომელი ტელეარხი იყო. მთავარი არის ის, რომ ჩემი ყურით მოვისმინე ფრაზა: **„ზვიად გამსახურდია სწორ და ხისტ პოლიტიკას ატარებდა რუსეთის მიმართ. ხომ გახსოვთ, მან აიძულა ელცინი, ჩამოსულიყო ჩვენს ტერიტორიაზე, კერძოდ, ყაზბეგში, აქ გაემართა მოლაპარაკებები და რუსეთი იძულებული შეიქნა, ეღიარებინა საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების კანონიერება“.**

სიმართლე გითხრათ, „ქართველთა შორის აგრესიის“ თემაც, საზოგადოდ, გადაჭარბებული მეჩვენება, რადგან მსგავსი ამბები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ხდება, თუმცა ამ თემის განხილვას ახლა არ ვაპირებ. მინდა, უბრალოდ, თქვენი ყურადღება მივაქციო მოყვანილ ციტატაში სიტყვებს **„ელცინი აიძულა“** და **„რუსეთი იძულებული შეიქნა“.** აი, აქ ჩანს ყველაზე ნათლად, რატომ არ აქვს საქმე კარგად ჩვენს ქვეყანას, უკვე 30 წელიწადია, და, თუ ასე განვაგრძეთ, წინ უარესი „პერსპექტივა“ გველის.

აბა, დაუკვირდით: **თურმე მაშინ, ჩვენი „დამოუკიდებლობის“ გარიჟრაჟზე, ჩვენმა მეზობელმა უზარმაზარმა სახელმწიფომ და ჩვენმა ყოფილმა დამპყრობელმა პატივი კი არ გვცა, მისი მეთაურისგან ჩვენს ტერიტორიაზე მოსალაპარაკებლად ჩამოსვლა ჩვენდამი პატივისცემის გამოხატულება და კეთილი ნების ჟესტი კი არ იყო, არამედ ჩვენ, კონკრეტულად კი ჩვენმა პრეზიდენტმა იგი „აიძულა“, „დააჩმორა“, „ყურით ჩამოათრია“ და მერე, ალბათ, „პანღურის კვრითაც“ გაისტუმრა, ხო?**

ხომ არ გაგონებთ ყოველივე ეს 2008 წლის ამბებს, კერძოდ, იმას, როდესაც **ვლადიმერ პუტინმა** განკარგულება გასცა ჯერ გორიდან, შემდეგ კი საჩხერის რაიონიდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე და ორივე შემთხვევაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა და **მიხეილ სააკაშვილმა** აჟიტირებული განცხადებები გააკეთეს — აი, რუსეთს შეეშინდა ჩვენი ზეწოლის და ჯარები გაჰყავსო.

თუმცა შედარება მთლად ზუსტი მაინც არ არის, ვინაიდან მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდია „აჩმორებდა“ რუსებს, მართლაც გაცილებით უკეთესი „საწყისი პოზიციები“ გვქონდა და სულელურ-მეტიჩრული გამოხდომები რომ არ დაეწყო საქართველოს ხელისუფლებას, შეიძლება უკეთესად წასულიყო ჩვენი საქმე.

იმხანად სოხუმს ჯერ კიდევ სრულად აკონტროლებდა საქართველოს ცენტრალური მთავრობა, ხოლო, ცხინვალის ავტონომიის გაუქმებაზე თანხმობის სანაცვლოდ, რუსეთმა პირობა ჩამოგვართვა, რომ არ ჩავერეოდით მის საშინაო საქმეებში, კერძოდ, ჩეჩნეთის ამბებში და არ გამოვაცხადებდით ჩრდილო-ატლანტიკურ სამხედრო ალიანსში შესვლის სურვილს.

როგორც კი **ელცინი** საქართველოდან წავიდა, ატყდა ზვიად გამსახურდიას ქებადიდება: ნახეთ, რა მაგარია ჩვენი ზვიადი, როგორ აიძულა რუსეთის პრეზიდენტი, საქართველოში „ჩამოთრეულიყო“ და ჩვენს ყველა პირობაზე დათანხმებულიყოო. მიდი, ზვიად, მიაწექი, აწი ეგეთი შანსი აღარ გვექნება, რუსეთი ბოლომდეა გატეხილი და გადავუაროთო. ამით გაბრიყვებულმა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობაც სცნო და საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენლობაც გახსნა, ნატოში შესვლის სურვილიც არ დამალა და რუსეთს მუქარაც კი შეუთვალა. ერთი სიტყვით, „ჭკვიანმა“ საქართველომ „ბრიყვი“ რუსეთის „გადაგდება“ სცადა.

საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ **რუსეთმა, ცხინვალის გარდა, სოხუმშიც „აგვიფეთქა“ სიტუაცია. მოგვიანებით, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, როდესაც კიდევ ერთხელ დავიყოლიეთ რუსეთი, ცხინვალში სიტუაცია „დაეკონსერვებინა“, ხოლო სოხუმში დაეწყნარებინა, ისევ და ისევ ჩავთვალეთ, რომ რუსეთმა განა დაგვითმო, არამედ დავაჩმორეთ. შედეგად სოხუმ-ცხინვალის დე ფაქტო დაკარგვა მივიღეთ.**

ხოლო, როდესაც „რუსეთის დაჩმორება“ ასევე „წარმატებით“ განაგრძო **მიხეილ სააკაშვილმა**, უკვე ამ ტერიტორიების რუსეთისგან დე იურედ აღიარების ფაქტის წინაშეც დავდექით...

**ახლა უცებ რომ ჩამოვიდეს თბილისში ვლადიმერ პუტინი, გვითხრას, დაგიბრუნებთ სოხუმსაც, ცხინვალსაც, მოდით, დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ, ჩვენი ინტერესებიც გარკვეულწილად გაითვალისწინეთ და ვიცხოვროთ მშვიდადო, როგორი რეაქცია ექნება საქართველოს ხელისუფლებას და ქართველთა არცთუ მცირე ნაწილს?**

აუცილებლად ატყდება აჟიოტაჟი: „რუსებმა ჩაისვარეს! ნახეთ, ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო თა- ▶

**ეს უსაზღვრო კადნიერება ეკუთვნის საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორ ნიკა გვარამიას, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის ზეობისას ისეთი ცოდვის კალო დაატრიალა, წესით და რიგით, ვირის აბანოს უნდა ხეხავდეს, მაგრამ კოაბიტაციის წყალობითა და ქოცების ხელშეწყობით ტელევიზიის დირექტორია და ეს პირწავარდნილი დარდაკა („დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი) ჩოხა-ახალუხზე ქირქილებს, თან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს სათითაოდ და კოლექტიურად საჯაროდ აგინებს დედას. სად ხართ, ქოცების ხელისუფლების უსახო სახეებო?**



ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნამეგობრობის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო! რუსეთის იმპერია დავამარცხეთ! დედა ვუტირეთ! პუტინი აქეთ გვეხვეწება მშვიდობას! ე, ბიჯო, ბოლომდე გადავუაროთ, სანამ დროა და სანამ აზრზე მოსულან!“

არა, რა თქმა უნდა, ისეთი გულუბრყვილო არც მე ვარ, რომ პუტინისგან ასეთი ნაბიჯის შესაძლებლობა ამ პირობებში დავუშვა და არც პუტინია მიამიტი, რომ ეს ნაბიჯი გადმოდგას ქართულ სახელმწიფოსთან მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით. უბრალოდ, მინდოდა, დამენახვებინა, რა არის ჩვენი ძირითადი უბედურება და რა პრობლემა გვჭირს ცნობიერებაში ქართველ საზოგადოებას.

ჩვენ არ შეგვიძლია, თუნდაც ფორმალურად, მადლობა გადავუხადოთ მეზობელ და ძლიერ სახელმწიფოს მისი მხრიდან გადმოდგმული კეთილი ნების ნაბიჯის გამო, თუნდაც ამ ნაბიჯს მართლაც განაპირობებდეს არა „კეთილი ნება“, არამედ სხვა ფაქტორები. ის კი არ ვეძახოთ: „დაგაჩმორეთო“ და კი არ ვაიძულოთ, პრესტიჟი დაიცვას, არამედ შევაფასოთ ამ სახელმწიფოს ხელისუფლების მხრიდან დათმობები „კეთილ ნებად“ და ამით ჩვენც ჩვენთვის სასარგებლო შესაძლებლობების მაქსიმუმი მივიღოთ.

არა, უაზრო სიამაყე ამის უფლებას არ გვაძლევს და აუცილებლად „მტერი დავამარცხეთ!“ პოზაში უნდა ჩავდგეთ.

ცნობისთვის: **სომხეთმა უკვე მოაწერა ხელი ევროკავშირის ქვეყნებთან ზუსტად ისეთივე ხელშეკრულებას, როგორსაც ჩვენ „შალახო“ ვუცეკვეთ თავის დროზე და დიდი სიხარულით ვაუწყეთ ერს, რომ აი, მართალია, სოხუმი და ცხინვალი დაკარგუალია, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთთან მკაცრი პოზიციის გამოხატვითა და ყოველგვარ რუსულზე უარის თქმით ისე მოვხიბლეთ ევროპელები, რომ ასეთი „ოქროს ხელშეკრულება“ გაგვიფორმეს და ვიზალიბერალიზაციაც მოგვცეს.**

არადა, სომხეთს ყარაბახი, დაკარგული კი არა, მოპოვებული აქვს; ხოლო რუსეთთან არათუ, უბრალოდ, რაიმე სტრატეგიული ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, არამედ ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნაზეც საუბრობს, პარალელურად კი, ევროპასთან ზუსტად ისე მეგობრობს, როგორც ჩვენ.

**ვისწავლით ოდესმე ჭკუას? არა მგონია! ჩვენ ხომ ისევ და ისევ დაჟინებით ვიმეორებთ სწორედ იმ „დიადი პოლიტიკოსის“ სიტყვებს, რომელმაც თავის დროზე სამტრედიასთან რუსეთს „ბლოკადა“ გამოუცხადა მათი „უბორჯომოდ“ დატოვების მიზნით და მასავით უაზროდ გავიძახით: „შედეგი გვაქვს უზარმააზარი!“**

და თანაც — **გელა ჩარკვიანის მსგავსნი, ყოველთვის ყველა ბოთლზე ფომფლოდ მორგებულები, გვასწავლიან, როგორია „თავისუფლების გემო“...**

მრავალ ახალ წელს!

# ეკუმენისტი ბართლომეს საქმე არ არის, საქართველოს პატრიარქი სად ჩავა და რას მოიმოქმედებს

**მამული — გაგლეჯილ-გამოგლეჯილი, სარწმუნოება — შეგინებული, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქი — შეურაცხყოფილი, ქართველი ქალი — ლეჩაქახდილი, მამაკაცები — ღირსება აყრილნი; ტრადიციული ქართული ოჯახის ინსტიტუტი — მასხრად აგდებული, მოწამვლის არცთუ წარუმატებელი მცდელობები, ნარკომანია-პროსტიტუცია, მამათმავლობა — ფაქტობრივად, ლეგალიზებული და წახალისებული — ეს იმ სიავეთა და უზნეობათა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ბოლო 20 წლის განმავლობაში გრანტების ცეცხლითა და ლიბერალიზმის მახვილით დაინერგა საქართველოში.**



ახალი წლის დამდეგს უნდა ვაღიაროთ: თუ ადრე ლიბერასტული იდეოლოგიის შემოტევებს მეტ-ნაკლები წარმატებით ვიგერიებდით, გასულ წელს ქართველმა საზოგადოებამ ლეგიონთან ბრძოლა წავაგეთ. თანაც ისე წავაგეთ, რომ „ხვალინდელის ნისლში“ საიმედო არაფერი ჩანს. ჰოდა, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!“

„ჩოხების გამო ვინც ატრაკებს, ყველა დასაცინი და ბნელია. ჩოხა, წმინდა სამოსი კი არა, მეცხრამეტე საუკუნის საროჩკა და პიჯაკია, დღეისთვის მოდიდან გადასული, ყანებო. მეცხრამეტე, გინდაც მეთვრამეტე საუკუნეში გეებს (ხო, არსებობდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ) ჩოხა არა მარტო ეცვათ, ზოგჯერ გახდა ეზარებოდათ და ჩოხაშივე ტ...ნაურობდნენ და ბილწავდნენ „წმიდა სამოსს“...

ეს უსაზღვრო კადნიერება ეკუთვნის საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორ **ნიკა გვარამიას,** რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის ზეობისას ისეთი ცოდვის კალო დაატრიალა, წესით და რიგით, ვირის აბანოს უნდა ხეხავდეს, მაგრამ კოაბიტაციის წყალობითა და ქოცების ხელშეწყობით ტელევიზიის დირექტორია და ეს პირწავარდნილი დარდაკა („დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი) ჩოხა-ახალუხზე ქირქილებს, თან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს სათითაოდ და კოლექტიურად საჯაროდ აგინებს დედას. სად ხართ, ქოცების ხელისუფლების უსახო სახეებო?

თითოეულს, ალბათ, „შიფანერკაში“ გიკიდიათ ჩოხა-ახალუხები და „პრაზდნიკებზე“ იცვამთ „სამარიაჟოდ“. რატომ პასუხს არ სცემთ ძაღლის გაგდებულ გვარამიას? ხელისუფლება ვახსენე და მათი უსახო სახეები, რომელთა სახელი ლეგიონია. ამას წინათ საკუთარ თავს კითხვა დავუსვი: ამ ლეგიონიდან ვინმეს ვცემ პატივს? ბევრი ვიფიქრე, თავს ძალაც დავატანე, მაგრამ ასეთი ვერავინ გავიხსენე და თქვენ, ხალხო, ვინმეს სცემთ პატივს ხელისუფლებაში? სამწუხაროდ, ეს კითხვა, ბოლო წლებია, რიტორიკულია და იმიტომაც ვზივართ ნეხვში, რომ **მდინარაძეებს, კობახიძეებს, თალაკვაძეებს, ჩუგოშვილებს,** „ეფრეიტორ“ **ლომჯარიებს,** „კაპიტან“ **გიგაურებსა** და სხვა უსახო სახის ლიბერასტებს აბარიათ ქვეყნის მართვის სადავეები; ქვეყნისა, რომლის გმირული ისტორია, გაუნათლებლობიდან შობილი უვიცობის გამო, არ იციან ან, თუ იციან, კიდევ უარესი — სამშობლო არ სტკივათ და ამიტომ ფეხებზე ჰკიდიათ ის, რომ **„ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**

ცალკე საუბრის თემაა **ბიძინა ივანიშვილის** ბაგაზე დაბმული ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელიც სიტყვით ყველაფერს გმობს, რაც ლიბერასტულია, ზემოჩამოთვლილ ქოცების უსახო სახეებსაც „დიდი სიყვარულით“ მოიხსენიებს, მაგრამ, როდესაც შეახსენებ, რომ ჩუგოშვილები, კობახიძეები, მარგველაშვილები და სხვა ბუდარა-ბუდარიხები ივანიშვილის მოთრეულები არიან „ქართულ ოცნებაში“, უკეთეს შემთხვევაში, უმალ ხელებს გაასავსავებენ, — ყველა დამნაშავეა, გარდა „სამების აღმშენებელი“ და „საქართველოს გადამრჩენი“ ბიძინა ჭორვილელისაო... ხოლო უარესში მამა-მარჩენალისადმი პირად ერთგულებაზე დაიწყებენ ღნავილს და იმას კი ვეღარ ხვდებიან, რომ ამ ერთგულებით, ნებსით თუ უნებლიეთ, სამშობლოს ორგულობენ.

**სად არის აქ ელემენტალური ლოგიკა თუ საღი აზრი? სად და იმ მსუყე „კარმუშკაში“, რომელსაც „ქართუ ბანკის“ ბანკომატი ჰქვია. საზოგადოდ, ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობა მაამებლობის, კონფორმიზმის, კუჭის ფილოსოფიის კლასიკური გამოხატულებაა. დასავლელ შემოქმედთაგან განსხვავებით, რომლებიც, რაც უფრო დიდი ხელოვანები არიან, მით უფრო შორს უჭირავთ თავი ხელისუფალთაგან, ქართველი შემოქმედნი პირიქით — იშვიათი გამონაკლისის გარდა, რაც უფრო დიდები არიან, მით ბევრ ვაზელინს მოიხმარენ. ისინი, ვინც დღეს ჭორვილელ მილიარდერს უძვრებიან, ადრე სააკაშვილსა და შევარდნაძეს უძვრებოდნენ.**

მოკლედ, ჩვენი ინტელიგენცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იმ მაიმუნს ჰგავს, რომელსაც თვალზე ლიბრი აქვს, ყურებში — ბამბა და ენაზე — ბოქლომი, ანუ ვერაფერს ხედავს, არაფერი ესმის და არაფერს ამბობს, ოღონდ კი „ქართუ ბანკის“ ბანკომატს 30 ვერცხლი სცვიოდეს.

პატრიარქის მოწამვლა უნდოდათ თუ **შორენა თეთრუაშვილის** მოკვდინება, ორივე შემთხვევაში საპატრიარქოში ჩაბუდებული მეუფე პეტრეს ე.წ. ფსევდორეფორმატორები მომძლავრდებოდნენ; ფსევდო, რადგან მათი „რეფორმის“ არსი არის ის, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია როგორმე დააყენონ ლიბერასტულ რელსებზე, ისევ შეიყვანონ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, რომელიც თავის დროზე დავტოვეთ, როგორც ეკუმენისტური გაერთიანება, რომელიც ერესი, მწვალებლობაა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

ანალოგიურ კონტექსტშია განსახილველი ე.წ. მსოფლიოს პატრიარქ **ბართლომეს** მიერ კუნძულ კრეტაზე გამართული მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელში მონაწილეობასაც ესწრაფვოდნენ ქართველი მეუფე ყანდურნი, მაგრამ, მათი მეცადინეობის მიუხედავად, **ილია მეორემ** უარი განაცხადა კრეტაზე საქართველოს ეკლესიის დელეგაციის ჩასვლაზე, ისევე, როგორც რუსეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა, რადგან საფუძვლიანი ეჭვი არსებობდა, რომ კუნძულ კრეტაზე იმაზე კი არ იქნებოდა კამათი, რამდენი ეშმაკი ან ანგელოზი დაეტევა ნემსის წვერზე, არამედ იმაზე, როგორ უნდა გამხდარიყვნენ ზემოხსენებული ეკლესიები ლიბერალურები, საიდანაც ერთი ნაბიჯია სოდომის ცოდვის მიმართ ლოიალურობამდე. მით უმეტეს, რომ კუნძულ კრეტაზე ის პროტესტანტული ეკლესიებიც ჩავიდნენ, რომლებიც არათუ ლოიალურობას იჩენენ სოდომიის მიმართ, არამედ, კარგა ხანია, ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ჯვრისწერაზეც არ ამბობენ უარს.

ზემოთ, როცა ბართლომეს მიმართ „ეგრეთ წოდებული“ ვიხმარე, ის მქონდა მხედველობაში, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყაროს წინამძღოლად მხოლოდ ნომინალურად ითვლება კონსტანტინეპოლის (სტამბოლის) პატრიარქი და არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კონსტანტინეპოლის (სტამბულის) საპატრიარქო, სავარაუდოდ, ერთი მხრივ, თურქეთის და, მეორე მხრივ, აშშ-ის სპეცსამსახურების დაფინანსება-კონტროლის ქოლგის ქვეშაა შეფარებული...

ამავე ოპერიდან იყო **ტელეკომპანია „იმედის“** ამასწინანდელი ვიზიტი სტამბოლში და მსოფლიო პატრიარქთან ჩაწერილი ინტერვიუ, რომელშიც ბართლომე ყოველგვარ ზღვარს გადავიდა, უწოდა რა კუნძულ კრეტაზე საქართველოს ეკლესიის არჩასვლას მართლმადიდებლობის უპატივცემულობა და იქვე მოუწოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ხელახალი გაერთიანებისკენ, რაც ჩვენი პატრიარქის შეურაცხყოფად აღვიქვი, რადგან არავის, მით უმეტეს, ეკუმენისტი ბართლომეს საქმე არ არის, საქართველოს პატრიარქი სად ჩავა და რას მოიმოქმედებს.

ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლია, რომელთა საერთო მიზანი არის ის, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ რუსეთის ეკლესიასთან ევქარისტული კავშირი გაწყვიტოს, რაც, ერთი მხრივ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უარის თქმის ტოლფასია და, მეორე მხრივ, რადგან მსოფლიო პატრიარქი, ფაქტობრივად, რუსეთის პატრიარქი კირილეა, როგორც უდიდესი და უმდიდრესი ეკლესიის მესაჭე, ხოლო რუსეთი მესამე რომია, მისგან ქართული ეკლესიის შორს ყოფნა და, შესაბამისად, ბართლომესთან დაახლოება, ადრე თუ გვიან, ქართული ეკლესიის ერთიანი სხეულის დაშლას გამოიწვევს, ისევე, როგორც დაიშალა საბერძნეთის ეკლესია.

არადა, რატომ? რისთვის? რადგან, როცა „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისთვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?..

ხლისტებთან ბრძოლა წავაგეთ-მეთქი და მართლაც, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერჯერობით მხოლოდ ბრძოლა და არა ომი, მაგრამ ეს „ჯერჯერობით“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

მთავარი ბრძოლა, როგორც ჩანს, მომავალი წლის 17 მაისს გველის.

საქართველო, რუსეთისა და ბელარუსის მსგავსად, ის მართლმადიდებელი სახელმწიფოა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელშიც ვერაფრის დიდებით (თუ ვერაფრის დოლარებით?) ვერ ჩაატარეს გეიაღლუმი, რაც უკვე აშკარა გაღიზიანებას იწვევს დასავლეთის ლიბერასტულ წრეებში. ალბათ, სწორედ ამიტომ შეიტანა ოფიციალურად ქოცების ხელისუფლებამ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის აღსანიშნავად ღონისძიებების ჩატარება, რაც ჩვენებურ ენაზე ლგბტთა აღლუმის გამართვით რუსთაველის პროსპექტის წაბილწვას ნიშნავს.

ისე, ცნობისთვის: ხელისუფლებამ ამ მხრივ გენერალური რეპეტიცია უკვე გაიარა ა.წ. ივლისში, როდესაც პოლიციის კორდონით უზრუნველყო ნაცების უპრობლემოდ ჩავლა პლეხანოვზე. დიახ, გენერალური რეპეტიცია, რადგან გეიაღლუმი და ნაცების საპროტესტო სვლა ქუჩაში ერთი და იგივეა. სულ ახლახან სახალხო დამცველად მართლმადიდებლობის მტრის, „ეფრეიტორ“ ლომჯარიას, არჩევით მომავალი 17 მაისის საერთაშორისო მხარდაჭერაც გაინაღდა ქოცების ხელისუფლებამ.

ჰოდა, მერე რა, რომ... **„ლანგთემურებმა ჩვენს სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვაქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭამოს. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**

მართლაც ცოდოა, რომ ეს ქვეყანა, ქრისტეს კუნძული, ჩვენი სამშობლო, ლიბერასტ-პედერასტებს დავუტოვოთ საჯიჯგნად.

ახალ წელს გილოცავ, „ჩემო კარგო ქვეყანავ“!

**დავით მხეიძე**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბავშვები მშობლებისგან, სამწუხაროდ, უკონტროლო მდგომარეობაში არიან. ბუნებრივია, მათ უმეტესობას მოუნდება ნარკოტიკის გასინჯვა. ზოგი ამ ნარკოტიკს დაეჩვევა, ზოგს სწავლა აღარ მოუნდება, ზოგი ნარკოტიკის შესაძენად თანხის მოძიებას დაიწებს, ალბათ, არაკანონიერი გზით და რა იქნება ამ ყოველივეს შედეგი?“**



მამა ვახტანგი (დავითაშვილი):

# უნდა შევეწინააღმდეგოთ ქვეყანაში უზნეობისა და სოდომიის გავრცელებას

**ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი — ევროკომისია, საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონის დახვეწისა და მასში ცვლილებების შეტანისკენ მოუწოდებს. დოკუმენტში, რომელიც 20 დეკემბერს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ანგარიშის ფარგლებში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ ცვლილებები კანონის უფრო ეფექტიანად განხორციელებისთვისაა საჭირო.**

დოკუმენტი ექვსი „რეკომენდაციისგან“ შედგება და მათგან ხუთის აუცილებლობა იმავე დოკუმენტში ვრცლადაა განმარტებული. ერთ-ერთი „რეკომენდაცია“, რომლის მიზანიც მოკლე და ზოგადი შეფასებით შემოიფარგლება, ანტიდისკრიმინაციულ კანონში ცვლილებების აუცილებლობას ეხება. შესაბამისად, უცნობია, რას გულისხმობენ ან შეიძლება გულისხმობდნენ ევროკომისიის ხელმძღვანელები „კანონის უფრო ეფექტიან მოქმედებაში“. შეგახსენებთ, რომ აღმოსავლეთ ევროპის (და არა მხოლოდ) რიგ ქვეყნებში ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ სწორედ მსგავსი ცვლილებების შედეგად დაკანონდა. ასე მოხდა 2015 წელს საბერძნეთში, როცა, საზოგადოების მძლავრი პროტესტის მიუხედავად, 300-დან 193-მა პარლამენტარმა ლგბტ პირების ქორწინებას მხარი დაუჭირა; ასე მოხდა საფრანგეთში 2013 წელს, როცა პარიზში, სენატის 9 აპრილის გადაწყვეტილებით, უკმაყოფილო მილიონზე მეტი მოქალაქე ქუჩაში გამოვიდა. როგორც ჩანს, საქართველოც, ვიზალიბერალიზაციის კვალდაკვალ, ნელ-ნელა იმ გადაწყვეტილებისკენ მიდის, რომ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება ოფიციალურად დაკანონდეს. დიდი ალბათობით, დასავლეთიდან ნაკარნახევი ცვლილებებიც სწორედ ამისთვის ამზადებს საკანონმდებლო ნიადაგს და შემდეგი, უფრო საფუძვლიანი ცვლილებისთვის ქმნის ბაზას.

რა ცვლილებები შეიძლება იგულისხმებოდეს რეალურად ევროკომისიის „რეკომენდაციებში“ და რა არის საჭირო, ხელისუფლებამ, განსხვავებით საბერძნეთისა და საფრანგეთისგან, საზოგადოების ნების უგულებელყოფა რომ ვერ მოახერხოს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის წმიდა მარკოზ ეფესელის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი ვახტანგი (დავითაშვილი).**

**— მამაო, რამდენიმე დღის წინათ ევროკომისიამ საქართველოს ხელისუფლებას „რეკომენდაციით“ მიმართა, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონში ცვლილებები შეიტანოს. მათი განმარტებით, ეს ცვლილებები ანტიდისკრიმინაციულ კანონს უფრო ეფექტიანს გახდის. თქვენ, როგორც სასულიერო პირი, როგორ ფიქრობთ: რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს უფრო მეტი ეფექტიანობა იმ კანონისა, რომელიც თავის დროზე მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ მიიღეს?**

— მოგესალმებით და მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველს. გილოცავთ შობის დღესასწაულს. მაცხოვრის შობა არის საფუძველი ჩვენი რწმენისა. მაცხოვრის შობით კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ქვეყნად იშვა ყველა ადამიანის მხსნელი. ღმერთმა ადამიანური ბუნება სამუდამოდ შეიერთა და, ბუნებრივია, ეს მოვლენა დიდი საიდუმლოს მქონეა, ამიტომაც ბრძანებს მაცხოვრის შობის შესახებ წმიდა ათანასე დიდი: „მშობელსა ვხედავ და შობილსა განვიცდი თვალითა, ხოლო სახესა მას შობისასა ვერ ძალმიძს მიწვდომად“.'უფლის შობა არის ჩვენი რწმენის სათავე და ნებისმიერი ქრისტიანისთვის სანუკვარი დღე.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, აქ რამდენიმე კომპონენტი უნდა გამოიყოს. პირველ რიგში, როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონზე ვსაუბრობთ, უნდა ვთქვათ, რატომ მიიღეს საქართველოში ეს კანონი. ჩვენ, ყველანი, ვთანხმდებით, რომ **საქართველოში არასდროს არავის ჩაგრავდნენ სქესის, რასის, შეზღუდული შესაძლებლობის თუ სხვა გარემოებების გამო, მაგრამ ამ კანონმა ყველაფერი ყირამალა დააყენა.** კერძოდ, რას ვგულისხმობ: ჩვენ პარლამენტარებს შთავაგონებდით, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ აუცილებლად დაიწყებოდა უზნეობისა და გარყვნილების საჯაროდ დემონსტრირება, რადგან ეს ცვლილება, ძირითადად, გათვლილი იყო ლგბტ თემის დაცვაზე. ეს ერთი. ახლა მკითხველს ორიოდე სიტყვით შევახსენებ, რა მოსდევს ამ ცოდვას — სოდომიას: პირველი წარღვნა დედამიწაზე უზნეობამ და გარყვნილებამ გამოიწვია და უფლის რისხვას მხოლოდ 8 ადამიანი გადაურჩა. **სოდომი და გომორა ცეცხლში დაიწვა და, სხვათა შორის, ამ ადგილებს დღემდე ასდის დამწვარი გოგირდის სუნი. თევზი, თუ ის შემთხვევით მკვდარ ზღვაში მდინარე იორდანეს ჩამოჰყვება, მაშინვე კვდება. ასე მძიმე და საზარელია მამათმავლობა, თუმცა დღეს გვეუბნებიან, რომ ეს ადამიანები კი არ სცოდავენ, არამედ ბუნებრივად აქვთ ასეთი მოთხოვნილება და ეს ცოდვა არ არის.** როცა ჩვენ ვამბობთ, რომ მამათმავლობა, ლესბოსელობა და სხვა მსგავსი უზნეობა არის გადამდები სენი, ამაში ვგულისხმობთ ცოდვის გავრცელების საფრთხეს. არავინ ამბობს, რომ სოდომია ვინმეს გრიპის ვირუსივით გადაედება, მაგრამ მიმბაძველობითა და ეშმაკის ცდუნებით მოხდება მისი გავრცელება. **როგორ ფიქრობთ, სოდომსა და გომორაში ვინც ცხოვრობდა, დაბადებიდანვე ჰქონდათ თავიანთი სქესის ადამიანებისადმი ლტოლვა? — რა თქმა უნდა, არა, მაგრამ პატარა ბავშვები ხედავდნენ უფროსების უზნეობას, მათ არავინ არიგებდა, არავინ ასწავლიდა სიწმინდეს და ისინიც მამათმავლობას ბუნებრივ მდგომარეობად აღიქვამდნენ. „მოხუცები ურცხვად სცოდავდნენ. ახალგაზრდები მათ ბაძავდნენ და იმავეს აკეთებდნენ, რასაც მათი მამები. ჰოი, რარიგ დამღუპველია ახალგაზრდის სულისთვის მხცოვანთაგან მიცემული მაცდუნებელი მაგალითი! ვაი, ჭაბუკთა მაცდუნებელ მოხუცთ!“** — ბრძანებს წმიდა **დიმიტრი როსტოველი.** ძველი ქართული ანდაზაა: ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.'წმიდა ეკლესია ასწავლის, რომ, თუ არ მოხდება ცოდვის მხილება, იგი, როგორც სარეველა ბალახი, გარემოს მოედება, ამიტომ ცოდვის მხილება აუცილებელია. **სწორედ ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი კრძალავს ჩვენს მთავარ მოვალეობას, რომ კაცობრიობას სიმართლე ვუქადაგოთ. აი, რა იყო თავიდანვე ჩვენი შეშფოთების მიზეზი. ამ ეშმაკური კანონით ადამიანს ეკრძალება სიმართლის თქმა, რომ სოდომია ცოდვაა და, თუ ადამიანმა არ შეინანა, ღვთისგან სასჯელს დაიტეხს თავზე.**

არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ, თუ პარლამენტი ან, თუნდაც უზენაესი სასამართლო მიიღებს ღვთის მცნების საწინააღმდეგო კანონს და საზოგადოება ამ მოვლენას დუმილით შეხვდება, ეს ცოდვა ერს დანაშაულად შეერაცხება, რადგანაც საზოგადოებამ თავისი სიჩუმით უფლის წინააღმდეგ გაილაშქრა. „დუმილით გაიცემა ქრისტე“, — ბრძანებს წმიდა **გრიგოლ ღვთისმეტყველი.**

**— მიუხედავად საზოგადოებისა და სამღვდელოების უკმაყოფილებისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ „უმცირესობის“, ანუ „ლიბერალების“ პროპაგანდისტული ზეწოლის შედეგად ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის, მარიხუანის, დეკრიმინალიზაცია მოახდინა და ამით, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო ნარკომანიას. თქვენი აზრით, რას მოგვიტანს ეს ცვლილება და როგორ აისახება იგი მომავალ თაობაზე?**

— წმიდა **მოციქული პავლე** თავისი ეპისტოლეთი ქრისტიანებს მიმართავს და ბრძანებს, რომ ადამიანი არ უნდა თვრებოდეს ღვინით, რომლისგანაც წარმოიშობა სიბილწე, არამედ უნდა აღივსოს სულიწმიდის მადლით. კანაფის, იმავე მარიხუანის, მოხმარება — ეს არის ადამიანის არაფხიზელ, გაბრუებულ მდგომარეობაში ყოფნა. სხვათა შორის, ერთ-ერთი საეკლესიო მოღვაწე, **წმიდა ბასილი დიდი** გასაოცარ სიტყვებს ბრძანებს მემთვრალე ადამიანზე: არც ერთი თავმოყვარე ადამიანი მემთვრალე კაცს სახლში არ შეუშვებს და, მით უფრო, ღმერთი არ შეუშვებს მას ცათა სასუფეველშიო. იგივე პავლე მოციქული, როცა უმძიმეს ცოდვებს ჩამოთვლის, რომლებიც ადამიანს განაყენებს ცათა სასუფევლისგან, მემთვრალეობასაც ასახელებს; ხოლო წმიდა **იოანე ოქროპირი** მას ეშმაკეულს უწოდებს. ანუ, ეკლესია ასწავლის, რომ არათუ მარიხუანით თრობა, არამედ ღვინით თრობაც კი მიუღებელია და ადამიანი ამ ცოდვით სულს ვერ იცხონებს. **რამდენი ადამიანი გვინახავს, რომელიც ნარკოტიკმა დაღუპა, რამდენი ოჯახი დანგრეულა ამ ცოდვის გამო, ნუთუ ეს საკმარისი არ არის?** ნარკოტიკი აკრძალული იყო და მაინც რამდენი მომხმარებელი ჰყავდა მას და, როცა ლეგალიზებული იქნება, ვინ გააკონტროლებს ჩვენი მომავალი თაობის მდგომარეობას? აბა, დააკვირდით: **უმეტესობა, ვისაც მარიხუანის დაკანონება უნდა, მისი მოხმარებელია. რა გამოდის? იმის გამო, რომ მან „დაბოლილმა“ მშვიდად იაროს ქალაქში, ჩვენი შვილები და მომავალი თაობა შიშის ქვეშ უნდა გვყავდეს?** შეხედეთ რა დღეში არიან ჩვენი შვილები, მათ სიწმინდის მასწავლებელი აღარავინ დარჩათ. ბავშვებს სკოლებში გამუდმებით ელაპარაკებიან უფლებებზე მასწავლებლები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები... მოზარდს ამით ხომ ცნობიერება უზიანდება. ერთადერთი ეკლესია ასწავლის ბავშვების ზნეობრივ აღზრდას, თუმცა, სამწუხაროდ, ეკლესიის წევრებს უფლება არ ეძლევათ სკოლებში ბავშვებთან ურთიერთობისა, რაც, ძალზე სამწუხაროა. კიდევ ვიმეორებ: თუ მოზარდი თაობისთვის ნარკოტიკი ხელმისაწვდომი იქნება და, რადგან **ბავშვები მშობლებისგან, სამწუხაროდ, უკონტროლო მდგომარეობაში არიან, ბუნებრივია, მათ უმეტესობას მოუნდება ნარკოტიკის გასინჯვა. ზოგი ამ ნარკოტიკს დაეჩვევა, ზოგს სწავლა აღარ მოუნდება, ზოგი ნარკოტიკის შესაძენად თანხის მოძიებას დაიწებს, ალბათ, არაკანონიერი გზით და რა იქნება ამ ყოველივეს შედეგი? ჩვენი მომავალი თაობა უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.**

— კულუარებში საუბრობენ იმაზეც, რომ დეკრიმინალიზაციის შემდეგ დღის წესრიგში ნარკოტიკების ლეგალიზების საკითხი დადგება. რა გზა რჩება საზოგადოებას ან თუნდაც სამღვდელოებას იმისთვის, რომ რამენაირად წინ აღუდგეს ამ პროცესს და არ მისცეს გარედან მართულ ხელისუფლე- ▶

**«უმეტესობა, ვისაც მარიხუანის დაკანონება უნდა, მისი მოხმარებელია. რა გამოდის? იმის გამო, რომ მან «დაბოლილმა» მშვიდად იაროს ქალაქში, ჩვენი შვილები და მომავალი თაობა შიშის ქვეშ უნდა გვყავდეს?»**

**თუ ადამიანი იტყვის რამეს ლგბტ თემაზე, არ შეიძლება, ეს მას აგრესიად ჩაუთვალო და სასწავლებლიდან გარიცხო, ხოლო სალანძღავი ქმედება ან ღვარძლიანი ნათქვამები ეკლესიაზე, სარწმუნოებაზე ან პატრიარქზე აზრის გამოთქმის უფლებად და დემოკრატიად შერაცხო**

# „რამდენი ადამიანი გვინახავს, რომელიც ნარკოტიკმა დაღუპა, რამდენი ოჯახი დანგრეულა ამ ცოდვის გამო, ნუთუ ეს საკმარისი არ არის? ნარკოტიკი აკრძალული იყო და მაინც რამდენი მომხმარებელი ჰყავდა მას და, როცა ლეგალიზებული იქნება, ვინ გააკონტროლებს ჩვენი მომავალი თაობის მდგომარეობას?“

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ბას თავისუფლად მოქმედების საშუალება?**

— რა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება. ამას არც მალავენ დეკრიმინალიზაციის მომხრეები, მაგრამ თქვენი ყურადღება ერთ ფაქტს მინდა მივაპყრო: რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის მოედანზე ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის მომხრეების კონცერტი გაიმართა და იქ ითქვა, რომ, ვინც ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციის მომხრეა, პატიმრებზე ზრუნავს. პატიმრებს მხარში, პირველ რიგში, სასულიერო პირები უდგანან. ჩვენ მათთან შევდივართ საპატიმროში და აღსარებას ვიბარებთ, ვაზიარებთ, ვაძლევთ სულიერ რჩევას და ვცდილობთ, მათ გამოსწორებას. ბევრმა მათგანმა ნარკოტიკების მოხმარებაზე უარი განაცხადა და დაუბრუნდა ცხოვრების ნორმალურ წესს. ჩვენი ოპონენტები კი საკითხს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ჩვენ ვინმეს დაპატიმრების ან „გაკულაკების“ მომხრეები ვიყოთ. შეიძლება სპეციალისტებმა იმსჯელონ, ნარკოტიკის მოხმარებისთვის შეფარდებული სასჯელი შესაბამისია თუ არა ან საჭიროა თუ არა პატიმრობის წლების შემცირება, მაგრამ ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია ყოვლად დაუშვებელია. საზოგადოებამ ამის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს, ხოლო სამღვდელოების მთავარი იარაღი ლოცვა და ქადაგებაა. აუცილებელია, ყველგან, სადაც ხელი მიგვიწვდება, გავაგებინოთ საზოგადოებას ამ პრობლემის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის ტელევიზიები და გაზეთებიც კი ხელმიუწვდომელია. მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუ მოინდომებს ინტერვიუს ჩაწერას. თითქმის აღარ გვრჩება საზოგადოებასთან ურთიერთობის არეალი. თქვენ კი მადლობა ამ საკითხების გაშუქებისთვის.

**— რა გზა რჩება საზოგადოებასა და სამღვდელოებას-მეთქი, იმიტომ გეკითხებით, რომ ადრე ერთიცა და მეორეც უფრო მეტად აქტიურობდა, როცა მიუღებელ კანონს იღებდა პარლამენტი. მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონი გავიხსენოთ ან თუნდაც მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის შესახებ მიღებული ცვლილებები... დღეს მოსახლეობა სრულიად ინერტულია, არანაირი მასობრივი პროტესტი, არანაირი გამოსვლები ან უკმაყოფილება იმის გამო, რომ ნარკომანია კანონდება და სოდომია ლამის ეროვნულ ფასეულობად გამოცხადდეს. თქვენი აზრით, რით არის ეს განპირობებული? რა იწვევს ხალხის გულგრილობას მსგავსი საკითხებისადმი?**

— სამღვდელოება ყოველთვის ცდილობს უფლისგან მონიჭებული ქადაგების უფლების აღსრულებას. ასე რომ, ჩვენი ბრძოლის მეთოდი უცვლელია: მხილება და კეთილი რჩევა. რაც შეეხება საზოგადოებას, მას მართლაც ეტყობა ინერტულობა. საერთოდ, ნელთბილობა, ეკლესიური გაგებით, არის მძიმე ცოდვა. გამოცხადებაში უფალი ლაოდიკიის ეკლესიას მიმართავს: „ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ, არც ცხელი. ო, ნეტა ან ცივი იყო ან ცხელი! მაგრამ, რაკი ნელთბილი ხარ შენ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან.’ანუ ნელთბილობა უფრო ცუდია, ვიდრე ცივად ყოფნა. ხშირად დუმილი ღალატის ტოლფასია. როდესაც, მაცხოვარს ებრაელები ჯვარზე აკრავდნენ და ხალხმა მის ნაცვლად ბარაბა გამოითხოვა, ბევრი არ ეთანხმებოდა პილატეს გადაწყვეტილებას, მაგრამ ზოგმა შიშის გამო, ზოგმა თანამდებობის დაკარვის გამო, ზოგმაც ქონების დატევების გამო, ხმა ვერ ამოიღო და დუმილით უფალი გასცეს. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველმა, რომელიც მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებას მეთაურობდა, კრების მამები სამ ნაწილად დაყო. პირველი — მართლმადიდებლები, მეორე — არიოზის მიმდევრები და მესამე — წყეულები, რომლებსაც თავიანთი პოზიცია არ ჰქონდათ და უყურებდნენ კრების მსვლელობას: რომელიც მოიპოვებდა გამარჯვებას, მათ მხარეზე რომ გადასულიყვნენ. **ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ ახალგამოგონილ კანონებს და უნდა შევეწინააღმდეგოთ ქვეყანაში უზნეობისა და სოდომიის გავრცელებას ან ნარკოტიკების მოხმარების დაკანონებას. ჩვენც, მოციქულების მსგავსად, უნდა მივუგოთ „ამა ქვეყნის მთავართ“: „ღმერთს უფრო მეტად უნდა ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ადამიანებს. ადამიანის შიში ღმერთზე მეტად, ეს კაცთმოთნეობის ცოდვაა.**





**«ევროკავშირმა, თავისი ანტიქრისტიანული კანონებით, დღეს სულ სხვა დატვირთვა მიიღო. ის თითქოს ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა, ამიტომაცაა მათი კანონები და რჩევები ჩვენთვის სრულიად მიუღებელი»**

**— საქართველოს ხელისუფლების პროდასავლურ კურსზეც გკითხავთ: ამჟამინდელი ხელისუფლება, წინამორბედის მსგავსად, აქტიურად ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ თანამედროვე ევროპა, რომელმაც სოდომია, ინცესტი და სხვა მსგავსი ამორალური მოვლენები ნორმად აღიარა, თავისი მენტალობითა და კულტურული ფასეულობებით, ჩვენი ისტორიული არჩევანია. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე, არის თუ არა დღევანდელი დასავლეთი ჩვენი არჩევანი, ჩვენი მხსნელი და უსაფრთხოების გარანტი?**

— ჩვენი მხსნელი და უსაფრთხოების გარანტი ღმერთი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია. ქართველი კაცი, როცა გაუჭირდებოდა, ყოველთვის უფალს სთხოვდა დახმარებას და ახლაც ასე უნდა მოვიქცეთ. ბიზანტიის იმპერიის ბოლო წლებში უკიდურესად შევიწროებული იმპერატორები შემწეობას რომის პაპსა და დასავლეთს სთხოვდნენ, მაგრამ ამით რას მიაღწიეს? რომის პაპზე მსასოებელი კონსტანტინოპოლი სტამბულად იქცა, თუმცა, ვფიქრობ, ევროპა მხოლოდ სოდომია ან ინცესტი არ არის, იქაც არის საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი, რომელიც ამ პროცესებს (სოდომიას და სხვ.) ეწინააღმდეგება, არის კარგიც და ჩვენც ზუსტად ეს კარგი უნდა გადმოვიღოთ. ცუდი ჩვენთანაც ბევრია, სხვისი არ გვჭირდება. ისტორიულ არჩევანს რაც შეეხება, **ევროკავშირმა, თავისი სატანური კანონებით, დღეს სულ სხვა დატვირთვა მიიღო. ის თითქოს ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა, ამიტომაცაა მათი კანონები და რჩევები ჩვენთვის სრულიად მიუღებელი.**

**— პატრიარქის მიერ თანამოსაყდრედ მეუფე შიოს დასახელებას უცნაური და საინტერესო პროცესები მოჰყვა... გაკეთდა უამრავი განცხადება, იყო ვიზიტები საზღვარგარეთ და პასუხგაუცემელი შეკითხვები. საუბრობენ იმაზეც, რომ „ლიბერალური“ ელიტა ცდილობს, მომავალი პატრიარქი მათი ინტერესების გამტარებელი სასულიერო პირი გახდეს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ, სულ ცოტა, ამის მცდელობა მაინც იქნება. რას უნდა ველოდოთ? რა საფრთხეები არსებობს და რას ეტყოდით იმ ადამიანებს, მათ შორის, ეკლესიის წიაღში მყოფებსაც, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად პატრიარქის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ ან შეიძლება მოქმედებდნენ?**

— პატრიარქის თანამოსაყდრედ მეუფე შიოს დასახელებაში განსაკუთრებული არაფერია. ეს უწმინდესის გადაწყვეტილებაა და ჩვენ მას დიდ პატივს ვცემთ. რაც შეეხება ეკლესიის წიაღში რაღაც შეთქმულების თეორიების ძიებას, ამას საფუძველი არ აქვს. ადამიანის თავიდან უფლის განგების გარეშე თმის ღერიც არ ჩამოვარდება და, მით უმეტეს, „შემთხვევით“ ან ვიღაცის ჩარევით პატრიარქის არჩევა არ მოხდება. ვილოცოთ და უფალს მშვიდობა ვთხოვოთ, რაც დღეს ყველა ჩვენგანს გვაკლია. უწმინდესსა და უნეტარესს — ილია მეორეს კი ვულოცავთ აღსაყდრების 40 წლისთავს და დიდხანს ჯანმრთელად ცხოვრებას ვუსურვებთ.

**«თუ ქვეყანაში არ არის თანხმობა და ერთი პირი, ის ქვეყანა ვერ გაძლიერდება. არ შეიძლება ქვეყანაში იყოს შერჩევითი სამართალი. თუ ადამიანი იტყვის რამეს ლგბტ თემზე, არ შეიძლება, ეს მას აგრესიად ჩაუთვალო და სასწავლებლიდან გარიცხო, ხოლო სალანძღავი ქმედება ან ღვარძლიანი ნათქვამები ეკლესიაზე, სარწმუნოებაზე ან პატრიარქზე აზრის გამოთქმის უფლებად და დემოკრატიად შერაცხო»**

**— შეძლებისდაგვარად შევაჯამოთ ეს წელიწადი. იყო რამდენიმე მოვლენა, რომელთა გარშემოც ხმაური და მითქმა-მოთქმა დღემდე არ წყდება, პირველ რიგში კი, „ციანიდის საქმე“ უნდა გამოვყოთ. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა რეალურად და რა გაგრძელება შეიძლება მოჰყოლოდა ამ ყველაფერს? მთლიანად 2017 წელს როგორ შეაფასებთ?**

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „ციანიდის საქმეს“ არ ვიცნობ, ამიტომ ამ თემაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება განვლილი წლის შეფასებას, ისევ დაპირისპირება, ისევ შუღლი, გინება, გადაბრალება, დაყოფა, დაქუცმაცება... არსად სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, მოთმინება ან დათმობა. სახარებაში უფალი ბრძანებს, რომ, თუ ოჯახის წევრებს ერთმანეთში არ აქვთ თანხმობა და ორი აღდგება მესამის წინააღმდეგ ან პირიქით, ასეთი სახლი ვერ დამტკიცდება. ასევე, **თუ ქვეყანაში არ არის თანხმობა და ერთი პირი, ის ქვეყანა ვერ გაძლიერდება.** არ შეიძლება ქვეყანაში იყოს შერჩევითი სამართალი. **თუ ადამიანი იტყვის რამეს ლგბტ თემზე, არ შეიძლება, ეს მას აგრესიად ჩაუთვალო და სასწავლებლიდან გარიცხო, ხოლო სალანძღავი ქმედება ან ღვარძლიანი ნათქვამები ეკლესიაზე, სარწმუნოებაზე ან პატრიარქზე აზრის გამოთქმის უფლებად და დემოკრატიად შერაცხო.** მე ასე ვფიქრობ და ამის საჯაროდ გამოხატვას არასდროს მოვერიდები. მინდა, საუბარი **ისაია წინასწარმეტყველის** სიტყვებით დავასრულო: „ვაი ნათესავსა ცოდვილსა და ერსა სავსესა ცოდვითა, თესლი ბოროტი, ძენი უსჯულონი! დაუტევეთ უფალი, განარისხეთ წმიდა ისრაილისა, და უცხო იქმნენით და განსდექით... ქვეყანა თქვენი ოხერ, ქალაქნი თქვენნი ცეცხლითა მომწვარ, სოფელსა თქვენსა თქვენს წინაშე უცხონი მოჭამენ... ოდეს განიპყრათ ხელნი თქვენნი ჩემდამო, მივაქციო თვალნი ჩემნი თქვენგან და უკეთუ გაამრავლოთ ვედრება არა ვისმინო თქვენი, რამეთუ ხელნი თქვენნი ცოდვითა სავსე. განიბანენით, წმიდა იქმნენით, მოისპენით უკეთურებანი სულთაგან თქვენთა... დასცხერით ბოროტისაგან. ისწავეთ კეთილის ქმნა... და უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო. ხოლო უკეთუ იყვნენ, ვითარცა ძოწეულნი მეწამულნი, ვითარცა მატყლი განვასპეტაკო, რამეთუ პირი უფლისა იტყოდა ამას“. უფალმა მოგვცეს ძალა საკუთარი ცოდვების შეცნობისა. მშვიდობიანი შობა-ახალი წელი დაუყენოს უფალმა ჩვენს საქართველოს!

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მხედრიონის" ჯირითმა საქართველოს მოსახლეობის მენტალიტეტზე იმოქმედა. ყველაფერს, რაც ახლა ხელისუფლებაში ხდება, საფუძველი შევარდნაძემ ჩაუყარა. ბევრი პიროვნება, რომელიც დღეს პოლიტიკაშია, შევარდნაძესთან გაიზარდა. ისინი პატარა და ცუდი შევარდნაძეები იყვნენ და არიან მთავარ შევარდნაძესთან შედარებით".**



### ვახტანგ გვარამია:

# ედუარდ შევარდნაძის ბრალია აფხაზეთში ომის უმიზეზოდ, უნიათოდ, უმიზნოდ, უხერხემლოდ დაწყებაც და დასრულებაც

**2017 წლის ნოემბერში ევროპის მოედანზე ბერლინის კედლის ფრაგმენტი დაიდგა, რომელიც, როგორც საქართველო-გერმანიის მეგობრობის სიმბოლო, საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილს 2016 წლის 16 ივნისს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტისას საჩუქრად გადაეცა. ბერლინის კედლის ფრაგმენტის დადგმის ცერემონიაზე გიორგი კვირიკაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენაზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის, ფოტო არ აღმოჩნდა. რამდენიმე დღის წინათ კი სოციალურ ქსელში დაიწყო მსჯელობა: უნდა იყოს თუ არა ამ ქვეყანაში მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, სახლ-მუზეუმი. ვინ იყო ედუარდ შევარდნაძე? რა დამსახურება აქვს მას ქვეყნისა და ერის წინაშე? — ამ თემაზე სასაუბროდ ძალოვანი სტრუქტურის ყოფილ მაღალჩინოსანს, გენერალური პროკურორის ყოფილ მოადგილე ვახტანგ გვარამიას დავუკავშირდით.**

— 1993 წლის სექტემბერში, შევარდნაძის თხოვნით, ფოთში შემოვიდა რუსეთის შავი ზღვის საზღვაო ფლოტის ხომალდები ადმირალ **ბალტინის** მეთაურობით. იმ დღიდან დაიწყო პირველი პრეზიდენტის საბოლოო განადგურება. უმძიმესი პერიოდი იყო... სენაკში საქართველოს მთავრობის მთელი შემადგენლობა ჩავიდა: **ოთარ ფაცაცია, ავთო მარგიანი,** თითქმის ყველა მინისტრი და ვიყავი მეც. იმხანად გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე გახლდით.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეებს, **ლოთი ქობალიას** მეთაურობით, დაკავებული ჰქონდათ სამეგრელოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. სახელისუფლო ძალებისა და **ზვიად გამსახურდიას** მომხრეების გამმიჯნავი ხაზი ხობის ტერიტორიაზე გადიოდა.

ერთ დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები სენაკში შტაბში ვისხედით, როცა შევარდნაძემ დარეკა და ავთო მარგიანს დაელაპარაკა. ბევრ საკითხზე ისაუბრეს, ბოლოს მარგიანმა მითხრა, რომ შევარდნაძეს ჩემთან უნდოდა დალაპარაკება, ყურმილი ავიღე და შევარდნაძის განკარგულება მოვისმინე: ვახტანგ, მონახე ლოთი ქობალია სასწრაფოდ, წაიყვანე **ავთო იოსელიანი**, მარტო არ შეხვდე და ლოთის ჩემი სახელით გადაეცით, რომ მოკვლას უპირებენ. ვუპასუხე, რომ შევეცდებოდი, ლოთი მენახა, მან კი მითხრა, — კი არ შეეცდები, აუცილებლად შეხვდებიო. დავიწყეთ მსჯელობა, როგორ და სად უნდა გვენახა ქობალია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უაღრესად დაძაბული ვითარება იყო, ურთიერთობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის პრობლემას არ წარმოადგენდა. ჰოდა, აიღო ტელეფონი ოთარ ფაცაციამ და ზუგდიდის ხელმძღვანელობას სთხოვა, სასწრაფოდ მოეძებნათ ლოთი ქობალია. ლოთი მალე დაგვიკავშირდა... მას ფაცაცია დაელაპარაკა და უთხრა, **ვახტანგ გვარამიას** უნდა შენთან საუბარიო. ლოთი დაგვთანხმდა და შეხვედრის ადგილიც დათქვა. მან ხობისა და ზუგდიდის საზღვარზე ავტოინსპექციის პოსტთან, პოლიციის შენობაში დაგვიბარა. შეხვედრაზე იოსელიანიც გამომყვა, ავთომ არ იცოდა, რა საკითხზე უნდა მელაპარაკა, ის იმიტომ გამომაყოლა შევარდნაძემ, ალბათ, მარტო რომ არ ვყოფილიყავი.

ჩავედით დათქმულ ადგილას და შევხვდით ქობალიას. მას შეიარაღებული ხალხი ახლდა, მაგრამ მცირე რაოდენობით. პურმარილი გაუმზადებია, მაგიდასთან მიგვიწვია. ჩვენ ვიუარეთ, მაგრამ არ შეგვეშვა და დავსხედით. ცოტა ხნის შემდეგ ლოთიმ მკითხა: რა უნდა ჩემგან შევარდნაძესო? ვუთხარი, თბილისიდან დამირეკა და დამავალა, თქვენთვის გადმომეცა, მოკვლას უპირებენო. ლოთი გაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ მითხრა: ვიცი, ეგ ამბავი, მანქანაში მიპირებენ აფეთქებას და ისიც ვიცი, ვინც აპირებს ამის გაკეთებასო. მე **მამული არახამიამ** (რესპონდენტის თხოვნით, ამ პიროვნების სახელი და გვარი შეცვლილია. — ე.ნ.) უნდა მომკლასო. ვუპასუხე: რაც დამავალეს, ის გითხარით, თქვენი საქმისა თქვენ იცით-მეთქი. ასე დავშორდით ერთმანეთს.

როგორც კი სენაკში ჩავედი, თანაშემწეს დავავალე, რომ ლოთის „მკვლელი" ჩემთან მოეყვანა. ეს ადამიანი იყო უშიშროების პოლკოვნიკი, რომელიც გმირულად დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში. დადებითი პიროვნება იყო, მაგრამ დაავალეს, მოეკლა ლოთი ქობალია და დავალება მას, როგორც უშიშროების თანამშრომელს, აუცილებლად უნდა შეესრულებინა.

**მოიყვანეს ეს კაცი ჩემთან. ცოტა ხანს ვუყურე და ბოლოს ვუთხარი: რა ტერაქტებს აწყობ შენ? — რა ტერაქტებსო? — გაუკვირდა. ვუთხარი, ვიცი, ლოთი ქობალიას მკვლელობა გაქვს გადაწყვეტილი-მეთქი. მკითხა: ვინ გითხრა ეს ამბავიო? ვუპასუხე, რომ ედუარდ შევარდნაძემ მითხრა. სახეზე ალმური აუვიდა და იყვირა: — მაგის დედაც... მაგან დამავალა ეს მკვლელობაო.**

**«შევარდნაძეს დიდი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო ომის გაჩაღებაში, 1991 წლის 22 დეკემბერს ანტისახელისუფლო გამოსვლაც მისი ორგანიზებული იყო»**

ლოთი ქობალია დღესაც ცოცხალია.

**— როგორი პიროვნება იყო ედუარდ შევარდნაძე?**

— შევარდნაძეს 1965 წლიდან ვიცნობდი. საუკეთესო შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. კომკავშირიდან მოიყვანეს და ამ თანამდებობაზე დასვეს, ბრწყინვალედ ასრულებდა თავის საქმეს. შექმნა არაჩვეულებრივი კოლექტივი, უძლიერესი ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურები. შემდეგ, როგორც იცით, საქართველოს ცეკას პირველი მდივანიც გახდა და სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრიც. მოსკოვიდან ძალიან შეცვლილი დაბრუნდა.

პრეზიდენტი იყო უკვე შევარდნაძე, როცა სენაკში ცუდი ამბავი მოხდა. მილიციის მუშაკმა მოქალაქე უმიზეზოდ მოკლა. ამის გამო მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. შევარდნაძემ თითქმის ყველა ცნობილი მეგრელი შეკრიბა: **ოთარ ჭითანავა, ჟიული შარტავა, მე, ბორის წიფურიაც** კი, და თვითმფრინავით გაგვიშვა ქუთაისში. იქიდან სენაკში ავტობუსით უნდა წავსულიყავით. ავტობუსმა დააგვიანა. მე და ჟიული შარტავა ბოლთას ვცემდით. სწორედ მაშინ ვკითხე ჟიულის, — დღეს რა კაცია შევარდნაძე-მეთქი. დაფიქრდა და მიპასუხა: „შევარდნაძე **დაშვებული „პაკრიშკაა"...** შევარდნაძეს, რუსეთიდან რომ დაბრუნდა, ტერიტორიების დაცვისა და აღდგენის ამბიცია ჰქონდა, მეტიც, თურქეთის მიერ მითვისებული მიწების დაბრუნებაც სურდა, მაგრამ ყველამ ვნახეთ, რომ აფხაზეთიც დავკარგეთ და სამხრეთ ოსეთიც... 1997 წელს გალში ჩვენი უსუსური შეჭრის შემდეგ შევარდნაძემ ორიენტაცია დაკარგა, ჩაეფლო კორუფციასა და უბედურებაში.

**— 1997 წელს გალში შეჭრა შეცდომა იყო თუ დანაშაული?**

— **ტალეირანის** სიტყვებით რომ ვთქვათ, შეცდომა დანაშაულზე უარესია... შევარდნაძის იმჟამინდელი ქმედება ისეთივე დანაშაული იყო, როგორიც შემდეგ სააკაშვილის 2008 წელს ცხინვალში შეჭრა. 1997 წლამდე აფხაზეთთან ფორმალური საზღვარი გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კუთხე აღარ გვეკუთვნოდა, ერთიანობას ვინარჩუნებდით — საზღვარზე გადასვლა ყველას შეეძლო. ედუარდ შევარდნაძემ შედეგები ვერ გათვალა...

**— ძნელი დასაჯერებელია შევარდნაძეზე ეს სიტყვები. ის შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად იყო აღიარებული...**

— ედუარდ შევარდნაძე ბრწყინვალე იყო, როგორც მეორე პირი, მაგრამ ცუდი, როგორც პირველი... ის მუდამ ხელისუფლების შესანარჩუნებლად იბრძოდა. **ჯაბა იოსელიანის** გვერდით დაყენება ძალიან ცუდი გადაწყვეტილება იყო. იმას, რაც იმხანად ბანდფორმირებებმა საქართველოს დამართეს, დღემდე ვიმკით. **„მხედრიონის" ჯირითმა საქართველოს მოსახლეობის მენტალიტეტზე იმოქმედა. ყველაფერს, რაც ახლა ხელისუფლებაში ხდება, საფუძველი შევარდნაძემ ჩაუყარა. ბევრი პიროვნება, რომლებიც დღეს პოლიტიკაში არიან, შევარდნაძესთან გაიზარდნენ. ისინი პატარა და ცუდი შევარდნაძეები იყვნენ და არიან მთავარ შევარდნაძესთან შედარებით.**

1997 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ ომი გამოვიარეთ, ეკონომიკის ზრდა გვქონდა, კარგი კანონები მივიღეთ, ლარი მყარი იყო, ხალხს იმედი მიეცა უკეთესობის, მაგრამ 1997 წლის გალის კრახის შემდეგ შევარდნაძემ ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და ქვეყანა თვითდინებაზე მიუშვა.

**— 2008-ში, როდესაც სააკაშვილი ცხინვალში შეიჭრა, ამბობდნენ, რომ ამერიკელებმა მას მწვანე შუქი აუნთეს და ამიტომ დაიწყო ომი. რამ განაპირობა შევარდნაძის შეჭრა 1997 წელს გალში, ვინ შეიყვანა ის შეცდომაში?**

— გალში ხელისუფლება მყარი არ იყო. გალში მიმდინარე პროცესები იქ მყოფ რუს სამხედროებზე იყო დამოკიდებული. საუბრობდნენ, რომ ვიღაცისთვის ფულიც უნდა მიეცათ, ვიღაც მოესყიდათ...

**«ვუთხარი, ვიცი, ლოთი ქობალიას მკვლელობა გაქვს გადაწყვეტილი-მეთქი. მკითხა: ვინ გითხრა ეს ამბავიო? ვუპასუხე, რომ ედუარდ შევარდნაძემ მითხრა. სახეზე ალმური აუვიდა და იყვირა: — მაგის დედაც... მაგან დამავალა ეს მკვლელობაო»**

მოკლედ, გათვლა ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ არაფერი გამოვიდა და დღეს აფხაზეთთან მკაცრი საზღვარი გვაქვს.

შევარდნაძე წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო. მასზე ისტორია იტყვის ყველაფერს. შედეგის მიხედვით იზომება ბევრი რამ... ფრანგებმა **ნაპოლეონს** ვატერლოოს ბრძოლაში მარცხი არ აპატიეს, არა მგონია, შევარდნაძეს „მხედრიონის" ეპოქა შერჩეს.

**შევარდნაძეს დიდი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო ომის დაწყებაში. 1991 წლის 22 დეკემბერს ანტისახელისუფლო გამოსვლა შევარდნაძის ორგანიზებული იყო. ამბობდა, საერთო ეროვნული აჯანყება იყოო, მაგრამ ეს იყო შეიარაღებული გადატრიალება, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მოაწყვეს ბანდფორმირებებმა და ხელისუფლების ხელისბიჭებად გამოზრდილმა ინტელიგენციის კორუფცირებულმა ნაწილმა.** აფხაზეთში შეიარაღებული ძალების შეყვანაც შევარდნაძის ინიციატივით მოხდა, ეს განპირობებული იყო არა სარკინიგზო ტვირთების დაცვით, როგორც თვითონ ამბობდა, არამედ პირველი პრეზიდენტის მომხრეთა გასანადგურებლად. ზვიად გამსახურდიას მხარს უჭერდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი. შევარდნაძემ ვარ გათვალა, აფხაზეთში შეირაღებული ძალების შეყვანას როგორ აღიქვამდა აფხაზი მოსახლეობა და რუსეთის ფედერაცია. **ედუარდ შევარდნაძის ბრალია აფხაზეთში ომის უმიზეზოდ, უნიათოდ, უმიზნოდ, უხერხემლოდ დაწყებაც და დასრულებაც. რუსეთთან სოჭში ჩვენი გამანადგურებელი ხელშეკრულების დადება, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველთა ცალმხრივი განიარაღება და ომში დამარცხება. დღეს კი ასიათათასობით ლტოლვილი გვყავს.**

1993 წელს შევარდნაძემ ჩაშალა ბობოყვათში დაგეგმილი მოლაპარაკება პირველი პრეზიდენტის მომხრეებთან. არადა, სამოქალაქო ომის შეწყვეტაზე შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეული იყო. როგორ წარიმართა ამის შემდეგ ვითარება, ყველამ ვიცით.

ჯაბა იოსელინმა თავის დროზე თქვა: შევარდნაძეს ხიდან ვაშლის მოწყვეტა არ შეუძლია, ელოდება, ვაშლი როდის ჩამოვარდება, მაგრამ ჩამოვარდნილი ვაშლი დამპალია ხოლმეო. შევარდნაძეს კლასიკური განათლება არ ჰქონდა და ეს მისი დამღუპველი აღმოჩნდა. ის სხვისი ნების კარგი შემსრულებელი იყო, მაგრამ პირველკაცობა ვერ შეძლო, რასაც ქვეყანა დღემდე იმკის.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**1995 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო „აქტი იერუსალიმში საელჩოს შესახებ“, თუმცა პრეზიდენტები იმაზე მიუთითებდნენ, რომ ის საკონსულტაციო ხასიათისაა. რადიკალური ნაბიჯი მხოლოდ დონალდ ტრამპმა გადადგა, თანაც მაშინ, როდესაც მისი მდგომარეობა, რობერტ მიულერის ხელმძღვანელობით წარმოებული გამოძიების გამო, უკიდურესად გართულდა, ხოლო იმპიჩმენტის საფრთხე სავსებით რეალური გახდა. გამორიცხული არაა, რომ ამ რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილება იერუსალიმის შესახებ მისთვის ერთგვარი ხავსია.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დონალდ ტრამპი და განხეთქილების იერუსალიმი

**2017 წლის მიწურულს ახლო აღმოსავლეთში სტაბილიზაციის ცალკეული ნიშნები გაჩნდა, მაგრამ დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებამ იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გადატანის შესახებ, რეგიონი ისევ დენთის ცეცხლმოკიდებულ კასრს დაამსგავსა.**



**პალესტინის ადმინისტრაციის ამჟამინდელი ოფიციალური პოზიცია გულისხმობს, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმი პალესტინის დედაქალაქი გახდება, ხოლო დასავლეთი იერუსალიმი — ისრაელის, აღდგება 1967 წლის საზღვარი და ორივე მხარე ქალაქის შესაბამის ნაწილში სრული სუვერენიტეტით ისარგებლებს**



ის, რაც ტრამპმა გააკეთა, გაეროს ათობით რეზოლუციის შინაარსა და სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. ბევრი ქვეყნის რეაქცია ძალზე ნეგატიურია, ამიტომ სახელმწიფო მდივანი, რექს ტილერსონი, დაჟინებით მოუწოდებს ყველას, ყურადღებით გაეცნონ ტრამპის განცხადებას, რომელიც არაერთ „შემარბილებელ“ ფრაზას შეიცავს, მათ შორის იმის თაობაზე, რომ აშშ-ს არ გააჩნია საბოლოო პოზიცია ქალაქის სტატუსთან დაკავშირებით, ხოლო ისრაელის სუვერენიტეტი იერუსალიმში მომავალი მოლაპარაკების საგანია. ამით ტილერსონს სურს, მიანიშნოს, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მუსლიმური საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამ ნიუანსებს ყურადღებას არ აქცევს და მომხდარს აღიქვამს, როგორც ცალსახად მტრულ ნაბიჯს. პოლიტიკის სიმბოლურ შემადგენელს იერუსალიმის შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

1947 წლის გაეროს №181 რეზოლუცია ითვალისწინებდა, რომ იერუსალიმი და მისი სიწმინდეები საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარებოდა. 1947-49 წლების ომის შემდეგ მის დასავლეთ ნაწილს ისრაელი, აღმოსავლეთს კი იორდანია აკონტროლებდა. **1949 წლის 5 დეკემბერს ისრაელმა იერუსალიმი დედაქალაქად გამოაცხადა და იქ სახელისუფლო ორგანოების გადატანა დაიწყო. 1967-ში, „ექვსდღიანი ომის“ დროს, ისრაელმა ქალაქის მთელი ტერიტორია დაიკავა და განაცხადა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ იერუსალიმი ერთიანდება და ისრაელის შემადგენლობაში შედის. 1980 წლის 30 ივლისს ისრაელის პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონი „იერუსალიმის შესახებ“. ის გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო (რეზოლუცია 478) და მოუწოდა იმ ქვეყნებს, რომელთა საელჩოები იერუსალიმში მდებარეობდა, ისინი თელ-ავივში გადაეტანა (24-დან 22-მა ეს მყისიერად გააკეთა, ორმა კი — მოგვიანებით).** გაერო და მისი წევრი სახელმწიფოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პალესტინელებს აღმოსავლეთ იერუსალიმზე სუვერენიტეტის უფლება აქვთ (ეს დამოკიდებულება აისახა გენერალური ასამბლეის არაერთ რეზოლუციაში, მაგალითად, 51/27 (1996), 58/292 (2004) და სხვ.).P

**პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის 1988 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია იერუსალიმს პალესტინის დედაქალაქად განიხილავს.** პალესტინის ეროვნულმა ადმინისტრაციამ იგივე ჩაწერა ძირითადი კანონის მე-3 მუხლში. 1988 წელს გამოცხადებული პალესტინის სახელმწიფო ოფიციალურად დღემდე არ შექმნილა, თუმცა მას გაეროს ასამდე წევრი აღიარებს, ზოგიერთი მათგანი კი, მათ შორის რუსეთი და ჩინეთი, პალესტინის დედაქალაქად აღმოსავლეთ იერუსალიმს განიხილავს. პალესტინის ადმინისტრაციის ამჟამინდელი ოფიციალური პოზიცია გულისხმობს, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმი პალესტინის დედაქალაქი გახდება, ხოლო დასავლეთი იერუსალიმი — ისრაელის, აღდგება 1967 წლის საზღვარი და ორივე მხარე ქალაქის შესაბამის ნაწილში სრული სუვერენიტეტით ისარგებლებს.

მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა, ექსპერტებს უჭირთ იმის დადგენა, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ეს გადაწყვეტილება სტრატეგიული დაგეგმარების ნაყოფს თუ უმეტესად სუბიექტურ მოტივებს ეფუძნება. იერუსალიმის შემთხვევაში ეს, ალბათ, უფრო, სტრატეგიაა, თანაც საკმაოდ რთული.

2017 წლის ბოლო კვარტალში ცხადი გახდა, რომ რუსეთმა, ირანმა და სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა პოზიციები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს. სამივესთან აშშ განსხვავებულ ფორმატში ურთიერთობს. დიალოგი თუ დაპირისპირება რუსეთთან გლობალური მასშტაბისაა და სირიის საკითხი აშშ-რუსეთის ურთიერთობებში მხოლოდ ერთ-ერთი პუნქტია. ბაშარ ასადს აშშ განიხილავს, როგორც ლოკალური ხასიათის პრობლემას, რომლის მნიშვნელობა შიდასირიული პროცესების ჩარჩოს არ სცდება. ირანი კი, ამ ორთან შედარებით, „საშუალო კალიბრისაა“ და რეგიონულ დონეზე მოქმედებს. სირიის ომის ერთ-ერთი შედეგი ე.წ. შიიტური სარტყელის შექმნაა, რომელიც ირანის საზღვრებიდან ხმელთაშუა ზღვამდე გაიშალა, სადაც მრავალრიცხოვანი პროირანული შეიარაღებული რაზმები მოქმედებენ, ეს კი ძალიან აფრთხობს აშშ-ს, ისრაელსა და კონსერვატიულ სანავთობო მონარქიებს.

**„ისლამური სახელმწიფოს“ მარცხის შემდეგ (ის დამარცხდა, როგორც კვაზი-სახელმწიფო, მაგრამ არა როგორც ტერორისტული ორგანიზაცია) სირიის ომი, ლოგიკურ დასასრულს თუ არა, ერთგვარ პაუზას მიუახლოვდა. ბაშარ ასადი, ყველა პროგნოზის საპირისპიროდ, გადარჩა, რუსეთისა და ირანის დახმარებით მოძლიერდა, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ ის ქვეყნის ტერიტორიის 100%-ის გაკონტროლებას შეძლებს, ნაადრევია.** სირიის სამთავრობო ძალები გამოფიტულია, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ქურთების რაზმები აკონტროლებენ პროვინციებს, რომლებშიც ქვეყნის ნავთობმოპოვებისა და ენერგოგენერაციის სამი მეოთხედი მდებარეობს, ამასთანავე, ეს ყველაზე უხვმოსავლიანი მიწებია. ადრე მათ „ისლამური სახელმწიფო“ იკავებდა და სწორედ ამიტომ საწვავისა და სურსათის პრობლემა არ ჰქონდა.

**ასადს მოუწევს მოლაპარაკების წარმოება, როგორც ქურთებთან, რომლებსაც შეიძლება ფართო ავტონომია შესთავაზოს, ისე „ზომიერ ოპოზიციასთან“, რადგან ომის გაგრძელება ქვეყანას საბოლოოდ გაანადგურებს. სამშვიდობო პროცესი რუსეთის, ირანისა და თურქეთის ეგიდით მიმდინარეობს და ვაშინგტონი მიანიშნებს, რომ სირიაში ძალთა ისეთი კონფიგურაცია იქმნება, რომელიც მისთვის არასასურველია. ასეთ ვითარებაში წინა პლანზე იერუსალიმის საკითხის წამოწევა, ერთი შეხედვით, სრული უგუნურებაა, რადგან აშშ-ის რეგიონულ მოკავშირეებს აღიზიანებს, მაგრამ ამას შეიძლება საინტერესო გაგრძელება მოჰყვეს.**

თუ ჩვენ დავაკვირდებით ვაშინგტონის რეგიონული პარტნიორების, უპირველესად კი, სანავთობო მონარქიების რეაქციას იერუსალიმის კრიზისზე, ვნახავთ, რომ ის, ერთი შეხედვით, მკვეთრი; მაგრამ, მეორე მხრივ, ცარიელი სიტყვების იქით არ მიდის — არანაირი ხისტი დიპლომატიური დემარშები ან ფარულად მხარდაჭერილი მრავალათასიანი დემონსტრაციები აშშ-ის საელჩოებთან, რომელსაც აუცილებლად ვიხილავდით წარსულში, შესაძლოა, სანავთობო ემბარგოსთან ერთად.

ეგვიპტეს, იორდანიასა და სანავთობო მონარქიებს არ სჭირდებათ ახალი ინტიფადა პალესტინაში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ქვეყნებში საზოგადოების, უპირველესად კი, ახალგარზრდობის რადიკალიზაციას (საგულიხმო და, შესაძლოა, სიმბოლური დამთხვევა – პირველი პალესტინური ინტიფადა 30 წლის წინათ, 1987 წლის 8 დეკემბერს, დაიწყო), მაგრამ „არაბულ ქუჩას“ მთავრობების რეაქცია არ აკმაყოფილებს, რაც მასში აჩენს მოთხოვნას გაცილებით რადიკალურ პოზიციაზე, ისეთზე, როგორსაც ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების მიმართ ირანი გამოხატავს. საგულისხმოა, რომ ბოლო კვირებში თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ცდილობს, მუსლიმთა პროტესტის მთავარ მედროშედ იქცეს, რათა ეს როლი ირანს არ დაუთმოს, თუმცა, ბოლოდროინდელი უთანხმოების მიუხედავად, თურქეთი მაინც აშშ-ის მოკავშირედ რჩება, რაც ერდოღანს გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს, ირანი კი ამ მხრივ თავისუფალია.

**გადაწყვეტილება იერუსალიმის შესახებ შეიძლება შევადაროთ კატალიზატორს, რომელმაც შეიძლება ქიმიური რეაქცია დააჩქაროს და უმართავი გახადოს. თუ მოვლენები ფატალური სცენარით განვითარდება, თითქმის არავის ემახსოვრება, რით დაიწყო ესკალაციის ახალი ეტაპი**

ყოველივე მომხდარი „ჰესბოლას“ და რადიკალებს უბიძგებს, პალესტინის ავტონომიაში ისრაელის ინტერესების წინააღმდეგ გაცილებით აქტიურად ამოქმედდნენ არა მხოლოდ პალესტინაში, არამედ ლიბანსა და სირიის სამხრეთშიც. ეს კი უკიდურესად გაამძაფრებს ისრაელ-ირანის კონფლიქტს, რომლის დროს „არაბული ქუჩა“ მხარს თეირანს დაუჭერს, უპირველესად, ეს შიიტებს ეხება. **ირანის მიმართ სიმპათიის (და, შესაბამისად, მისი იდეოლოგიური გავლენის) ზრდა სანავთობო მონარქიებს ძალთა მობილიზაციისკენ და „არაბული ნატოს“ პროექტის სასწრაფო რეალიზაციისკენ უბიძგებს, რომელიც არსებითად წარმოადგენს ანტიირანულ გაერთიანებას ამერიკელების კონტროლქვეშ. დიდი ანტიირანული კოალიციის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცალკეული წევრები (მაგალითად, ისრაელი და საუდის არაბეთი) შეიძლება ერთმანეთს რიტორიკულად უპირისპირდებოდნენ, მათ ალიანსს კი ფორმალური ხასიათი არ ექნება, ვაშინგტონს შესაძლებლობას მისცემს, „გადაათამაშოს“ სირიის ომის შედეგები, რომლებიც მას არ აკმაყოფილებს. ამ მხრივ, გადაწყვეტილება იერუსალიმის შესახებ შეიძლება შევადაროთ კატალიზატორს, რომელმაც შეიძლება ქიმიური რეაქცია დააჩქაროს და უმართავი გახადოს. თუ მოვლენები ფატალური სცენარით განვითარდება, თითქმის არავის ემახსოვრება, რით დაიწყო ესკალაციის ახალი ეტაპი.**

ის, რომ გადაწყვეტილება იერუსალიმის შესახებ შეიძლება საკმაოდ რთული სტრატეგიის ნაწილი იყოს, სულაც არ გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორს ან ისრაელის მხარდამჭერი ლობისტური სტრუქტურების ძალისხმევას. **ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აშშ-ის ყველა პრეზიდენტი „ეთამაშებოდა“ იერუსალიმში საელჩოს გადატანის იდეას, რათა ებრაელი ამომრჩევლების გული მოეგო, მაგრამ ბოლო ნაბიჯის გადადგმა არც ერთმა არ გარისკა.** არადა, იურიდიული საფუძველი ამისთვის არსებობდა — 1995 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო „აქტი იერუსალიმში საელჩოს შესახებ“, თუმცა პრეზიდენტები იმაზე მიუთითებდნენ, რომ ის საკონსულტაციო ხასიათისაა. რადიკალური ნაბიჯი მხოლოდ დონალდ ტრამპმა გადადგა, თანაც მაშინ, როდესაც მისი მდგომარეობა, რობერტ მიულერის ხელმძღვანელობით წარმოებული გამოძიების გამო, უკიდურესად გართულდა, ხოლო იმპიჩმენტის საფრთხე სავსებით რეალური გახდა. გამორიცხული არაა, რომ ამ რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილება იერუსალიმის შესახებ მისთვის ერთგვარი ხავსია. 2017 წელი აშშ-ის ახალ პრეზიდენტთან დაკავშირებული სკანდალებით და გაუგებრობით დაიწყო და ამავე ნოტაზე სრულდება. ამ მხრივ 2017 ნამდვილად დონალდ ტრამპის წელიწადი იყო.

**ლუკა ნემსაძე**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც აქამდე მონასავით შესციცინებდა თვალებში ამერიკელ პატრონებს და თბილი სკამების დაკარგვის შიშით მათ მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა, ახლა, როდესაც მხარი არ დაუჭირა ამერიკის აბსურდულ მოთხოვნას, სანქციებით დაემუქრნენ.**

# «სტრატეგიული მოკავშირის» კრახი გაეროში და რისხვა, რომელიც საქართველოს მთავრობას თავს დაატეხეს

**რამდენიმე დღის წინათ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებმა (საბჭოში 15 წევრი სახელმწიფოა: 5 მუდმივი წევრი — დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, რუსეთი, აშშ და საფრანგეთი, და 10 არამუდმივი, რომლებსაც ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა 5 წლის ვადით) აშშ-ის გამოკლებით კენჭი უყარეს რეზოლუციას ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის არაღიარების შესახებ.**
**აშშ-ისა და ისრაელის ავანტიურიზმი ისეთი ნათელი იყო, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობა გაერთიანდა და მათ მოთხოვნას უარით უპასუხა. თვით დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმაც კი არ დაუჭირეს მხარი მოკავშირე აშშ-ს.**



გაეროს გენერალურ ასამბლეაში კენჭისყრის გამართვამდე (რეზოლუციას 21 დეკემბერს უყარეს კენჭი) საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ **დონალდ ტრამპი** აპირებს, დასაჯოს ქვეყნები, რომლებიც მხარს არ დაუჭერენ ამერიკას: ამ ქვეყნებს მილიარდობით დოლარით ვეხმარებით და, თუ მხარს არ დაგვიჭერენ, დახმარებას შევუწყვეტთ და ეკონომიას გავაკეთებთო...

**„დონალდ ტრამპმა გაეროს გენერალური ასამბლეა მწკრივში ჩააყენა“,** — დაწერა გერმანულმა Tagesspiegel-მა (დიდი ხანია, გერმანელებს ასეთი რამ არ უთქვამთ ამერიკელების მიმართ). საერთო განწყობა კი გამოხატა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მევლუთ ჩავუშოღლუმ: „ამერიკის შეერთებული შტატები დაადგა მუქარის გზას, მაგრამ ეს არ იმუშავებს, მსოფლიო შეიცვალა, პრინციპი: „მე ძლიერი ვარ, ე.ი. — მართალი “ აღარ მუშაობს. დღეს მსოფლიო ხმას აღიმაღლებს უსამართლობის წინააღმდეგ“.**

გაეროს გენერალურ ასამბლეაში გამართული კენჭისყრის შედეგები, რომელთა მიხედვითაც ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარების მოთხოვნა იურიდიულად არ დაკანონდა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, განსაცვიფრებელია. გაეროს წევრი 192 სახელმწიფოდან აშშ-ისრაელის ტანდემს მხარი დაუჭირა მხოლოდ 8 ქვეყანამ — **ნაურუმ, პალაუმ, ტოგომ, მიკრონეზიამ, მარშლის კუნძულებმა, ჰონდურასმა** და **გვატემალამ.** კენჭისყრაში არ მონაწილეობდა 20 ქვეყანა, მათ შორის ისინიც, რომლებიც აშშ-ის „სტრატეგიულ მოკავშირედ“ მიიჩნევენ თავს, ესენია: **საქართველო, უკრაინა, ლიტვა, მოლდოვა.** 35-მა ქვეყანამ თავი შეიკავა (მათ შორის, კანადამ და ავსტრალიამ), ხოლო **128 სახელმწიფომ რეზოლუციის პროექტს დაუჭირა მხარი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კენჭისყრის შედეგები ტრამპისა და ნეთანიაჰუს ხელისუფლების კატასტროფული მარცხია.**

მსოფლიოში მიმდინარეობს ცვლილებები და მათ ვაშინგტონის ქმედებები აჩქარებს. იყო დრო, ამერიკელი დიპლომატები გაეროში საქმეს კულისებში აკვარახჭინებდნენ — ამა თუ იმ საკითხზე კენჭისყრისას მომხრეებს იბირებდნენ სასურველი შედეგის მხარდასაჭერად. დღეს კი, როგორც ჩანს, ეს აღარ ძალუძთ. ადრე შედეგი მოჰქონდა ყველა მეთოდს — მუქარას, დარწმუნებას, რჩევას, დაპირებას. ეს პრაქტიკა ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა, და უცებ გაეროში გამართულმა კენჭისყრამ იერუსალიმის შესახებ ყველაფერი შეცვალა. არა, ამერიკული დიპლომატია არ დასუსტებულა, უბრალოდ, **„გლობალური ჰეგემონის“ გამოხდომამ, რომელიც მსოფლიოს დაემუქრა, თუ იერუსალიმის საკითხში მხარს არ დაუჭერდა, უკუეფექტი გამოიღო. ამ ვირის ყროყინივით უბრალო მეთოდის (მუქარის) არსი არის ის, რომ ყველა ქვეყანა დაემწკრივებინათ და მათ ერთი, აშშ-ისთვის სასარგებლო აზრი ჰქონოდათ.** ბოლოს და ბოლოს, აშშ ხომ მსოფლიო დემოკრატიის ბურჯია? მაგრამ აშშ-ის ამ პოლიტიკამ კრახი განიცადა. **როგორც ჩანს, მწვანე დოლარიც აღარ არის დამაჯერებელი არგუმენტი, გაირკვა, რომ იმ ქვეყნებსაც კი, რომლებსაც აშშ ფინანსურად ეხმარება, აქვთ კეთილგონიერება.** ყველაზე მთავარი კი, რაც გაეროში გამართულმა კენჭისყრის შედეგებმა აჩვენა, არის ის, რომ ვაშინგტონის ევროპელ მოკავშირეებს შორის გონზე მოსვლის პროცესი დაიწყო.

**«გლობალური ჰეგემონის» გამოხდომამ, რომელიც მსოფლიოს დაემუქრა, თუ იერუსალიმის საკითხში მხარს არ დაუჭერდა, უკუეფექტი გამოიღო. ამ ვირის ყროყინივით უბრალო მეთოდის (მუქარის) არსი არის ის, რომ ყველა ქვეყანა დაემწკრივებინათ და მათ ერთი, აშშ-ისთვის სასარგებლო აზრი ჰქონოდათ. ბოლოს და ბოლოს, აშშ ხომ მსოფლიო დემოკრატიის ბურჯია?**

რაც შეეხება **საქართველოს,** რომლის წარმომადგენლებიც არ გამოცხადდნენ კენჭისყრაზე, ამის გამო კი ჩვენმა ქვეყანამ ამერიკელების რისხვა დაიმსახურა. **აშშ-ის კონგრესმენებმა, მათ შორის, სტივ რასელმა შეიმუშავეს კანონპროექტი „პასუხი საქართველოს მთავრობის მოქმედებებზე, რომლებიც უკავშირდება საკონტრაქტო შეთანხმებების დარღვევას აშშ-ის წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ჩართულნი არიან ბიზნეს და საფინანსო ოპერაციებში საქართველოში“.** სანქციები შეეხება **„ყველა პირს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების წევრი ან ყოფილი წევრია და, რომელიც მონაწილეობდა ზემოაღნიშნულ საქმიანობაში“,** — ნათქვამია კანონპროექტში.

სანქციები დაწესდება სესხების, კრედიტების, დაზღვევის გაცემაზე; გაიყინება ზემოხსენებული პირების ანგარიშები, მათთვის აღარ გაიცემა ვიზები თუ ბინადრობის ნებართვა. შეიზღუდება ფინანსური დახმარება საქართველოს მთავრობისთვის.

აი ასე! საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც აქამდე მონასავით შესციცინებდა თვალებში ამერიკელ პატრონებს და თბილი სკამების დაკარგვის შიშით მათ მითითებებს უსიტყვოდ ასრულებდა, ახლა, როდესაც მხარი არ დაუჭირა ამერიკის აბსურდულ მოთხოვნას, სანქციებით დაემუქრნენ.

აბა, რა! ბატონი რისი ბატონია, თუ ყმას თავნებობას აპატიებს... მაგრამ აშშ საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორიც“ რომ არის?..

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# საქართველოში 78 ათასი უცხოელი მიგრანტი ცხოვრობს

**2017 წელს მიგრანტების რაოდენობამ მსოფლიოში 258 მილიონ ადამიანს მიაღწია, რაც მიმდინარე წელს 49%-იან ზრდას წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით ანგარიშს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი აქვეყნებს. გაეროს მონაცემების მიხედვით, დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 3.4% მიგრანტია, ანუ სამშობლოში არ ცხოვრობს.**
**2000 წელს ეს მაჩვენებელი 2.8%-ს შეადგენდა.**



გაეროს მონაცემებით, 2000 წელს საქართველოში 76 000 მიგრანტი იმყოფებოდა, 2017 წელს კი მათი რაოდენობა 2000-ით გაიზარდა (კვლევა მოიცავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებსაც).

მსოფლიოში ყველაზე მეტი მიგრანტი (49,7 მლნ.) აშშ-ში ცხოვრობს. მომდევნო ადგილებზეა საუდის არაბეთი (12,1 მლნ), გერმანია (12,1 მლნ) და რუსეთი (11,6 მლნ.). ინდოეთი კი წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც ყველაზე მეტმა (17-მა მილიონმა) ადამიანმა დატოვა.

კვლევაში მოცემულ საერთაშორისო მიგრანტებს შორის შედის 26 მილიონი დევნილიც. მათმა უმრავლესობამ (80%) ცხოვრება დაბალ ან საშუალო განვითარების ქვეყანაში განაგრძო.

# დედამიწის მოსახლეობამ 83 მლნ-ით მოიმატა, ანუ საქართველოს მოსახლეობაზე 22-ჯერ მეტით

**დედამიწის მოსახლეობის ფონდის ექსპერტების პროგნოზით, 2018 წლის იანვარში ჩვენს პლანეტაზე 7,6 მლრდ ადამიანი იცხოვრებს.**



2018 წლის 1 იანვარს პლანეტა დედამიწაზე მცხოვრებთა რაოდენობა **7 591 541 000** იქნება, ანუ, 2017 წელთან შედარებით, 83 მლნ-ით მეტი. ეს დაახლოებით 2-ჯერ მეტია უკრაინის მოსახლეობაზე, ხოლო 22-ჯერ მეტი — საქართველოს მოსახლეობაზე.

მსოფლიოს მოსახლეობა ყოველ წამს საშუალოდ 2,6 ადამიანით იმატებს (დაბადებულთა რაოდენობას მინუს გარდაცვლილთა რაოდენობა). ყველაზე მეტი მატებაა აფრიკაში. გაეროს მონაცემებით, 2050 წელს აფრიკის კონტინენტზე მცხოვრებთა რაოდენობა გაორმაგდება და 2,55 მლრდ კაცს მიაღწევს.

ამერიკული სოციოლოგიური ცენტრის — Pew Research Center-ის სპეციალისტთა განცხადებით, **2050 წელს ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის 14% მუსლიმანი იქნება, დედამიწაზე კი 10 მლრდ ადამიანი იცხოვრებს.**

რეიტინგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, უკვე რამდენიმე წელიწადია, ჟურნალ „თაიმის" მიერ შედგენილი გავლენიანი ადამიანების სიაში ხვდება. მან ამჯერადაც გაიმარჯვა კატეგორიაში „ლიდერები". ამ კატეგორიაში შეყვანილია აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც. მისი ქალიშვილი ივანკა ტრამპი და სიძე ჯარედ კუშნერი კი მოხვდნენ კატეგორიაში „ნოვატორები".**


ვლადიმერ პუტინი


დონალდ ტრამპი

# ყველაზე გავლენიანი ადამიანები მსოფლიოში

**ამერიკულმა გამოცემა „თაიმმა" 2017 წლის აპრილში მსოფლიოში 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანი დაასახელა 5 კატეგორიაში: „ტიტანები", „ნოვატორები", „ხელოვნების მოღვაწეები", „ლიდერები" და „კერპები".**

რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი,** უკვე რამდენიმე წელიწადია, ჟურნალ „თაიმის" მიერ შედგენილი გავლენიანი ადამიანების სიაში ხვდება. მან ამჯერადაც გაიმარჯვა კატეგორიაში „ლიდერები". ამ კატეგორიაში შეყვანილია აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპიც.** მისი ქალიშვილი **ივანკა ტრამპი** და სიძე **ჯარედ კუშნერი** კი მოხვდნენ კატეგორიაში „ნოვატორები".

**ჯულიან ასანჟი** — „ვიკილიქსის" დამფუძნებელი, მოხვდა გავლენიანი ადამიანების ჩამონათვალში (კატეგორია „ლიდერები"). ჟურნალმა „თაიმმა" გავლენიანი „ლიდერების" სიაში შეიყვანა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური **კიმ ჩენ ინი**, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე **სი ძინპინი**, თურქეთის პრეზიდენტი **რეჯეფ თაიფ ერდოღანი,** დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **ტერეზა მეი**, რომის პაპი **ფრანცისკე** და ფილიპინების პრეზიდენტი **როდრიგო დუტერტე** (მკითხველთა რჩეული). კატეგორიაში „ხელოვნების მოღვაწეები" პირველია ფილმ „დედპულის" ვარსკვლავი **რაიან რეინოლდსი**; შემდეგ მოდის ფილმ „ლა-ლა-ლენდიში" ერთ-ერთი გმირის როლის შემსრულებელი, ამერიკელი მსახიობი **ემა სტოუნი.**

გავლენიანი ადამიანების სიაში (კატეგორია „კერპები") მოხვდა ბრაზილიელი ფეხბურთელი, ფრანგული კლუბის — „პარი სენ-ჟერმენის" თავდამსხმელი **ნეიმარი.**

კატეგორიაში „ტიტანები" პირველობა არავის დაუთმო NBA-ს კლუბის „კლივლენდ კავალიერსის" კალათბურთელმა **ლებრონ ჯეიმსმა.**

ამერიკული გამოცემა Vanty Fair-ის გამოკითხვით კი, მსოფლიოს გავლენიანი ადამიანების პირველი ხუთეული ასეთია: 1. „ამაზონის" დამფუძნებელი **ჯეფ ბეზოსი;** 2. „ფეისბუქის" მფლობელი **მარკ ცუკერბერგი;** 3. Appl-ის ხელმძღვანელი **ტიმ კუკი;** 4. „გუგლის" თანადამფუძნებელი და კომპანია Alphabet-ის დირექტორი **ლარი პეიჯი;** 5. კომპანია „ტესლას" დამფუძნებელი, პროექტ SpaceX-ის ხელმძღვანელი **ილონ მასკი.**

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


რაიან რეინოლდსი


ნეიმარი


ლებრონ ჯეიმსი

# გამოგონილი ქვეყანა ბინომო, სპეისის ხელი პოროშენკოს მუხლზე და გაეროში აშშ-ის წარმომადგენელი

## პრანკერებმა ნიკი ჰეილი გააბითურეს




**რუსმა პრანკერებმა ვოვანმა და ლექსუსმა გაეროში აშშ-ის წარმომადგენელ ნიკი ჰეილის დაურეკეს და მას პოლონეთის პრემიერმინისტრად წარუდგნენ. ქალბატონი ნიკი არ შეუცბუნებია იმ ამბავს, რომ არარსებულ, გამოგონილ სახელმწიფოში ვითარებაზე ესაუბრებოდნენ, — წერს Vesti.ru**

**პრანკერები:** — კიდევ ერთი რამ მაინტერესებს — ბინომო. ეს არც ისე შორს არის ვიეტნამიდან, ჩინეთის სამხრეთითაა. თქვენ გსმენიათ ბინომოს შესახებ?

**ჰეილი:** — დიახ, დიახ.

**პრანკერები:** — დამოუკიდებლობა სურთ.

**ჰეილი:** — მართალია.

**პრანკერები:** — მათ არჩევნები ჩაატარეს, ვვარაუდობთ, რომ იქ რუსეთი ჩაერია.

**ჰეილი:** — ჰო, რა თქმა უნდა.

**პრანკერები:** — და ახლა ეს ბინომო ვითარებას ამწვავებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.

**ჰეილი:** — ჩვენ გაფრთხილებული ვართ ამის შესახებ და ყურადღებით ვაკვირდებით ვითარებას. ვფიქრობ, განვაგრძობთ დაკვირვებას ისევე, როგორც სხვა საკითხებზე, რომლებიც ეხება სამხრეთი ჩინეთის ზღვას.

**პრანკერები:** — რა ზომები გატარდება ბინომოს მიმართ?

**ჰეილი:** — გავიგებ, როგორია აშშ-ის რეალური პოზიცია ამ საკითხზე და შეგატყობინებთ, რა უნდა გააკეთოთ.

**პოლონეთის პრემიერს რომ არ ელაპარაკებოდა, ჰეილი ვერც მას შემდეგ მიხვდა, როცა მას კევინ სპეისსა და პეტრე პოროშენკოზე ჰკითხეს.**

**პრენკერები:** — მინდა, ჩვენი საუბარი პოლიტიკურ ნოტაზე დავასრულოთ. წაიკითხეთ ბატონი პოროშენკოს დღევანდელი ინტერვიუ?

**ჰეილი:** — არა, მაგრამ აუცილებლად გავეცნობი.

**პრანკერები:** — პოროშენკომ თქვა, რომ კევინ სპეისი 2015 წელს უკრაინას სტუმრობდა.

**ჰეილი:** — დიახ, ეს სასაცილოა.

**პრანკერები:** — და ვახშმობისას პრეზიდენტს აეტორღიალა, ხელი დაადო მუხლზე.

**ჰეილი:** — რას ამბობთ?

**პრანკერები:** — ჰო, ეს სიგიჟეა.

**ჰეილი:** — ძალიან სასაცილოა. აუცილებლად წავიკითხავ ამ ინტერვიუს...

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ახალგაზრდები სწავლითა და სპორტით, ხოლო დიდები სამსახურით უნდა იყვნენ დაკავებულნი და ნარკოტიკული საშუალებისთვის დრო აღარ ექნებათ“.

## ლაშა ტალახაძე: სად მცალია მოსაწევად. კვირაში ექვსი დღე ვარჯიშით ვარ დაკავებული

**ქართველი ძალოსნებისთვის ისტორიული გამოდგა ანაჰაიმში (აშშ) დასრულებული 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა ოთხი ქართველი სპორტსმენი — ლაშა ტალახაძე, ანასტასია გოტფრიდი, რევაზ დავითაძე, შოთა მიშველიძე.**

მცირერიცხოვანი დელეგაციის მიუხედავად, ქართველმა ძალოსნებმა ერთ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად შეძლეს ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედლის მოიპოვება და გუნდურ შეჯიბრებაში მესამე ადგილის დაკავება. როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველი სპორტსმენებიდან ყველაზე დიდ წარმატებას +105 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ლაშა ტალახაძემ** მიაღწია, რომელმაც სამი ოქროს მედალი (ატაცი, აკვრა, ორჭიდი) დაისაკუთრა და პლანეტის ყველაზე ძლიერი ადამიანის სახელი ზედიზედ მეორედ მოიპოვა. ოქროს მედლების გარდა, ლაშამ ანაჰაიმში მსოფლიო რეკორდები დაამყარა ატაცსა (220) და ორჭიდში (477) და თავისი ძველი რეკორდები 3-3 კილოგრამით გააუმჯობესა.

გთავაზობთ ინტერვიუს ევროპისა და მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონ და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ **ლაშა ტალახაძესთან**, რომელიც საქართველოს 2017 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.

**— არჩევანი ძალოსნობაზე რატომ შეაჩერეთ?**

— შეიძლება ითქვას, რომ ოჯახურ ტრადიციას ვაგრძელებ, რადგან მამაჩემი, **კობა ტალახაძე**, ვეტერანი ძალოსანია.

ძალიან მიყვარს ძალოსნობა, რომელმაც დიდი აღიარება და ხალხის სიყვარული მომიტანა. ენით აუწერელი სიამოვნებაა იყო მსოფლიოში ყველაზე ღონიერი მამაკაცის ტიტულის მქონე.



**— მოკლედ გვიამბეთ თქვენ შესახებ.**

— დავიბადე 1993 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ საჩხერეში. ძალოსნობაში ვარჯიში მამაჩემის ხელმძღვანელობით დავიწყე. როცა საჩხერეში ვარ, მამაჩემის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობ. ორი წლის შემდეგ ძალოსნობას თავი დავანებე და ვარჯიში თავისუფალ ჭიდაობაში განვაგრძე. დაახლოებით ორისამი წლის შემდეგ, ისევ ძალოსნობას დავუბრუნდი. თბილისში გადმოსვლის შემდეგ **ავთო გახოკიძის** ხელმძღვანელობით ვვარჯიშობ.

**— რა იყო ძალოსნობიდან თქვენი ჯერ წასვლისა და შემდეგ დაბრუნების მიზეზი?**

— ჩემი გადასვლა თავისუფალ ჭიდაობაში მამაჩემის მიერ წინასწარ იყო მოფიქრებული. რადგან მსუქანი, მოუქნელი ბავშვი ვიყავი, მან ჩათვალა, რომ ჭიდაობაში ვარჯიშის შემდეგ უფრო ელასტიკური გავხდებოდი. დასახული მიზნის მიღწევის შემდეგ, ანუ, როდესაც ჩემი მოქნილობა ძალოსნობისათვის საკმარისი იყო, ისევ ძველ სახეობაში განვაგრძე ვარჯიში.

**— ანაჰაიმში აკვრაშიც შეგეძლოთ მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება, შეუკვეთეთ კიდეც სარეკორდო 265 კილოგრამი, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალეთ და 257 კილოგრამის აწევით დაკმაყოფილდით. რა იყო თქვენი გადაწყვეტილების შეცვლის მიზეზი?**

— ეს გადაწყვეტილება ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გიორგი ასანიძესთან** შეთანხმების შემდეგ მივიღე. საქმე ის არის, რომ 257 კილოგრამის დაძლევაში დარწმუნებული ვიყავი და ეს საკმარისი იყო ოქროს მედლის მოსაპოვებლად. თუ 265 კილოგრამს ვერ დავძლევდი, მაშინ აკვრაში ჩემპიონი ველარ გავხდებოდი. ამჯერად აქცენტი ოქროს მედალზე გავაკეთე და რეკორდის დამყარება სამომავლოდ გადავდე.

**— ვის თვლით ძალოსნობაში უშუალო კონკურენტად?**

— მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩემპიონატზე მესამე ადგილით დაკმაყოფილდა, ჩემს უშუალო კლონკურენტად მაინც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ **ბეჰდად სალიმის** ვთვლი.

**— 24 წლისამ ყველაფერი მოიგეთ, რისი მოგებაც შეიძლება. მსოფლიო ჩემპიონატზე უშუალო კონკურენტებისთვის ამხელა სხვაობით მოგება თვითდამშვიდების უფლებას ხომ არ გაძლევთ?**

— კარგად ვიცი, რომ ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაზე უფრო ძნელი მისი შენარჩუნებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შენელების ნაცვლად ვარჯიში კიდევ უფრო გავაძლიერე.

კვირაში მხოლოდ ერთ დღეს, კვირას ვისვენებ, ექვსს დღეს კი ვვარჯიშობ.

**— ვინ არის თქვენი კერპი ანუ სამაგალითო სპორტსმენი?**

— საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი **კახი კახიაშვილი.**

**— სამწუხაროდ, თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში იყო ცუდი პერიოდიც, როდესაც აკრძალული პრეპარატის გამო, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღეთ...**

— როგორც მორწმუნე, მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ დღესაც არ ვიცი, როგორ მოხვდა ჩემს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი. დისკვალიფიკაციის მიუხედავად, ვარჯიში ერთი დღითაც არ შემიწყვეტია.

**— დღეს ბევრს საუბრობენ მარიხუანის დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციაზე.**

— ჩემთვის მიულებელია, საქართველოს მოსახლეობის გენოფონდი დაბოლილი დადიოდეს. არც იმის მომხრე ▶

## ნიკოლოზ დერიუგინი: როგორც დეკრიმინალიზაციის, ისე ლეგალიზაციის სასტიკი წინააღმდეგი ვარ

**ქართული კალათბურთის გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი ნიკოლოზ დერიუგინის სახელი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში სპორტის ამ სახეობის განვითარებაში. იგი ქუთაისში დაიბადა, 6 წლის იყო, როცა მშობლებმა კალათბურთზე მიიყვანეს, მისი პირველი მწვრთნელი მამამისის მეგობარი ზაურ ჩარკვიანი გახლდათ.**
**ერთი წლის შემდეგ ცნობილმა მწვრთნელმა სულიკო თორთლაძემ, რომელსაც არაერთი სასახელო კალათბურთელი აღუზრდია, ნიკოლოზი თავისთან გადაიყვანა. მეცხრე კლასიდან დერიუგინი თბილისში გადმოვიდა და საბჭოთა კავშირის საკალათბურთო ჩემპიონატში მონაწილე თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა. ამის შემდეგ დაიწყო ნიკოლოზ დერიუგინის წარმატებული კარიერა. რთული ტრავმის გამო მან ძალიან ახალგაზრდამ, 27 წლისამ, დატოვა აქტიური სპორტი, რომელსაც კვლავ დაუბრუნდა 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.**
**აქტიური სპორტიდან საბოლოოდ წასვლის შემდეგ ნიკოლოზ დერიუგინი თავის გამოცდილებას ახალგაზრდებს უზიარებს.**

**— ბატონო ნიკოლოზ, როდის შედგა თქვენი დებიუტი?**

— 1977 წლის 14 იანვარს პირველად ვითამაშე საბჭოთა კავშირის საკალათბურთო ჩემპიონატში, სვერდლოვსკის „ურალმაშს“ 81:63 მოვუგეთ. ამ შეხვედრაში დებიუტანტის პირობაზე ძალიან კარგად ვითამაშე — 18 ქულა მოვიპოვე. ამავე წელს ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ ცსკ-სთან შეხვედრაში ჩემს კარიერაში ყველაზე მეტი ქულა დავაგროვე — 59. ჩემი თამაში მოსკოველ მწვრთნელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, ცსკ-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე გომელსკიმ** თავის გუნდში გადასვლა შემომთავაზა. მპირდებოდნენ ბინას მოსკოვში და მანქანას. მიუხედავად იმისა, რომ „დინამო“ იმ პერიოდში ჩემპიონობის კანდიდატად არ განიხილებოდა, მაინც საქართველოში დარჩენა და „დინამოში“ თამაში ვამჯობინე.

**— გომელსკი მოსკოვში გადასვლის თაობაზე პირადად გესაუბრათ?**

— თავდაპირველად მე დამიკავშირდა, ვუთხარი, რომ მამაჩემისთვის ეთქვა ამის შესახებ. მამასთან საუბრისას გომელსკის უთქვამს: გადმოვიდეს მოსკოვში, რუსული გვარი აქვს და ახალ გუნდში თამაში არ გაუჭირდებაო. მამაჩემს უპასუხია: წადი ქუთაისში, საფიჩხიაზე, და ბაბუამისს დაეკითხეო. გომელსკი მართლაც ჩასულა ქუთაისში და უკითხავს ბაბუაჩემის მისამართი, ჩემს ყოფილ მეზობლებს უთქვამთ: ცხონებული რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა და საფიჩხიის სასაფლაოზე განისვენებსო.

**— ამით მამათქვენს რისი თქმა უნდოდა?**

— იმის თქმა, რომ მართალია, ქართული გვარი არ მაქვს, მაგრამ მეც და ჩემი წინაპრებიც ქართველები ვართ — აქ დავიბადეთ და, როცა უფალი ინებებს, აქ უნდა დავასრულოთ ჩვენი სიცოცხლეო.

**— ხომ არ ნანობთ, გომელსკის შემოთავაზებას რომ არ დათანხმდით?**

— რა თქმა უნდა, არა. მართალია, „დინამომ“, როცა მე იქ ვთამაშობდი, სსრკ-ის ჩემპიონობა ვერ მოიპოვა, მაგრამ რა დამავიწყებს თბილისის სპორტის სასახლეს, გადაჭედილს გულშემატკივრებით, რომლებიც ხშირად სკანდირებდნენ ჩემს სახელს.



**— თქვენ ძალიან ადრე, 27 წლისამ, დაანებეთ კალათბურთის თამაშს თავი, 1986 წელს. არადა, ორი წლის შემდეგ, 1988 წელს, სსრკ-ის ნაკრებმა სეულის ოლიმპიადა მოიგო. თქვენი თამაშიდან გამომდინარე, ამ გუნდში აუცილებლად მოხვდებოდით, მაგრამ ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვების შანსი ხელიდან გაუშვით. რა იყო აქტიური სპორტიდან თქვენი წასვლის მიზეზი?**

— ერთ-ერთი შეხვედრისას მუხლის მძიმე ტრავმა მივიღე. ოპერაცია მოსკოვში ცნობილმა ქირურგმა **ზოია მირონოვამ** გამიკეთა და ხელოვნური იმპლანტი ჩამიდგა. გამაფრთხილეს, რომ ჩემი ორგანიზმის მიერ მისი მიღების შანსი 50% იყო. სამწუხაროდ, ჩემმა სხეულმა იგი არ მიიღო და ინფექცია განვითარდა. მდგომარეობა ისე გართულდა, რომ მეორე ოპერაციის ჩატარება შეიქნა საჭირო, კალათბურთის თამაში ვის ახსოვდა, განგრენას ძლივს გადავურჩი, ამიტომ დავტოვე აქტიური სპორტი.

**— 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აქტიურ სპორტს კვლავ დაუბრუნდით. უკვე აღარ გაწუხებდათ ტრავმა?**

— ხომ გახსოვთ, როგორი დრო იყო — უშუქობა, უფულობა... ტრავმა ისევ მაწუხებდა, მაგრამ, სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებული ვიყავი, ისევ დამეწყო თამაში. ჩემი პირველი უცხოური გუნდი უნგრეთის „მაფცი“ იყო, სადაც 300 დოლარს მიხდიდნენ.

**— კარიერა რომელ გუნდში დაასრულეთ?**

— აქტიური სპორტიდან ჩემი საბოლოოდ წასვლის მიზეზი ისევ ტრავმა იყო. სდასუ-ში თამაშისას ქუსლის მყესი გავიწყვიტე და მორიგი ურთულესი ოპერაციის შემდეგ აქტიურ სპორტს საბოლოოდ დავემშვიდობე.

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— 55-ე საჯარო სკოლაში იჯარით ავიღე პატარა დარბაზი, რომელშიც 6-დან 14 წლამდე ბავშვებს ვავარჯიშებ.

**— როგორი თაობა მოდის?**

— თუ ვინმე გამოჩნდა პერსპექტიული, სხვა მწვრთნელთან მიდის, რადგან ამ პატარა დარბაზში, რომელსაც ყოველდღიურად ორი საათით ვიკავებთ, არ არის პირობები, მომავალი კალათბურთელები სათანადოდ რომ მოემზადონ შესაძლებლობების ბოლომდე გამოსავლენად.

**— ისეთი ტიტულოვანი სპორტსმენისთვის, როგორიც თქვენ ხართ, საქართველოში უკეთესი დარბაზი ვერ მოიძებნა?**

— თბილისის აწ უკვე ყოფილ მერს, **დავით ნარმანიას,** ვთხოვე, თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში საკალათბურთო დარბაზი ან ვერის ბაღში მდებარე კალათბურთის სასახლის სათადარიგო დარბაზი 10 წლით დაეთმო ჩემთვის. დამპირდა, მაგრამ დაპირება არ შეასრულა. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს მომღერალ **გიო ხუციშვილის**, რომელსაც სპორტის სასახლე რამდენიმე წლით აქვს აღებული, მაგრამ, თუ სახელმწიფოს მისი პატივისცემა უნდოდა, ფილარმონია ან სხვა საკონცერტო დარბაზი გადაეცათ — სად სპორტი და სად სიმღერა?! არ ვითხოვ, სპორტის სასახლე დამითმონ, ერთი პატარა დარბაზი მოვითხოვე და, დაპირების მიუხედავად, ვერ მივიღე. ჩემი ბალტიისპირელი მეგობრები — **არვიდას საბონისი, შარუნას მარჩულიონისი**, რომლებსაც საკალათბურთო სკოლები აქვთ, თავისთან მეპატიჟებიან და აქაც უნდათ ჩამოსვლა, მაგრამ, რომ ჩამოვიდნენ, რა უნდა დავახვედრო? ამიტომ მრცხვენია და სხვადასხვა მიზეზს ვიგონებ, რათა იქ არ წავიდე...

**— თბილისის ახალ მერთან, კახა კალაძესთან, თუ გქონდათ ამ თემაზე საუბარი?**

— კალაძეს ჯერ არ შევხვედრივარ, მაგრამ ვაპირებ, შევხვდე. ყოფილი სპორტსმენია და იმედია, გამიგებს.

**— თქვენ, როგორც ნამდვილ ქუთაისელს შეჰფერის, იუმორის დიდი ნიჭი გაქვთ. ამბობენ, „საწყალ“ ვლადიმერ ტკაჩენკოს „სისხლს უშრობდა“, ისე აწვალებდაო...**

— *(ეცინება)* მახსოვს, ცსკ-სთან თბილისში თამაშისას შესანიშნავ ფორმაში მყოფ ტკაჩენკოს ვერაფერი მოვუხერხე. ქულას ქულაზე აგროვებდა და მდევრის როლში აღმოვჩნდით. წუთშესვენებაზე „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** მითხრა, შენი ქულები არ მინდა, ოღონდ როგორმე ტკაჩენკო გააჩერეო. თავი არ დამიზოგავს, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე. არ ვიცი, როგორ გამიჩნდა ეს აზრი, მაგრამ, როცა მე და ტკაჩენკო მსაჯის თვალს მოვეფარეთ, საჯდომზე მთელი ძალით ვუჩქმიტე. გამწარებულმა ტკაჩენკომ ხელი მკრა, მეც ეს მინდოდა, წავიქეცი და პარკეტზე გავცურდი. მსაჯმა ორივე გაგვაძევა მოედნიდან. ასე შევასრულე მწვრთნელის დავალება — ტკაჩენკო გავანეიტრალე. მიუხედავად იმისა, რომ ტკაჩენკოს ასე ვეხუმრებოდი, ახლო მეგობრები ვართ. თბილისში კიევის „სტროიტელის“ სტუმრობისას, სადაც ტკაჩენკო ცსკ-ში გადასვლამდე თამაშობდა, რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად ოჯახში დავპატიჟე. ძალიან დათვრნენ. აეროპორტში გაცილებისას „მოსკვიჩი“ გავაჩერე და ამხელა ხალხი პატარა „მოსკვიჩში“, შეიძლება ითქვას, ჩავტენე. 220 სმ სიმაღლის ტკაჩენკოს მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული უყვარდა. ბოლო, ვინც მანქანაში ჩავსვი, ტკაჩენკო აღმოჩნდა. მანქანის კარი არ დაიკეტა — ტკაჩენკოს ფეხსაცმლის ქუსლი ხელს უშლიდა, როცა ვერც გავხადე, ფეხსაცმელს ქუსლი მოვტეხე და ისე გავუშვი აეროპორტში.

**— როგორ შეაფასებთ საქართველოს ეროვნული ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოსვლას?**

— **ილიას ზუროსი** უფრო კარგი მწვრთნელია, ვიდრე მისი წინამორბედი, მაგრამ არ გაუმართლა, რადგან ▶

**თუ ავღანეთში, პირობითად ვთქვათ, ერთი გრამი ჰეროინი ერთი დოლარი ღირს, ცენტრალურ აზიაში მისი ფასი უკვე 7 დოლარია, ევროპის ქვეყნებში 50 დოლარად იყიდება, ე.ი. ორმოცდაათჯერ ძვირდება, ამიტომაც არის, რომ ნარკომაფია გულუხვად აფინანსებს ლონისძიებებს, რომლებიც ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისა და ლეგალიზაციის მოთხოვნით ეწყობა „დასავლეთის გზით“ მიმავალ ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა.**

ნარკომანია

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვარ, რომ მარიხუანას მომხმარებელი ციხეში ჩასვან ან დიდი ფულადი ჯარიმით დასაჯონ. ეს არ არის გამოსავალი, რადგან ავადმყოფის გამოსაჯანმრთელებლად ჯარიმები და ციხე კი არა, მკურნალობაა საჭირო.

**— რა არის მოსახლეობის ნარკოტიკებით დაინტერესების მიზეზი?**

— ძირითადად, უმუშევრობა. აბა, მე სად მცალია მოსაწევად. კვირაში ექვსი დღე ვარჯიშით ვარ დაკავებული.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სამუშაო ადგილების შექმნაში. ახალგაზრდები სწავლითა და სპორტით, ხოლო დიდები სამსახურით უნდა იყვნენ დაკავებულნი და ნარკოტიკული საშუალებისთვის დრო აღარ ექნებათ.

**— ვიცით, რომ საცოლე შერჩეული გყავთ, მაგრამ მის ვინაობას არ ამხელთ...**

— მის ვინაობას ვერც თქვენ გაგიმხელთ. მხოლოდ ერთს გეტყვით: ეროვნებით ქართველია, სამეგრელოს წარმომადგენელი.

**— უახლოესი გეგმების შესახებ რას გვეტყვით?**

— შობისა და ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში დავისვენებ. ამის შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატისთვის დავიწყებ მზადებას.

ესაუბრა
**როლანდ ლაბუჩიძე**

რამდენიმე კალათბურთელი — **ვიქტორ სანიკიძე, ბექა ბურჯანაძე** — ტრავმირებული იყო. მათ **გიორგი ცინცაძეც** შეემატა და ამიტომ გუნდმა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაკრებში თაობათა ცვლა მიმდინარეობს.

**— ბატონო ნიკოლოზ, ბევრი, მათ შორის, საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნება, ამტკიცებს, რომ მარიხუანა ადამიანს არ ვნებს და მისი დეკრიმინალიზაცია ცუდს არაფერს მოასწავებს. თქვენ, როგორც საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ცნობილი სახე, ამაზე რა აზრის ხართ?**

— მარიხუანა ვითომ მსუბუქი ნარკოტიკია, მაგრამ იგი ადამიანის, განსაკუთრებით კი მოზარდების, სისხლში მყარად ჯდება და მის მომხმარებელს უფრო ძლიერი ნარკოტიკების მიმართ უჩნდება მიდრეკილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარიხუანის და ნებისმიერი სხვა ნარკოტიკის როგორც დეკრიმინალიზაციის, ისე ლეგალიზაციის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. მარიხუანის დეკრიმინალიზაციის შემდეგ მშობლიურ ქუთაისში ვიყავი და ნახევარი ქალაქი დაბოლილი დადიოდა.

**— ფაქტია, რომ საზოგადოება, განსაკუთრებით — ახალგაზრდობა, დაინტერესებას იჩენს ნარკოტიკული საშუალებების მიმართ და ამიტომაც დადგა მისი დეკრიმინალიზაციის საკითხი. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს, რომ მომავალი თაობა ნარკოტიკული საშუალებებით არ დაინტერესდეს?**

— ამ სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალია ის, რომ მშობლებმა ბავშვები ჯანსაღ ცხოვრების წესს აზიარონ, ანუ სპორტის რომელიმე სახეობაში მიიყვანონ. მათგან ყველა ვერ გახდება პროფესიონალი სპორტსმენი, მაგრამ ქუჩას მოშორდება და ჯანმრთელი ცხოვრების წესით იცხოვრებს.

ესაუბრა
**როლანდ ლაბუჩიძე**

# ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 54 ათასი ინტრავენური ნარკომანი გვყავს. არაოფიციალურად — გაცილებით მეტი

**ნარკოპოლიტიკის (ნარკომანიის) სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორიოდე კვირისწინანდელი გადაწყვეტილებებით მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციით დაიწყო, საზოგადოების მოთხოვნისა და მისი ინტერესების დაცვის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი თუ არნახულად დარაზმული და გააქტიურებული „პლანაქეშების“, ნარკოდამოკიდებულთა, „თეთრი ხმაურის“ გააფთრებული შემოტევის გავლენით იქნა მიღებული?**



ამ შეკითხვას ავტორიტეტული ექსპერტები უკომენტაროდ ტოვებენ, რითაც ქვეტექსტის წაკითხვის უფლებას გვაძლევენ.

ჩვენც ვკითხულობთ და, რა დასკვნამდეც მივდივართ, — მტრისას! ისეთია, ზოგჯერ თქმითაც რომ დაშავდების!

ნატოში — არა, ევროკავშირზე — არც იფიქროთ, ხოლო სრულიად საქართველოს „დაბოლების“ სტადიაში — „ანტრე, ბატონო!“

მარიხუანის ლეგალიზაციით განიხვნა კარიბჭენი ნარკომანიისა.

გადავაბიჯეთ ზღურბლს და ვხედავთ, რომ, დიდი ხანია, ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში ვართ: სადარბაზოებში, პარკების უცხო თვალს მორიდებულ მყუდრო ადგილებში, ქუჩაბანდების მიხვეულ-მოხვეულებში დაყრილი ნახმარი შპრიცები, პარაფინის სანთლებივით დალეული ახალგაზრდების ამღვრეული თვალები და ბაიათივით გაწელილი საუბრები; პაციენტთა შორის თავის ტვინის ფუნქციის მოშლის შემთხვევების მზარდი ტენდენცია: ჰალუცინაცია, ბოდვითი იდეები, პარანოია, დეპრესია, შფოთვა და თვითმკვლელობა, როგორც შედეგი.

**ოფიციალური (დარეგისტრირებული) მონაცემებით, დღეს საქართველოში 54 ათასი ინტრავენური ნარკომანი გვყავს.**

**არაოფიციალურად — მნიშვნელოვნად მეტი.**

ჩირქისა და ბალღამის ამ არნახული ინფექციური კერის გაზრდა-გაფართოებისა და გავრცელების საშიშროებას ბიძგი მისცა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც ნაცების ანასხლეტი „გირჩის“ ინიციატივის დაკანონებისკენ გადადგმული ნაბიჯია და მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციას ეხება.

„უწყინარი“ მარიხუანა „მალამოა“ და „სალბუნი“, — ამათ ყური რომ უგდო, ასეა.

არადა, ნარკომანიის პრობლემების შემსწავლელი ავტორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ დადგენილია, რომ **სხვადასხვა ტიპის ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები უვითარდება მარიხუანის მწევლების 30 პროცენტს. იმ შემთხვევაში კი, თუ ყმაწვილი მარიხუანის მოხმარებას სრულწლოვანების მიღწევამდე დაიწყებს, ალბათობა იმისა, რომ „თეთრი სიკვდილი“ ხელს დარევს, 4-5-ჯერ იზრდება.**

ქართველ მეცნიერებს არაერთხელ უთქვამთ (მათ შორის, „საქართველოსა და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუებში), რომ სიცრუეა და მავნებლობა იმის მტკიცება (რასაც „გირჩის“ წევრები მედიით ავრცელებენ), რომ მარიხუანას რაღაც სამკურნალო თვისებები გააჩნია. პირიქით: **ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, ევროპის კლინიკებში სამკურნალოდ მოთავსებულ პაციენტთა შორის უმრავლესობა ჰეროინის მომხმარებელია, მეორე ადგილზე მარიხუანის მომხმარებლები არიან.**

ნებისმიერი პრობლემა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობას ეხება, დიდწილად ხელს უწყობს ნარკომანიის გავრცელებას. ამდენად, ეს სოციალური პრობლემაა. მაგალითად, **თუ ახალგაზრდობა ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას, არ აქვს განვითარების პერსპექტივა, იგი თვითდამკვიდრების ხშირად საეჭვო და ზოგჯერ დამღუპველ გზებს ირჩევს.** ეს, უწინარეს ყოვლისა, ნარკოტიკების მოხმარებაზე ითქმის, რაც მას ბედნიერებისა და სიამოვნების ილუზიას უქმნის.

**ეს ანტისოციალური გამოვლინება განსაკუთრებით თავს იჩენს პროვინციაში, ქართულ სოფელში,** სადაც სააკაშვილის ნაცხელისუფლების მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულად გაჩანაგების შედეგად გაჩენილ ვაკუუმში უფუნქციოდ დარჩენილ ახალგაზრდებს შორის ნარკომანიის ინტენსიური გავრცელება შეიმჩნევა: მარიხუანის მოყვანა-გაშენება უპატრონო სოფელში პრობლემას არ წარმოადგენს. ნარკომანიის გავრცელების ერთ-ერთი წინაპირობა კი, როგორც ექსპერტები ამბობენ, ნარკოტიკებზე ხელმისაწვდომობაა: **რაც უფრო ხელმისაწვდომია ნარკოტიკი, მით იოლად ვრცელდება ნარკომანია.**

გაეროს შესაბამის დოკუმენტებში პირდაპირ არის მითითებული, რომ ნარკოტიკების გაყიდვაც და მოხმარებაც ისეთი ქმედებაა, რომელიც უნდა დაისაჯოს.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ორი გზა არსებობს: ნარკოტიკების ხელმისაწვდომობის შემცირება და სოციალური ფაქტორების ამოქმედება — პროფილაქტიკა, პრევენცია, მკურნალობა. მათ შორის, ფიზკულტურასა და სპორტში ახალგაზრდობის მაქსიმალურად ჩართვა, რასაც ამერიკისა და ევროპის სასწავლებლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ფსიქოლოგები ამ მიმართულებით მუშაობის აუცილებლობას იმით ხსნიან, რომ ახალგაზრდების, განსაკუთრებით, ვაჟების, ხასიათში, ბუნებრივად ჩადებულია ბრძოლისა და გამარჯვების ჟინი, ხოლო სპორტი ამ ჟინის დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, მაშასადამე, ჯანსაღი თაობის აღზრდაც ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

ეს დებულება არახალია, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ საქართველოში არ არსებობს მისი რეალიზაციის არც მატერიალური და არც ადამიანური რესურსი, არც დიდი სურვილი.

სამწუხაროდ!

**საზოგადოებას თავს მოახვიეს ცრულიბერალური დოგმები, რომელთა ამოსავალი წერტილია ინდივიდის არჩევანის სრული თავისუფლება: ნარკოტიკებით თრობა აირჩია — მისი ნებაა! ამას ქადაგებენ ნეოლიბერალიზმის ადეპტები ადამიანის უფლებათა დაცვის დროშის ქვეშ, ქართულ მედიასივრცეში, რომელიც სრულად აქვთ დაპყრობილი და ნებისმიერ საღ აზრს არასამთავრობო ორგანიზაციების მასობრივი შეტევით მიწასთან ასწორებენ, როგორც ევროპული ღირებულებების წინააღმდეგ რეტროგრადულ გამოვლინებას.**

ცალკე საკითხია ნარკომანიის კრიმინალური შემადგენელი, რომელიც მსოფლიოს არის მოდებული, ასობით მილიარდი დოლარის ბრუნვა აქვს და ფლობს უთანამედროვეს ქიმიურ ლაბორატორიებს, რომლებშიც ყოველწლიურად 30-40 ახალი ნარკოტიკული საშუალება იქმნება და მაღალკვალიფიციური მეცნიერები და ტექნოლოგები არიან დასაქმებულნი.

მსოფლიო იმპერიაა თავისი თვითმფრინავებით და წყალქვეშა ნავებითაც კი, რომლებითაც გადააქვთ ასობით ტონა ნარკოტიკი, და მაფია კოლოსალურ მოგებას იღებს. სქემა ასეთია: თუ ავღანეთში, პირობითად ვთქვათ, ერთი გრამი ჰეროინი ერთი დოლარი ღირს, ცენტრალურ აზიაში მისი ფასი უკვე 7 დოლარია, ევროპის ქვეყნებში 50 დოლარად იყიდება, ე.ი. ორმოცდაათჯერ ძვირდება, ამიტომაც არის, რომ **ნარკომაფია გულუხვად აფინანსებს ღონისძიებებს, რომლებიც ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისა და ლეგალიზაციის მოთხოვნით ეწყობა „დასავლეთის გზით“ მიმავალ ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა.**

ისეთი უბიწო არ არის ალქაჯების ის აწყვეტილობა, რომელსაც დროდადრო მართავს ზოგიერთი წამყვანი ტელეარხი, როგორც „განსაკუთრებული და გასაოცარი დემოკრატიის“ სანიმუშო გამოვლინებას.

ამერიკელებმა, როგორც თვითონ ამბობენ, ომი გამოუცხადეს „ჰეროინის ეპიდემიას“, რომელიც გავრცელდა შტატებში იმის გამო, რომ აფთიაქებში შედარებით თავისუფლად იყიდებოდა ნარკოტიკი ოქსიკოდონი. ამან გამოიწვია სააფთიაქო ნარკომანია. ამ ეპიდემიის წინააღმდეგ ღონისძიებების განსახორციელებლად **ბარაკ ობამამ** მილიარდი დოლარი გამოყო და ნარკომანია „ეროვნულ უბედურებად“ გამოაცხადა. იგივე გააკეთა **დონალდ ტრამპმაც.**

გსმენიათ, რამე ამის მსგავსი რომ გააკეთა საქართველოში რომელიმე ხელისუფალმა?!

**„ეროვნულ უბედურებად“ გამოცხადება კი არა, თუ კვლავ ასეთივე ინტენსივობით გაგრძელდა ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციისა და ლეგალიზაციის ვაიპროპაგანდა, ვეჭვობ, ხვალ-ზეგ ამ მოძრაობის მხარდამჭერ ლაშქრობაში ჩაგვრთონ ყველა.**

დაეჭვების საფუძველს იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის გამოსვლა ტელევიზიით, რომელმაც განაცხადა, რომ, გადაწყვეტილება, რომელიც ამ წერილში რამდენჯერმე დავიმოწმეთ, მიღებულ იქნა, რათა არ შეიზღუდოს პიროვნული არჩევანი.

ესე იგი, ვინმე გაჭირვებული თავის მოკვლას რომ ცდილობდეს და მიშას „სიყვარულის ხიდიდან“ მტკვარში ხტებოდეს, ზურგი უნდა შევაქციოთ, რადგან „ასეთი იყო მისი არჩევანი“.

**მარიხუანა არ არისო მძიმე ნარკოტიკი?! კი, ასეა. მაგრამ ბევრი უცხოელი სპეციალისტის აზრით, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ჩამორჩენილი რეგიონია იმის გამოც, რომ იქაური მოსახლეობა დიდი რაოდენობით ეწეოდა და ეწევა მარიხუანას, რაც არხეინობის განცდას იწვევდა, კლავდა და კლავს მიზნის მიღწევის, დაბრკოლების გადალახვის სურვილს.**

გვინდა ეს ჩვენ?

საკონსტიტუციო სასამართლოს წინა შემადგენლობამ მარიხუანის დეკრიმინალიზაციის საკითხზე გადაწყვეტილება რომ მიიღო, დააწესა ზღვარი 70 გრამი. ნარკოლოგები ასეთ გადაწყვეტილებას სრულ გაუგებრობად მიიჩნევენ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასეთი რაოდენობა (70 გრამი) ევროპაში არ არის დაწესებული, მაქსიმალური 40 გრამია. მეორე, — მცენარეში ნარკოტიკის შემადგენლობამ რამდენიმე წლის განმავლობაში ხუთჯერ მოიმატა. მაშასადამე, იმ 70 გრამში ნარკოტიკის პროცენტული შემადგენლობა ამდენჯერვე გაიზარდა, ხვალ და ზეგ შეიძლება მეტიც იყოს. ეს კი ნიშნავს, რომ **ზღვარის დაწესება წონის მიხედვით, შეცდომაა.**

დასასრულ, ეს ყველაფერი, უპირველესად კი, ცრულიბერალური ლოზუნგებით ადამიანების შეცდენის მცდელობა, ნარკომანიის გამართლება იმით, რომ თავისუფალ საზოგადოებაში ადამიანს არჩევანის უფლება აქვს, მათ შორის, პიროვნების დეგრადაციის უფლებაც, სიყალბეა; ისეთი მავნებლობაა, რეალობის ისეთი გამრუდება, რომ ეთიკაზე ხელი უნდა აიღო და ნარკოპროპაგანდისტებს გაახსენო ერთი ძველი ანეკდოტი:

**— რაბინოვიჩ, ან ჯვარი მოიხსენით, ან ტრუსები ჩაიცვით მამლის კუდივით გამოჩრილი უკანალის დასაფარავად.**

**მომდევნო ფრაზა იმდენად მოქნეულია, ისე კარგად მოერგო ჩვენს საერთო სიტუაციას, რომ ცდუნებას ვერ გავუძელი და გთავაზობთ:**

**— „ქალიშვილო, ან ლიფი მოიძრეთ, ან სიფათი გაიპარსეთ!“**

**არმაზ სანებლიძე**

ჩეჰქიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ უნდა მოიქცეს პოლიცია, როდესაც ადამიანი ქუჩაში მთვრალი მიდის, ყვირის, იგინება, პოლიციელებს „ძაღლებსა“ და „ბოზებს“ უწოდებს — მასთან უნდა მივიდეს და დააკავოს თუ ჯერ გაარკვიოს, პოეტია ის, პროზაიკოსი თუ დრამატურგი? ან, თუკი მკაცრი მუსლიმანური ჩაცმულობა „ხელშეუვალია“, რატომ არ შეიძლება, რომ საყაჩაღოდ მიმავალი ბანდა ზუსტად ასე შეიმოსოს?**

# მთვრალი პოეტები, ჰიჯაბიანი ქალები და «ბულაძისტების დასი»



## რა უნდა ქნას პოლიციამ, როდესაც ადამიანი ქუჩაში მთვრალი მოდის, ყვირის, იგინება, პოლიციელებს «ძაღლებსა» და «ბოზებს» უწოდებს?!

**როგორ უნდა დამყარდეს ჩვენს ქვეყანაში წესრიგი და როგორ შევქმნათ სამართლებრივი სახელმწიფო კანონმორჩილი საზოგადოებით? — ამ კითხვას ერთხელ უკვე გავეცი პასუხი, თუ გახსოვთ, ჩემს ადრინდელ საგაზეთო წერილში. ჩვენ უნდა დავამყაროთ წესრიგი ისე და შევქმნათ სამართლიანი გარემო ისე, როგორც ეს ლაშა ბულაძესა და მის გარშემო შემოკრებილ „ქართველ ხელოვანთა“ ჯგუფს სურს.**

**ეს იყო, 13 ივნისის ტრაგიკულ დღეს, როდესაც ზოოპარკიდან ცხოველები გაიქცნენ. შემდეგ ზოოპარკის დირექტორის მიერ სამართალდამცველებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ვეფხვების რაოდენობის შესახებ მცდარი აღმოჩნდა და მაშინ, როდესაც შესაბამის ორგანოებს ყველა ვეფხვი ლიკვიდირებული ან დაჭერილი ეგონათ, შუა ქალაქში, ერთ-ერთი ფაბრიკის საწყობში მიმალულმა ვეფხვმა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პროკურატურამ დასაკითხად დაიბარა თბილისის ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე. ამას მოჰყვა ლაშა ბულაძისა და მისი „ხელოვანთა გუნდის“ მიერ ორგანიზებული პროტესტი სახელმწიფო კანცელარიასთან — „ხელები შორს ზურაბ გურიელიძისგან!“. აქციის მონაწილეები მკაცრად აპროტესტებდნენ ზოოპარკის დირექტორის დაბარებას საგამოძიებო უწყებაში და მოითხოვდნენ მის გათავისუფლებას.**

სწორედ მაშინ დავსვი კითხვა: კი მაგრამ, ზოოპარკიდან გაქცეულმა ვეფხვმა ქალაქის ცენტრში მოკლა ადამიანი და ამის გამო ვინ უნდა დაიბარონ საგამოძიებო უწყებაში: ავტოსამრეცხაოს დირექტორი? სასადილოს გამგე? აეროპორტის მმართველი თუ ვინ? ან იქნებ არავინ? მაშ, ის როგორღაა, რომ სწორედ ის გამპროტესტებლები, რომლებიც ახლა დიდ გულზე არიან, თუკი რამე უსიამოვნო ამბავი მოხდა ქალაქში, იმწამს სხვადასხვა თოქშოუში მკაცრად მოითხოვენ წესრიგის დაცვას, პოლიციას უუნაროს უწოდებენ და ხმამაღლა გაყვირიან: მე მსურს, ვიცხოვრო სახელმწიფოში, სადაც დაცული იქნება ჩემი უსაფრთხოებაო?!

უკაცრავად, მაგრამ ძალოვან უწყებებში ადამიანების დაბარების, დაკითხვისა და მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაციის მოპოვების, შესაბამისი ზომების მიღების გარეშე, წესრიგის დაცვა რომ არ გამოდის? გვრჩება ერთადერთი პასუხი: ამ ქვეყანაში პროკურატურის, პოლიციის, სასამართლოსა და, საერთოდ, ყველა ძალოვანი უწყების მუშაობა უნდა დაექვემდებაროს ქართველ ხელოვანთა ერთ ჯგუფს; უფრო სწორად, იმ ადამიანების „სასტავს“, რომლებიც თავიანთ თავს „ხელოვანებს“ უწოდებენ და, სავარაუდოდ, პირადად ლაშა ბულაძემ უნდა გადაწყვიტოს ხოლმე, ვისი დაბარება შეიძლება პროკურატურაში, ვისი დაკავების უფლება აქვს პოლიციას და ვისი გასამართლების უფლება აქვს სასამართლოს?! აი ასე ხედავენ ეს ადამიანები „სამართლიან და მოწესრიგებულ სახელმწიფოს“. ის არ ჰყოფნით, ხელოვნების სფეროში სრული მონოპოლია რომ აქვთ და ყველა თემაზე ტელევიზიები კომენტარებს მათ სთხოვენ, მათი პრეტენზია უკვე იურიდიულ სფეროზეც ვრცელდება. ეს ტენდენცია კიდევ უფრო დიდ გაქანებას რომ იძენს, გასულ კვირაში პოეტ **ზვიად რატიანის** ინციდენტმაც დაადასტურა. კერძოდ, როგორც კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზვიად რატიანი თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაიყვანესო, წამსვე შეიკრიბა „ხელოვანთა“ ბულაძისეული დასი და ისეთ სიმკაცრით დაგმო „პოლიციელთა თავხედობა“ და ისეთი რიხით აცხადებდა, როგორ შეიძლება გამოჩენილ პოეტზე პოლიციამ ხელი აღმართოსო, გეგონება, „არაგამოჩენილ“ პოეტზე ან თუნდაც არაპოეტზე პოლიციის მხრიდან ხელის აღმართვა ჩვეულებრიოვი მოვლენა იყოს და მხოლოდ პოეტზე, „ხელოვანზე“ შეხებაა პოლიციის მხრიდან ცუდი საქციელი.

ჩემს ამ სტატიას კუდი რომ არ გამოებას, ხაზგასმით აღვნიშნავ: არ ვეხები იმ ადამიანებს, რომლებიც იმთავითვე აცხადებდნენ, პოლიციური რეიდები ჩვენთვის ყველა შემთხვევაში მიუღებელიაო. საუბარი მაქვს იმ ადამიანებზე, რომლებიც, დიდი ხანია, უკვე ტვინს ხვრეტენ „ქვეყანაში არსებული განუკითხაობის“ შესახებ წუწუნით, მკაცრად მოითხოვენ პოლიციის მიერ წესრიგის დამყარებას და მეორე წუთში, რამე რომ მოხდება, გამორბიან ლოზუნგებით: „პოეტს ხელი არ ახლოთ!“, „მწერალს ხელი არ ახლოთ!“, „მუსიკოსს ხელი არ ახლოთ!“, „ჟურნალისტს ხელი არ ახლოთ!“.

პირდაპირ ვიტყვი: დღეს საქართველო, ფაქტობრივად, ზუსტად ასეა დაყოფილი: მოსახლეობის 25 პროცენტი პოეტია, 25 პროცენტი — მწერალი, 25 პროცენტი — მუსიკოსი და 25 პროცენტი — ჟურნალისტი. მაშ, ვილას „ახლოს ხელი“, თქვენი აზრით, პოლიციამ, როდესაც „წესრიგის დამყარებას“ ითხოვთ?

როგორც ჩანს, ის, ვისაც პოლიციამ შეიძლება „ხელი ახლოს“, თბილისში ასე ძალიან მომრავლებული შავებში გამოწყობილი, შავ ჰიჯაბებში სახედამალული ირანელი და არაბი ქალებია, თუმცა ვიცით კი, რომ ისინი მართლა ქალები არიან? დადიან ქუჩებში და არც ფეხი უჩანთ, არც ხელი, არც სახე, არც წელი, რაიმეთი მაინც რომ მიხვდე ადამიანი, მოძრავი არსება, რომელიც ქუჩაში შემოგხვდა, ქალია თუ კაცი. ხუმრობა იქით იყოს და, მართლა ხომ შეიძლება, ასე შემოსილმა კრიმინალმა, დამნაშავემ, ტერორისტმა მამაკაცმა თამამად აუაროს გვერდი ნებისმიერ საპოლიციო რეიდს? მაშ, რა ქნას შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ პოლიციას ლაშა ბულაძე პოეტების გაჩერებას უკრძალავს, ხოლო ირანის საელჩო — ჰიჯაბიანი ქალების? ამის პარალელურად, ორივე მოითხოვს ქუჩებში სიმშვიდესა და ქვეყანაში ტურისტებისთვის უსაფრთხო გარემოს...

**როგორ უნდა მოიქცეს პოლიცია, როდესაც ადამიანი ქუჩაში მთვრალი მიდის, ყვირის, იგინება, პოლიციელებს „ძაღლებსა“ და „ბოზებს“ უწოდებს — მასთან უნდა მივიდეს და დააკავოს თუ ჯერ გაარკვიოს, პოეტია ის, პროზაიკოსი თუ დრამატურგი? ან, თუკი მკაცრი მუსლიმანური ჩაცმულობა „ხელშეუვალია“, რატომ არ შეიძლება, რომ საყაჩაღოდ მიმავალი ბანდა ზუსტად ასე შეიმოსოს?**

სწორედ აქ ელის მთავარი გამოცდა ახალდანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრ **გიორგი გახარიას**. თუ ისიც აიკიდებს „ბულაძის შიშის სინდრომს“, რაც აშკარად ეტყობოდა, ფაქტობრივად, ყველა წინამორმედ მინისტრს, ვეჭვობთ, რომ საქმე კარგად გამოუვიდეს და წაუვიდეს. როგორმე დასაძლევია, ასევე, ჩვენი „სტრატეგიული მეგობრის“ — ირანის გაუმართლებელი წნეხიც.

საბოლოოდ კი, რას იზამს და როგორ იზამს შინაგან საქმეთა მინისტრი, ალბათ, ისევ საზოგადოების სწორად წარმართულ აქტივობაზე და საქართველოს მოსახლეობის მიერ მოვლენების სწორ ანალიზზე იქნება დამოკიდებული. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი „ბულაძიშრინას“ წევრებს ან მართლა „პოეტებად და მწერლებად“ მიიჩნევს, ან კიდევ იმის ექსპერტებად, ვის უნდა „შეეხონ“ და ვის უნდა „მოერიდონ“ ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურები.



## შვედებმა გაუპატიურების წინააღმდეგ მიმართული აქციები მოაწყვეს

**შვედეთის ქალაქ მალმეში ასობით ადამიანი მონაწილეობდა გაუპატიურების წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციაში. ნოემბერ-დეკემბერში ამ ქალაქში არასრულწლოვანთა სამი ჯგუფური გაუპატიურება მოხდა. ამის თაობაზე Daily Mail-ი იუწყება.**

ნოემბრის დასაწყისში თავს დაესხნენ უმწეო გოგონას, მაგრამ ყველაზე საშინელი შემთხვევა დეკემბრის შუა რიცხვებში მოხდა.

ახალგაზრდების ჯგუფმა ქალაქის ცენტრში, ბავშვების სათამაშო მოედანზე, 17 წლის მოსწავლე გოგონა გააუპატიურეს, შემდეგ სასქესო ორგანოებზე ნავთი დაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

პოლიციამ ქალები და გოგონები გააფრთხილა, მზის ჩასვლის შემდეგ ქუჩაში მარტონი არ გამოვიდნენ. Daily Mail-ი სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულ სხვა ღონისძიებებზე არაფერს იუწყება.

## დიდ ბრიტანეთში ტერეზა მეის მოადგილე აიძულეს, გადამდგარიყო

**სკანდალებმა შეძრა დიდი ბრიტანეთი: ჯერ მაიკლ ფელონს, თავდაცვის მინისტრს, სთხოვეს, დაეტოვებინა თანამდებობა რადიოგადაცემების წამყვან ჯული ჰარტლის მიმართ „სექსუალური მიძალების“ გამო, ახლა კი ტერეზა მეის პირველი მოადგილე (პირველი სახელმწიფო მინისტრი) დამიან გრინი დაემშვიდობა მთავრობის კაბინეტს, — იუწყება „როსიისკი გოლოსი“ DW-ზე დაყრდნობით.**



ამ უკანასკნელს ბრალი დასდეს პორნოგრაფიის შენახვასა და ამ ბოლო დროს მოდად ქცეულ სექსუალურ ძალადობაში. ტერეზა მეიმ პირადად მოითხოვა მისი თანამდებობიდან გადაყენება.



## საბერძნეთში ხელი მოაწერეს თესალონიკის პორტის გაყიდვის ხელშეკრულებას

**ამ ხელშეკრულების თანახმად, თესალონიკის პორტის აქციების 67 პროცენტი 231,926 მილიონ ევროდ იყიდა კომპანია South Europe Gateway Thessaloniki (SEGT) Limited-მა, რომელმაც გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა.**

შეთანხმება პარლამენტის მიერ იქნება რატიფიცირებული და, ვარაუდობენ, რომ გარიგება 2018 წლის პირველ კვარტალში გაფორმდება, — ნათქვამია „რია ნოვოსტის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეთანხმების საერთო ღირებულება 1,1 მილიარდი ევროა. მიაჩნიათ, რომ ამ გარიგებით კიდევ უფრო გაძლიერდება საბერძნეთის კარიბჭის როლი საერთაშორისო სავაჭრო და ტურისტულ კომპანიებს შორის.

**სანამ ავსტრალია ნეოლიბერასტული ამ უმაღლესი მწვერვალის დაძლევისკენ ისწრაფვოდა, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ამ ქვეყანაში 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება კანონი „დაქორწინება ყველასთვის“.**

**ეს უნდა ვიცოდეთ**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

# პლანეტა სოდომი




**ავსტრალიაში დეპუტატმა თავის კოლეგას ცოლობა სთხოვა პარლამენტის სხდომაზე, როცა ერთნაირსქესიანთა ქორწინების საკითხის განხილვა მიმდინარეობდა.**

არაფერი განსაკუთრებული თითქოს არ მომხდარა, თუმცა ერთგვარად უხერხული უნდა იყოს სიყვარულის გასაჯაროება მაინცდამაინც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სამუშაო პროცესის დროს: რა საქვეყნო საქმე ეგ არის, რომ პარლამენტის ტრიბუნა შენი სასიყვარულო გრძნობების აფიშირებისთვის გამოიყენო(?!).

და მაინც, არაფერია განსაკუთრებული, მით უფრო მსოფლიო პრესისთვის საინტერესო და ასატაცებელი, ერთი უხერხულობა რომ არა: დეპუტატმა **ტიმ უილსონმა** შეუღლების წინადადებით მიმართა პედერასტ პარტნიორს, რომელთანაც, უკვე ცხრა წელიწადია, „სიამტკბილობს“.

იმ მომენტისთვის ერთნაირსქესიანთა ქორწინება ავსტრალიაში ოფიციალურად არ ხდებოდა. მაშასადამე, უვაჟკაცია მამათმავალს, ასე გაბედულად რომ გამოსულა საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ და „სატრფოსთვის“ უჩვენებია „საქმენი საგმირონი“.

არაფერი შევეშალოთ — არავითარი გამბედაობა და თავგანწირვა, არავითარი დაპირისპირება საზოგადოებრივ აზრთან: ცოტა ხნით ადრე ავსტრალიაში ჩატარდა რეფერენდუმი და მისი მონაწილეების 62-მა პროცენტმა მხარი დაუჭირა პედერასტების შეუღლების დაკანონებას, ერთნაირსქესიანთა კანონიერად დაქორწინებას.

ცოტაც და, ავსტრალია 26-ე ქვეყანა გახდება, რომელშიც წყვილების არაბუნებრივი კავშირი ლეგალიზებული იქნება.

სანამ ავსტრალია ნეოლიბერასტული ამ უმაღლესი მწვერვალის დაძლევისკენ ისწრაფვოდა, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ამ ქვეყანაში 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება კანონი „დაქორწინება ყველასთვის“.

გაიხარეს ავსტრიელმა მამათმავლებმა, ლესბოსელებმა, გეებმა და ასე შემდეგ — ლეგიონია მათი სახელი.

„იესომ ჰკითხა მას *(კაცს, რომელსაც ეშმაკები დაუფლებოდნენ)*: „რა არის შენი სახელი?“ მან უთხრა: „ლეგიონია“, — ვინაიდან ბევრი ეშმაკი იყო მასში შესული“ *(ლუკ. 8,30)*.

ლგბტ თანამეგობრობას ერთი რუსული ანეკდოტი ზუსტად ახასიათებს:

„ზევიდან შეხედავ — რა დედამ გშობა!

ქვევიდან შეხედავ — ფუი ეშმაკს!“

თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ ქვეყანაში არავის უცდია „ავსტრიელთა მარშის“ მოწყობა, საპროტესტო დემონსტრაციით არავის ჩაუვლია ვენის „პლეხანოვის პროსპექტზე“.

პირიქით: აქამდე მათ ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი ავხორცობის პრინციპებით ცხოვრებისთვის. ერთი უხერხულობა იყო ის, რომ მათ „შეუღლებას“ ოფიციალურად ერქვა „ერთნაირსქესიანთა პარტნიორობა“.

მაგრამ მიიჩნიეს, რომ ეს იყო დისკრიმინაცია, მათი „წმინდა“ უფლებების დარღვევა, არასრულფასოვნების დაღდასმულობა. მიაწვნენ და თავისი გაიტანეს, დაიცვეს ავსტრიის კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპი.

წლეულს ასეთი კანონი მიიღეს გერმანიაში. დააკანონეს პედერასტების დაქორწინება, გააოფიციალურეს. ახლა ზეიმის კულმინაციის მომენტში ჯანიანი მამაკაცი, რომელიც უკვე ცოლად შერაცხეს, ზურგით შეტრიალდება ასეთივე „შეუღლების“ მომლოდინე პატარძლებისკენ და ისვრის „სიძის“ მიერ მირთმეულ თაიგულს მოჟღურტულე, წარბებგამოქნილი და წამწამებდამუქებული მასისკენ.

ხელუკულმა ისვრის და დაიჭერს ამერიკაში ქართულ ჩოხაში გამოწყობილი წყვილიდან ერთ-ერთი, რომელიც ისეთივე ქართველია, როგორი იაპონიის იმპერატორის უკანონო შვილიც იყო ცნობილი ვერელი პედერასტი, აკორდეონზე კაი დამკვრელი და კაი მომლხენი ქიშვარდი.

**კანადაში კი, იქ, ოკეანის გაღმა მხარეს, უფრო შორს არიან წასულები და „კანონის მთელი სიმკაცრით“ სჯიან ყველას, ვისაც არ სჯერა მესამე სქესის არსებობა.** 2017 წლის 20 ნოემბერს ამერიკულმა გაზეთმა „ლაიფსაიტნიუსმა“ გვაუწყა, რომ კანადის უნივერსიტეტებში სასტიკად სჯიან „ტრანსგენდერიზმის უმნიშვნელო კრიტიკისთვის“ სტუდენტებსაც და ლექტორებსაც და მათ „სიძულვილის პროპაგანდაში“ ბრალს სდებენ, აჯარიმებენ და... იძულებით „გეისწავლებასაც“ უფარდებენ.

ციხეში მოხვედრის პერსპექტივაც გარანტირებული აქვთ.

აქაური მორიგი სკანდალის შესახებ ტრადიციული სტუდენტები ყვებიან: **ჩვენთან ისეთი ვითარებაა, რომ თავისუფლად ლაპარაკი მხოლოდ გარყვნილებაზე შეიძლება, ტრადიციული ურთიერთობები ტაბუდადებულია, ხსენებაც კი აკრძალულია. ნებისმიერი არაპედერასტული მოსაზრება „ტერორისტულად“ ითვლება, რომელიც ხელყოფს „გეიდიქტატურას“.**

საქმე ისაა, რომ 2017 წლის ივნისში მიღებულ იქნა საგანგებო კანონი „ბილი C-16“, რომლითაც დადგენილი იქნა „გენდერული თვითინდიფიკაცია“ და „გენდერული იდენტურობა“, რაც ჩაიწერა კანადის ადამიანის უფლებათა კოდექსში და კანადის სისხლის სამართლის კოდექსის განყოფილებაში. ამ კანონის მიხედვით, რომელიც კანადაში უკვე ძალაში შევიდა, ამიერიდან „გენდერული თეორიის უმცირესი კრიტიკაც კი“ სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას. კანადის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც იტყვის, მაგალითად, რომ „გენდერები არ არსებობენ“, „გენდერი სიცრუეა“, „გენდერიზმი ცრუთეორიაა“, სასტიკად დაისჯება „ბილი C-16“ კანონით.

2017 წლის 20 ნოემბერს ამერიკულმა და კანადურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია კანადის უნივერსიტეტში მომხდარი სკანდალის შესახებ, როცა სტუდენტმა გოგონამ გაბედა და გამოთქვა თავისი ალტერნატიული (არაგეური) მოსაზრება ქორწინებასა და მესამე სქესის თაობაზე.

პრესა წერს, რომ დღეს ნებისმიერ სტუდენტსა თუ მასწავლებელს ჯვარზე გააკრავენ, რადგან ჰომოსექსუალიზმის კრიტიკა კანადაში ახალი კანონის ძალით ისჯება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

იგებ ამ ყველაფერს, კითხულობ და გიჩნდება სავსებით ლოგიკური დასკვნა გახრწნილ-გაუკუღმართებული ასეთი წეს-ჩვეულებების დამწესებელი კანონების მიმღებთა მიმართ:

— უკაცრავად, მაგრამ თავში ფალოსი ხომ არ გაქვთ?

ჩვენ ასეთ ნატურალიზმს ვერიდებით, იქ კი, მაგალითად, კორეაში სამას ფალოსს თავი მოუყარეს და ერთ პარკში გამოიტანეს სახილველად და გასაცნობად.

„დისნეისლენდის“ მსგავს პარკში.

კორეული ლეგენდის მიხედვით, ახალგაზრდა მეთევზემ დანიშნული საცოლე კლდეზე დატოვა და ნაოსნობაში გაეშურა. ელოდა ქალწული საქმროს ერთგულად იმ კლდის კალთაზე. ამასობაში აღელდა ზღვა და დიდმა ტალღამ უმწეო არსება აფოფრილ სტიქიონში ჩაითრია. დაიხრჩო საწყალი. მას შემდეგ სოფელში ნაპირთან თევზი აღარ მოდიოდა. გლეხები ეჭვობდნენ, რომ ამის მიზეზი ზღვაში დამხრჩვალი ქალის აფორიაქებული სული იყო, მაგრამ არ იცოდნენ, რით დაემშვიდებინათ იგი. ყველაფერი სცადეს და ბოლოს მიართვეს ხისგან გამოთლილი ფალოსები. ამან გაჭრა. მკვდარი ქალიშვილი დამშვიდდა და ზღვას თევზი დაუბრუნდა.

მას შემდეგ ამ ცერემონიას ყოველწლიურად აწყობენ. მეთევზეთა სოფელში იმდენი სხვადასხვა ზომის ფალოსი დაგროვდა, რომ მათზე მთელმა მსოფლიომ შეიტყო. 2007 წლიდან ხესინდანგის პარკში, რომელიც საკურორტო ქალაქ სამჩხოკის გარეუბანში მდებარეობს, ათიათასობით დამთვალიერებელი ჩადის, რომელთაგან ორი მესამედი ქალია, რათა დაათვალიეროს პარკში გამოფენილი სხვადასხვა ფორმისა და ზომის, სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამასამდე ფალოსის ძეგლი: ზოგი ნატურალური ფორმისაა, ზოგს თვალები და სახე აქვს დამატებული. ვის როგორ წარმოუდგენია!

ფალოსომანია აქ ისეა ფეხმოკიდებული, რომ ადგილობრივი შუქურას და სანაპიროს გასწვრივ დადგმულ სკამებსაც პენისის ფორმა აქვს და ტურისტები მათზე დიდი სიამოვნებით სხდებიან.

**P.S. სამხრეთ კორეასთან მეგობრული ურთიერთობის გასაღრმავებლად, ეგებ, ღირდეს იმ პარკში გამოსაფენად თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ჩარჭობილი თუჯის ფიგურების საჩუქრად გადაცემა? ფუი ეშმაკს, მაგრამ ეს თავმომრგვალებული „ხელოვნების ნიმუშები“ ვინძლო იქაურობას უფრო მოუხდეს?**

**თანაც ექსპორტში ჩაგვეთვლება.**

**P.P.S. და აქვე ერთი ფაქტიც, რომელსაც „უზნეობის“ რუბრიკასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ უნდა მოერგოს, მგონი:**

**რიცხვი სამასი კორეაში საკრალურ მნიშვნელობას იძენს, ასე ჩანს. სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინის ლიკვიდაციის მიზნით 300 ათასი დოლარი გამოყო. ეს თანხა დაიხარჯება სპეციალური რაზმის წვრთნის მიზნით, რომელსაც დაევალება კიმ ჩენ ინის მოკვლა. ამას იუწყება United Press International-ი.**

**2017 წლის 20 ნოემბერს ამერიკულმა და კანადურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია კანადის უნივერსიტეტში მომხდარი სკანდალის შესახებ, როცა სტუდენტმა გოგონამ გაბედა და გამოთქვა თავისი ალტერნატიული (არაგეური) მოსაზრება ქორწინებასა და მესამე სქესის თაობაზე. პრესა წერს, რომ დღეს ნებისმიერ სტუდენტსა თუ მასწავლებელს ჯვარზე გააკრავენ, რადგან ჰომოსექსუალიზმის კრიტიკა კანადაში ახალი კანონის ძალით ისჯება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. იგებ ამ ყველაფერს, კითხულობ და გიჩნდება სავსებით ლოგიკური დასკვნა გახრწნილ-გაუკუღმართებული ასეთი წეს-ჩვეულებების დამწესებელი კანონების მიმღებთა მიმართ:**
**— უკაცრავად, მაგრამ თავში ფალოსი ხომ არ გაქვთ?**

წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ ვიცით, რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა თუ მოსვლა ახლისა? ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნია. წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელი უფროა, ...დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკევინა, რა დაგვამუნათა?“**

# «მხნე იყავ და განძლიერდი»

**რამდენიმე დღეც და ისტორია მიისაკუთრებს პრობლემების მოგვარების მოლოდინში გალეულ კიდევ ერთ წელიწადს და იმედს ახალ წელზე გადავიტანთ: იქნებ 2018 აღმოჩნდეს ის წელიწადი, რომელიც „მოსწმენდს ერსა ტანჯვის ცრემლსა“; როცა თბილისი, და არა მხოლოდ თბილისი, იქცევა სიცოცხლით სავსე ქალაქად; როცა ჩვენვე ვიქნებით ჩვენივე ქვეყნის რეალური პატრონი; როცა წელში გავიმართებით... ამისთვის კი „ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ“, „ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ“ და „ახალ წელს მივეგებოთ ახალი ძალითა და მხნეობით. გულწრფელად და ღრმად ჩავიჭედოთ გულში ეს მცნება: სადაც ვცხოვრობთ და რომელი ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლითა და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამე. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის ვიქნებით კარგნი და ჩვენ საკუთარ შინაურ საქმესაც წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით“.**



**«ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად — ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ, მხნე იყავ და განძლიერდი — აი, ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა»**

გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარიან იესო ქრისტეს შობის დღე. გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველ-წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარასათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მსხნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშინისმცემელი უძლურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა. **„ვით მამა ზეცის, იყავ შენცა სრული“, — უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არს აღსვლად ღვთაების სისრულემდე.** რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში... იღვაწე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიახწიოო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაეგონა და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ-წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოეულის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის სძგერს.

ხოლო არ გვესმის, რა მიზეზით, ამასთანავე, თუ არ მეტის, სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალი წლისას. აი, ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით, რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნია. წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდახუთი დღე და სამას სამოცდა ხუთი დღით ახლო მიუვედით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო... ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტი საათიანივე ღამე... წავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. **დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკევინა, რა დაგვამუნათა?** რომ გვეთქმოდეს — ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია, და ეს რა ნუგეშია. **მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შევჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახშულ კარებს ბედისას?**

**ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის დახურვას და შიგნიდან ჩაკეტვას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისთვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიან, და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან.** სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსული დღენი-კი აღარა. ვაი ფუჭად განვლილს სამას სამოცდა ხუთს დღეს და ღამეს. ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბეწვის ოდენაც-კი არა შეგვმატნია რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩავგაგდო და ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავისის თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახვებდა ჩვენის უბედურებისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსავე გაატანდა, მაგრამ სად არის. **სინანულისა და განკითხვისთვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“, მაშინ, დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.**

რაღა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულგატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალ წელიწადს რაღაც იმედით ვებღაუჭებით, რაღაც სიხარულით შევნატრით. მეტი რა გზაა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩვენც ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: **ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შევხარით.** ქრისტეს აქეთ სრული ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი წელიწადი გასთენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ, ქართველებს, ცალკე და ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტჯერ სიხარულით და მილოცვით მივგეგებივართ და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათას რვაას ოთხმოცდამეცხრამეტე წელიწადისაგან რაღას უნდა მოველოდეთ ჩვენ, ქართველები, მაინც.

მართალია, დღევანდელის დღის გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ **ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. რაკი ასეა, მაშ, დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ, — რა წითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალით არა სჩანს, აბა, ერთი გვიბრძანეთ, — რა მოვუხანით, რა მოვუთესეთ, რომ რა მოგვამკევინოს.**

„ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო“, — ნათქვამია, და უხეირო, უსაქმურ წელიწადისაგან ნაშობი რა ხეირს მოგვიტანს. განა ამისთანა წელიწადი ერთი და ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია, რაც ჩვენ ვიძახით: „წახდნენ ყოველნი ჩვენთვისა, რაიც გვქონდა ქონებანიო“. ვინ არის ამის მიზეზი? არავინ, ჩვენს მეტი, და ამის მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წელიწადმა ჩვენს თავზე მიგვახედოს, დაგვიჟინია „შემოვდგით ფეხი და გწყალობდეთ ღმერთიო“ და გვგონია, რომ რაკი ეს ვთქვით, ციდან მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდება. ის კი აღარ გვახსოვს, რომ ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. **დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი — წელიწადს და ჩვენი თავი კი ისევ ისე წყალს მიაქვს, ანდაზისა არ იყოს, — ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო. გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს.** მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა.

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, — ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმაღაა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა, ეხლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნიარა. ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

**სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად — ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ, „მხნე იყავ და განძლიერდი“ — აი, ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.**

**31 დეკემბერი, 1898 წ.**

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

**ქართული, სომხური და სპარსული წყაროების მიხედვით, საქართველოს ვილაიეთში ამ პერიოდისათვის მოქმედებდა თოთხმეტზე მეტი სახეობის სამონღოლო ვალდებულება-გადასახადი, რომლებსაც საკუთარი სახელწოდებანი ჰქონდათ, ხოლო ქართველები მათ, საზოგადოდ, სათათროს უწოდებდნენ.**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ამჟამად მოქმედი საგადასახადო სისტემა მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. თავისი ხასიათით ეს სისტემა ანტისოციალურია და აბსოლუტურად უგულებელყოფს ხალხის რეალურ შესაძლებლობებს. ქვემოთ გთავაზობთ მონღოლი დამპყრობლების მიერ დაწესებული ხარკისა და ბეგარის ჩამონათვალს, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს, ზუსტად დაადგინოს, როგორ „წავიდა წინ“ საქართველოს ხელისუფლება გადასახადების მომატების საქმეში.**

# მონღოლური გადასახადები და სამხედრო ბეგარა

XIII საუკუნის 50-იანი წლებიდან მონღოლთა სახელმწიფოში ახალი ხანა დაიწყო — დიდი ქვეყნების დაპყრობები ძირითადად დამთავრდა, რბევითა და ალაფით შეძენილმა შემოსავალმა იკლო, არსებული საგადასახადო სისტემა უკვე ვერ უზრუნველყოფდა უზომოდ დიდი იმპერიის შესანახ ხარჯებს. საჭირო შეიქნა გადასახადების გადიდება, მოსაწესრიგებელი იყო სამხედრო ორგანიზაციაც.

გადასახადებისა და სამხედრო ვალდებულებათა განსაზღვრისათვის საჭირო იყო, მონღოლებს ზედმიწევნით სცოდნოდათ, თუ ქვეშევრდომ ქვეყნებს რა რაოდენობის ჯარისა და რაოდენი შემოსავლის მოცემა შეეძლოთ. ამ მიზნით მათ ყველა თავიანთი სამფლობელო აღწერეს.

**...აღწერა მოხდა 1254 წელს, მანგუ ყაენის დროს**. მონღოლებს აუწერიათ ყველაფერი (ადამიანები, პირუტყვი, ხეები, მიწა, ყანა, ვენახი, ბაღი, ბოსტანი, სათევზაო ადგილები — მდინარეები, ტბები, ზღვები და სხვ.), რასაც კი შემოსავლის მოცემა შეეძლო, რაკი მონღოლებს ლაშქარში წასაყვანი მამაკაცები აინტერესებდათ, ამიტომ დავთარში შეუტანიათ 15-დან 60 წლამდე მამაკაცები.

მონღოლებმა გადასახადი დაადეს ყველას და ყველაფერს: სოფლის მეურნეებს, ვაჭრებს, ხელოსნებს, მეთევზეებს, მაღაროში მომუშავეთ, მიწას, მიწის ნაყოფს, ვაჭრობას და ა.შ. გაათავისუფლეს მხოლოდ მოხუცნი, ბავშვები, ქალები, ყოველგვარი რელიგიური კულტის მსახურნი, ეკლესია და მათი მიწა-წყალი (ესენი დავთარში არ შეიტანეს).

**მონღოლთა იმპერიაში დადგენილია სულ 40-მდე სახეობის სამონღოლო ნატურითი და შრომითი გადასახადი.** ცხადია, ყველა ერთდროულად მოქმედი არ იყო, მათ შორის მხოლოდ ძირითადი გადასახდელები წარმოადგენდა მუდმივს და საყოველთაოს.

ქართული, სომხური და სპარსული წყაროების მიხედვით, საქართველოს ვილაიეთში ამ პერიოდისათვის მოქმედებდა თოთხმეტზე მეტი სახეობის სამონღოლო ვალდებულება-გადასახადი, რომლებსაც თავიანთი სახელწოდება ჰქონდათ, ხოლო ქართველები მათ, საზოგადოდ, **სათათროს** უწოდებდნენ.

**მალი** ეწოდებოდა სოფლის მეურნეობაზე დადებულ გადასახადს. იგი აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულადად...

**ყაფჩერი,** ქართულად **საბალახე,** აიღებოდა პირუტყვიდან — ყოველ ას სულზე ერთი სული (მომდევნო ხანებში მონღოლები ამ გადასახადს ფულადაც იღებდნენ 1-10 დინარამდე).

**ულუფას** ქართველები **ძლვენსაც** უწოდებდნენ. ის განკუთვნილი იყო მონღოლი მოხელეების სასარგებლოდ. ძლვენს შეაწერდნენ სოფელს, რომელსაც ათასეულისთავისათვის (ნოინისათვის) თითო კრავი და თითო დრაჰკანი უნდა გაეღო, ხოლო ათიათასისთავისთვის (დუმანნოინისათვის) — ერთი ცხვარი და ორი დრაჰკანი. სოფელში მოსული მონღოლი მოხელის ცხენის ქირაც, **მიზდი**, სოფელს უნდა გადაეხადა, დღეში სამი თეთრის ოდენობით.

**ტამღა** (დამღა) იყო სავაჭრო გადასახადი 3 პროცენტის რაოდენობით, ე.ი. ყოველ 100 თეთრის ნასყიდობაზე აიღებოდა 3 თეთრი. ტამღას იხდიდნენ ვაჭრები და ხელოსნები...

**საიამე** ითვალისწინებდა როგორც შრომით, ისე ნატურით ვალდებულებას. მონღოლებმა გზებზე სადგურები (იამები) ააგეს, სადაც გზად მიმავალი მონღოლი მოხელის დასახვედრად და ღამის გასათევად ცხენები, საკვები და სხვა საჭირო რამ უნდა ყოფილიყო მომარაგებული...

არსებობდა სოფლებზე ცალკე ე.წ. **ულაყის** (საფოსტო ცხენის) გადასახადიც. ამ პერიოდის ქართულ წყაროებში ულაყის გადასახადი მოხსენიებული არ არის, მაგრამ მისი არსებობა უეჭველია, რადგან XV ს. საბუთებში მას ხშირად ვხვდებით როგორც უკვე ქართულ გადასახადად ქცეულს...

საქართველოში მოქმედებდა მონღოლური გადასახადი **სატუზღუე...** როგორც დადგენილია, ეს გამოსაღებელი შეიცავდა ძვირფასეულ ქსოვილებსა და ნივთებს. ადგილობრივი ფეოდალი ვალდებული იყო, ასეთი ძვირფასი ნივთები, ანუ თარღუ (ტუზღუ) მიერთმია აქ მობრძანებული მაღალი თანამდებობის პირისათვის ან ყაენის ოჯახის წევრისთვის. თარღუს ზომა განსაზღვრული არ იყო, იგი ფეოდალის სახელით მიერთმეოდა მონღოლ დიდებულს, რადგან საამისო თანხას ან თვით ნივთებს (თუ ამ ადგილას ვაჭარ-ხელოსნები ესახლნენ) იგი სოფლიდან კრეფდა.

**ჰულაგუ ყაენმა** (1256-1265) ჯარის შესანახავად შემოიღო კიდევ ერთი ახალი გადასახადი **თაღარად** წოდებული. თაღარი, ძირითადად, საკვები პროდუქტებისაგან შედგებოდა. მას კრეფდნენ სოფლებში სალაშქროდ მიმავალი ან დაბანაკებული მონღოლი ჯარის გამოსაკვებად. თაღარის ზომა და რაოდენობა სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა იყო. კირაკოს განძაკეცის ცნობით, თაღარი შედგებოდა შვიდი სხვადასხვა გამოსაღებლისაგან. თითოეულ პიროვნებას, ვინც კი სახელმწიფო დავთარში იყო შეტანილი, უნდა გადაეხადა: 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ღვინო, 2 ლიტრა ბრინჯი, 3 თოფრაკი, 2 თოკი, 1 ისარი, 1 ნალი, 1 თეთრი. ამას გარდა, მას უნდა გადაეხადა 20 პირუტყვზე 1 პირუტყვი და 20 თეთრი (ვერცხლის ფული). ეს გადასახადი მოქმედებდა უმთავრესად საქართველოს სომხურ თემებში.

**სამხედრო ბეგარით გამოყვანილი მოსახლეობა ვალდებული იყო, მონაწილეობა მიეღო მონღოლთა ყველა დაპყრობით ომში. ...საქართველოს ლაშქარი მონღოლთა სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. მას ომებში მოწინავე რიგები ეკავა და ბრძოლის პირველი დარტყმებიც გადაჰქონდა. მონღოლთა ომებში საქართველოს მეომართა ხშირი და ხანგრძლივი მონაწილეობა ცნობებით არის დადასტურებული**

**ნემარი** წარმოადგენდა არარეგულარულ გადასახადს, რომელსაც სახელმწიფო კრებდა მაშინ, როცა მას დამატებითი ხარჯი მოსდიოდა ან ფული ესაჭიროებოდა. ნემარის ზომა და შინაარსი იცვლებოდა. მაგ., ერთ-ერთ პროვინციაში ნემარად აულიათ ყოველ ათ სულ პირუტყვზე ორი სული.

**აბუსაიდ ყაენის** (1317-1335 წწ.) ანისის სპარსული წარწერიდან ჩანს, რომ საქართველოში მოქმედებდა: **ტარხი, ბაჟი** და **თერნაგირი**. საფიქრებელია, ეს გადასახადები საქართველოში შემოღებული იყო გვიან, რადგან 1254 წლის აღწერის დროს ქართულ და სომხურ წყაროებში არ იხსენიება.

**ტარხი** იყო ვალდებულება, როცა სახელმწიფო დროდადრო (მაგ., მოუსავლიანობის პერიოდში და ა.შ.) აიძულებდა მოსახლეობას, მიეყიდა დაბალ ფასებში ხაზინისათვის მეურნეობის პროდუქტები („თარხი“), ანდა პირიქით, როცა სახელმწიფოს ფული ესაჭიროებოდა, იგი აიძულებდა ვაჭრებს, მოქალაქეებს, გლეხებს, შეესყიდათ ხაზინიდან თარხი მაღალ ფასებში.

**თერნაგირის** ზუსტი შინაარსი დადგენილი არ არის. ის იყო საქალაქო კარის ბაჟი. გარდა აბუსაიდის წარწერისა, ის გვხვდება იმავე პერიოდის ანისის კერძო პირთა სომხურ წარწერებში (XIV ს. 20-იანი წწ.), სადაც მოხსენიებულია „დიდი თერნაგირი“ და **მცირე თერნაგირი**. ცნობილია, რომ ამ დროს ქ. ანისს ორი კარი ჰქონდა: მცირე და დიდი. როგორც ფიქრობენ, ორგვარი თერნაგირიც აქედან წარმოდგა.

**საელჩო** იყო მონღოლი მოხელის, ელჩის საჭიროებისთვის დაწესებული ულაყისა და ულუფის გადასახადი. ...ელჩთა მიმოსვლის სიხშირის გამო, საელჩო ულუფისა და ულაყის გადასახადი მძიმედ აწვა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას.

**ყაზან ყაენმა** (1295-1304 წწ.) სცადა ელჩთა სამოხელეო წყობილების მოწესრიგება. XVII ს-ში საქართველოში, როგორც დადგენილია, მოქმედებდა გადასახადი **საელჩო ულუფა,** როგორც უცხო სახელმწიფოს მოხელე-ელჩებისათვის დაწესებული ულუფა.

**ბაჟი** იყო საგზაო გადასახადი, რომელიც აიღებოდა სავაჭრო-საქარავნო გზეზე, ქუჩებსა და ხიდებზე სავაჭრო საქონლის გასატარებლად. ბაჟის სიდიდე დამოკიდებული იყო სავაჭრო ტვირთის რაობასა და სიდიდეზე, ამასთან, სატრანსპორტო პირუტყვის რაოდენობასა და გვარობაზე (აქლემი, ვირი...). მთავარ გზებსა და ქალაქებში სპეციალურ მოხელეებს ევალებოდათ ბაჟის აღება და მეკობრეებისაგან გზების დაცვა. საფიქრებელია, მათვე ჰქონოდათ დაკისრებული მგზავრების დაზვერვა სახელმწიფოს უშიშროების მიზნით. ისე, როგორც სხვა სამონღოლო გადასახადებისა, არც ბაჟის ერთიანი ნორმა არსებობდა. ამიტომ საქართველოშიც ჩვეულებრივი იყო ზედმეტად და რამდენიმეჯერ ბაჟის გადახდევინება.

დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლებს შემოღებული ჰქონდათ შრომითი ვალდებულების კიდევ ერთი სახეობა — **ბეგარა. ეს იყო გლეხებზე დაკისრებული იძულებითი მუშაობა სასახლეების, გზების, სარწყავი არხების მშენებლობებზე, ამასთან, მომთაბარე-მეჯოგეებისათვის ტყეების გაჩეხვა, პირუტყვისათვის საკვების მომზადება, მწყემსვა და ა.შ.** საფიქრებელია, საქართველოს ვილაიეთში ასეთი სამონღოლო ბეგარა ან სულ არ მოქმედებდა, ან ძალიან მცირე მასშტაბით იყო, ისიც ადგილ-ადგილ. ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ მონღოლ ყაენებს აქ მუდმივი სარეზიდენციო ადგილები არ ჰქონდათ, სადაც მშენებლობებს ჩაატარებდნენ და სხვ.

**ყაზან ყაენის** პერიოდში (1295-1304), როცა ილხან-მონღოლებმა ისლამი სახელმწიფო რელიგიად აღიარეს, არამუსლიმან მოსახლეობაზე დააწესეს სულადი გადასახადი **ჯიზია, რომელსაც იხდიდნენ ქრისტიანები, ებრაელები, ზოროასტრიზმის მიმდევარნი და სხვ.** ამიერკავკასიაში ჯიზია პირველად ყაზანმა შემოიღო 1295 წელს, მაგრამ 1296 წელსვე გააუქმა იმის შიშით, რომ იგი ადგილობრივ ქართველ და სომეხ ფეოდალებთან ურთიერთობას გაამწვავებდა... ეტყობა, მან კარგად გაითვალისწინა საქართველოში ისედაც მზარდი ანტიმონღოლური განწყობილება. სულ სხვა პოლიტიკას ადგნენ ძველი მონღოლურ-მომთაბარული ცხოვრების მიმდევარი მმართველი წრეები (უმრავლესობა), რომლებმაც რელიგია დაპყრობილი ხალხების ძარცვის საშუალებად აქციეს. ამიტომაც იყო, რომ თვით ყაზან ყაენის პირველმა ემირმა ნავრუზმა, როგორც ქართველი ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, საქართველოში სპეციალური მოხელე გამოგზავნა, „რათა მოაოხრონ“ საქართველოს ყველა ეკლესია, მათ შორის განთქმული ვარძიის მონასტერი, და ყოველგვარი ფასეულობანიც წამოიღონ. ნავრუზის ეს განზრახვა ვერ განხორციელებულა, თუმცა ამ მოხელეს ნახიჭევანის ეკლესიების დაცარიელება მოუსწრია. ნავრუზი და მისი მომხრენი, როგორც ცნობილია, ყაზან ყაენმა გაანადგურა, მაგრამ ყაზანის გარდაცვალების შემდეგ, როგორც კი აღდგა მოწინააღმდეგე დასის ბატონობა, 1307 წელს **მუჰამედ ხუდაბანდა ოლჯაითუ** ყაენმა კვლავ აღადგინა ჯიზია. **ამ პერიოდის სომხური წყარო გვამცნობს, რომ მონღოლებს აუწერიათ საქართველოში მცხოვრები ქრისტიანები და სულზე 40-დან 10-მდე თეთრი დაუწესებიათ.** ქართული და სომხური წყაროები ერთხმად მიუთითებენ ოლჯაითუ ყაენის მიერ საქართველოში ქრისტიანობის აღმოფხვრის განზრახვას, მაგრამ შემდეგ თურმე თვითონვე უარუყვია ეს, რადგან დარწმუნებულა, რომ ასეთი ნაბიჯი დიდ ზიანს მოუტანდა.

მონღოლები ყველა ამ გადასახადს ძირითადად ფულის სახით კრებდნენ.

**ყოველწლიური მონღოლური სამხედრო ბეგარა საქართველოში კომლობრივ-ეკონომიკურ პრინციპზე იყო დამყარებული.**

**მონღოლურ სამხედრო ბეგარას ყალანი ეწოდებოდა.** ყალანი, ქართული წყაროების მიხედვით, გამოსაღების ერთი სახეობაც ყოფილა. როგორც ჩანს, ის ცვლიდა თვით სამხედრო ბეგარას...

**აღწერამ ახალი გადასახადები დააწესა, ძველი დააზუსტა ან გაადიდა, სამხედრო ბეგარაც გააფართოვა და უფრო ორგანიზებული გახადა.** ქართველი და სომეხი ისტორიკოსები აღწერას აფასებენ, როგორც თავსდამტყდარ დიდ ჭირს, რომელმაც ქვეყანა ააოხრა და გაალარიბა. **ფაქტები მოწმობს, რომ აღწერილი სამონღოლო ვალდებულება-გამოსაღებელნი: მალი, ტამღა, საიამე, თაღარი, ნემარი, თარხი, ყალანი, თერნაგირი და სხვ. ხშირად სოფლებისა და ქალაქების მასობრივი დაცარიელების, მოსახლეობის შიმშილით ამოწყვეტის მიზეზი გამხდარა.** მწარმოებელი საზოგადოებისათვის მონღოლური ხარკი მით უფრო მძიმე იყო, რომ მას თავისი ძველი საბატონო ფეოდალური მოვალეობანი კვლავ რჩებოდა.

მონღოლური საგადასახადო სისტემა ქვეყნის განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. **საქმე ის იყო, რომ ქართული ფეოდალური გადასახადები მამაპაპით მოდიოდა და მისი გადიდება ძლიერ ძნელად და იშვიათად ხდებოდა, გლეხის მეურნეობის გადიდება არ იწვევდა გადასახადის გაზრდას და, ამრიგად, გლეხს დაუნჯების საშუალება ჰქონდა. მონღოლები კი მოსახლეობის აღწერას ხშირად ახდენდნენ, რასაც ახალი გადასახადების შემოღება და ძველის გადიდება მოსდევდა.**

...უნდა აღინიშნოს მონღოლური სამხედრო ბეგარის დიდი სიმძიმე. **სამხედრო ბეგარით გამოყვანილი მოსახლეობა ვალდებული იყო, მონაწილეობა მიეღო მონღოლთა ყველა დაპყრობით ომში. ...საქართველოს ლაშქარი მონღოლთა სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. მას ომებში მოწინავე რიგები ეკავა და ბრძოლის პირველი დარტყმებიც გადაჰქონდა.** მონღოლთა ომებში საქართველოს მეომართა ხშირი და ხანგრძლივი მონაწილეობა ცნობებით არის დადასტურებული. მაგალითად, ცნობილ **ალამუთის ომში** შვიდ წელიწადს იმყოფებოდა საქართველოს ლაშქარი. ალამუთი აღებულ იქნა 1256 წლის ნოემბერში. ამას მალე მოჰყვა ბაღდადის სახალიფოს დასაპყრობი ომი, რომელშიც, ასევე, მეფე დავით ლაშას ძე ჯარით მონაწილეობდა. ეს ომი 1258 წლის 10 თებერვალს დამთავრდა ქ. ბაღდადის ძლევამოსილი აღებით. 1259 წელს კვლავ დაიწყო დიდი ომები ეგვიპტის სულთნის ქვეყნების დასამორჩილებლად. ამ ომებს უამრავი ქართველი მეომარი შეეწირა. ეგვიპტეზე ლაშქრობები შემდგომშიც გაგრძელდა.

**მომზადდა საქართველოს ისტორიის ნარკვევების მიხედვით, ტ. III, თბ. 1979**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მართალია, ლიბერასტული მოძრაობა შევარდნაძის რეჟიმის წიაღში ჩაისახა, მაგრამ ზნეობის, მორალისა და ეროვნულობის, ქართული სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული კანონები ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მიიღო. ერი, რომელიც გარყვნილ ცხოვრებას აკანონებს ქვეყანაში ნარკოტიკებისა და ჰომოსექსუალიზმის სახით, განწირულია დასაღუპავად. ეს ხელისუფლება საით მიაქანებს ქვეყანას? თბილისის ცენტრში, საფეხბურთო სტადიონის ქვეშ, ღამის კლუბ „ბასიანში“ გეებისა და ნარკომანების კლუბია გახსნილი და ეს არ იცის ხელისუფლებამ?**

# დემოტრაკიული ტერორი საქართველოში

**სოციალიზმის მტრების მთავარი სამიზნე ეკონომიკის ნგრევა იყო. ეკონომიკური დივერსია და კრიზისის ხელოვნურად გამოწვევა დასავლეთის დაკვეთა იყო, რომელსაც აქტიური შემსრულებლები ჰყავდა საქართველოშიც. ევროპას ეკონომიკური პროგრესი ჰქონდა, რადგან მსოფლიოს ქვეყნები კოლონიებად აქციეს, რომლებსაც ძარცვავდნენ და ამ ნაძარცვით ცხოვრობდნენ. რაც შეეხება რუსეთს, მისმა თითქმის ყველა თაობამ ომი და ნგრევა გადაიტანა, მაგრამ სხვა სახელმწიფოები არ გაუძარცვავს.**

ლიბერასტ **ლევან ბერძენიშვილს** ერთხელ წამოსცდა: რუსეთმა გაგვაზარმაცაო. არა, ბატონებო, რუსეთმა გაგვანებივრა, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა იყო.

ახლა მაინც თუ ვხედავთ, როგორია გაძარცვული და დამონებული საქართველო?! ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებამ ეკონომიკის განვითარებაზე იზრუნოს, თავდაცვაზე ფლანგავს ფულს და მაინც დაუცველები ვართ. სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით საკმარისი იქნებოდა ქართველი ხალხის ღირსეული ცხოვრებისთვის, ქვეყნის სათავეში ამერიკის მარიონეტები რომ არ ისხდნენ. დანაშაულთან ბრძოლა როგორ უნდა მოსთხოვო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **შალვა ხუციშვილს**, რომელმაც პრემია-დანამატი 41-ჯერ აიღო?! ელიტური კორუფცია და ბიუჯეტის ძარცვა აშკარაა. რუსეთის ბაზრის უქონლობამ ხალხი დაამშია, ხოლო მშიერ ხალხს წინააღმდეგობის უნარი აღარ შესწევს. დასავლეთის პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით ქართველი ხალხის გენოციდისკენ არის მიმართული. ეროვნებაც იმიტომ წაგვართვეს, რომ ქართველი კაცის ღირსება დააკნინონ. საქართველოს აზიური ფაროსანაც შეუსიეს, ხოლო, როგორც ამერიკელი მკვლევარი **ჯეფრი სილვერმანი** აღნიშნავს, მწერები და მწვანე საფარის განადგურება სამხედრო პროექტია, რომელსაც ბრიტანეთი აფინანსებს. ეს მწერები კი საქართველოში მოქმედ ამერიკულ ლაბორატორიებში — ქობულეთსა და ქუთაისში გამოჰყავთ და ქართველ ხალხს საცდელ ვირთხებად იყენებენ. ზნეობრივი ფასეულობების ნგრევის შემდეგ დაიწყო ერის მორალური დეგრადაცია, რაც დემოკრატიად შერაცხეს. მოვლენებისა და სიტუაციების მიმართ არაადეკვატური ამერიკის პრეზიდენტის პოლიტიკა უგნურია, რასაც იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადებაც მოწმობს. ამით ქრისტიანი და მუსლიმანი ხალხების სულიერებაზე მიიტანეს იერიში და რელიგიური თანხმობის სიმბოლო სადავო გახადეს. აშშ-მა კარგად გააცნობიერა, რომ შეიარაღებული ძალებით გეოპოლიტიკური გეგმების განხორციელებას ვერ შეძლებდა (კორეა, ვიეტნამი, კამბოჯა), ამიტომ საფინანსო პოლიტიკა შეცვალა და ამ ქვეყნის მთავარი იარაღი სხვა ქვეყნების წინააღმდეგ გახდა ფული, მოგების მთავარი საშუალება კი — ბანკები. **ამერიკელებისთვის უცხო არც ქურდული მენტალიტეტია, რომელსაც დემოკრატიის ნიღბის ქვეშ ავლენენ. სწორედ დემოკრატიულად შეაწერეს 75 მილიონი საქართველოს ბიუჯეტს თავდაცვითი საშუალებების — „ჯაველინების“ — შესყიდვის საბაბით. ამერიკის მარიონეტებმაც შეიწერეს, — აბა, ტყუილად ხომ არ მისცა მათ ამერიკამ ბიუჯეტის თქვლეფის უფლება?** ხელისუფლების წარმომადგენლები სსრკ-ს ლანძღავენ, მაგრამ კომუნისტების დევიზი — „ყველას უნარის მიხედვით, ყველას მოთხოვნის მიხედვით“ — თავიანთ თავზე მოირგეს, როგორც უნდა, ისე ძარცვავენ ბიუჯეტს, ხოლო ხალხი სადღაც ჯუნგლებში დატოვეს ამ „ხალხის რჩეულებმა“. მათი უნარიც მხოლოდ ბიუჯეტის თქვლეფაში გამოიხატება.

მარიხუანის დეკრიმინალიზაციითა და ჰომოსექსუალიზმის დაცვით ქართველი ერის დეგრადაციისკენ მიმავალ გზას ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება უკაფავს ამერიკელ პატრონებს, რაც დემოკრატიული ტერორია. ხალხზე, ახალგაზრდობაზე კი არავინ ფიქრობს, რაც ქვეყნის დასასრულის დასაწყისია. ხელისუფლება ამ პოლიტიკით ცდილობს, ნარკომანების, მეძავებისა და სუტენიორების ცენტრად აქციოს ქვეყანა. დემოკრატიული ტერორი განახორციელეს ერთ-ერთი სასწავლებლის მოსწავლის — **ანზორ სვიანაძის** მიმართ, — ლგბტ თემის წარმომადგენლები რატომ არ მოგწონსო. ყმაწვილი სასწავლებლიდან გარიცხეს და იმედიც გადაუწურეს: სამსახური არ გეღირსებაო. აი ასე დაიწყო ხორცშესხმა ტროცკისტულმა იდეებმა საქართველოში, **ხოლო ყბადაღებული ევროპული ღირებულება — სიტყვის თავისუფლება — იქ თავდება, სადაც ანტიდისკრიმინაციული კანონი იწყებს მოქმედებას.** ჰომოსექსუალიზმი პათოლოგიაა და თავს ვერავინ მოგვახვევს, თუ ჩვენს ფსიქიკაში, ჩვენს შინაგან „მე“-ში ამისთვის ნიადაგი მომზადებული არ არის. ამ მეცნიერულად დადასტურებული თეორიიდან გამომდინარე, **ვეკითხები ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს: რომელი სქესის წარმომადგენლად მიიჩნევთ თავს? შეიძლება, საქართველოში სანთლით საძებარი გახდეს ადამიანი, რომელიც ფულსა და სავარძელზე არ არის გაყიდული? „დაჟინებით ვუმზერ“ ჩვენი ხელისუფლების მიერ რეგრესისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, პარალელს ვავლებ რუსეთის პრეზიდენტის ქმედებებთან და რუსი ერის მშურს.** ფაქტია, რომ ამერიკელთა მცდელობები, დაიმორჩილონ ის ქვეყნები, რომელთა მიმართაც რუსეთსაც აქვს ინტერესი, მიზანს ვერ აღწევს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის ხელისუფლება თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ხოლო ამერიკელების ჰეგემონია დასასრულს უახლოვდება.

**მართალია, ლიბერასტული მოძრაობა შევარდნაძის რეჟიმის წიაღში ჩაისახა, მაგრამ ზნეობის, მორალისა და ეროვნულობის, ქართული სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული კანონები ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მიიღო. ერი, რომელიც გარყვნილ ცხოვრებას აკანონებს ქვეყანაში ნარკოტიკებისა და ჰომოსექსუალიზმის სახით, განწირულია დასაღუპავად.**

ეს ხელისუფლება საით მიაქანებს ქვეყანას? **თბილისის ცენტრში, საფეხბურთო სტადიონის ქვეშ, ღამის კლუბ „ბასიანში“ გეებისა და ნარკომანების კლუბია გახსნილი და ეს არ იცის ხელისუფლებამ?** მიმდინარეობს ტერორი მართლმადიდებლობის ზნეობრივი კრიტერიუმების წინააღმდეგ. მცნება **„არ იმრუშო“** მრუშობის, გარყვნილების, ლგბტ-თა დროშით ჩაანაცვლეს; **არ იპარო** და, ხელისუფლების წარმომადგენლები ლეგალურად ყაჩაღობენ. **არა კაც კლაო** და ზნეობრივი იდეოლოგიის უქონლობამ ახალგაზრდებში აგრესია გაამძაფრა. სულიერად მდიდარი ერი ლიბერალურმა პოლიტიკამ სულიერად გაგვაღატაკა. რატომ გვიკვირს აგრესია? — რასაც ხედავენ, ესმით და გრძნობენ, იმას შესაბამისად მოქმედებენ. ძალის ენით კი თვითონ პრეზიდენტები ლაპარაკობენ (ამერიკა, ჩრდილოეთი კორეა), ამიტომაც ასდის სამყაროს სისხლის სუნი. დღეს საქართველოს ძალიან უჭირს და მინდა, ქართველ საზოგადოებას დიდი პოეტის სიტყვებით მივმართო: **„ახლა კი დროა, შოლომონ, რომა კვლავ დაიქუხოს საქართველომა“.** დიახ, დროა, მართლმადიდებელ რუსეთს მხარში ამოვუდგეთ და გავძლიერდეთ, რათა გადავრჩეთ. როცა „ქართული მარშის“ ინიციატორებს ვკითხე — რატომ ებრძვით მხოლოდ შედეგს და არა ყველა ბოროტების სათავეს, დასავლურ ორიენტაციას-მეთქი, პასუხი ასეთი იყო: თქვენ დაიწყეთ და მე მოგყვებითო. თანამოაზრეები დამეთანხმებიან, რომ დიდი ხანია, საჯაროდ გამოვხატავ უარყოფით დამოკიდებულებას დასავლეთის პოლიტიკისადმი და იმ ხელისუფლებისადმიც, რომელიც მას თავს მახვევს. ამასთანავე, პატივს ვცემ რუსეთის პრეზიდენტს, რომელიც, ამერიკელთა ტოტალური შეტევების მიუხედავად, ეროვნულ ინტერესებს მტკიცედ, სტალინისებურად იცავს (პედერასტები არ მალავენ თავიანთ ორიენტაციას და მე რატომ დავმალო?). დიახ, მიმიფურთხებია დასავლეთისთვის!

„ქართული მარშის“ ინიციატორებსა და „ძალიან ქართველებს“ არ ეყოთ კაცური შემართება, ასე რადიკალურად გამოხატონ თავიანთი პოზიცია. ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში ანალოგიური შეკითხვა დავუსვი **გია კორკოტაშვილს**, რომელსაც შეეშინდა, რუსეთუმეობა არ დამაბრალონო და განაცხადა: ჩვენ რუსეთთან საერთო არაფერი გვაქვსო. **მიგრანტებისა და ჰომოსექსუალების მიმართ ამერიკაში პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც გამოთქვამს პრეტენზიებს და რა, ქართულ ინტერესს ატარებს?** ის, ვინც დღეს პატრიოტიზმზე გაჰყვირის, განა ყველა პატრიოტია? პრემიერის გადადგომას ითხოვენ და ხალხს ამ იდეისთვის აშიმშილებენ „პატრიოტები“. ამას ის პარტია ითხოვს, რომელიც თავს იწონებს ამერიკელ სენატორებთან ნაცნობობით, მათთან სირბილით, რათა მხარდაჭერა მიიღონ და ხელსუფლებაში მოვიდნენ. **ირმა ინაშვილი არც მალავს, რომ ჯერ კიდევ 20 წლის წინათ დადიოდა ბრიუსელში, როცა ნატო-საქართველოს ურთიერთობა დაიწყო. ქალბატონი ირმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის იმ საპარლამენტო კომიტეტის წევრია, რომელმაც 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის ღონისძიებები დაგეგმა, მიუხედავად პატრიარქის გადაწყვეტილებისა, 17 მაისი ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოცხადებულიყო;** ამასთანავე, სიაშია იმ დეპუტატებისა, რომლებმაც 2017 წლის პირველ 4 თვეში უამრავი პრემია-დანამატი მიიღეს. ქვეყნის სათავეში ამერიკის მარიონეტების ცლილება შედეგს არ მოიტანს, ამიტომ დასავლეთის დემოკრატიული ტერორისგან უნდა გავთავისუფლდეთ.

ჭეშმარიტმა პატრიოტებმა გონების თვალი ქვეყნის წარსულს უნდა მიაპყრონ, როგორც თერგდალეულებმა, რომლებმაც განათლება რუსეთში მიიღეს და ქართული სულიერება, პატრიოტიზმი აამაღლეს. უცხო ქვეყნიდან მართული ძალების მიერ პროვოცირებული „წითელი ტერორი“ დემოკრატიულმა ტერორმა ჩაანაცვლა თავისი ანტიდისკრიმინაციული კანონით, გაურკვეველი ე.წ. ტოლერანტობითა და ათასი სიბინძურით. პოსტსაბჭოთა სივრცე არის მსხვერპლი დასავლეთის პოლიტიკისა და დასავლეთისგან კომპენსაცია გვეკუთვნის ჩადენილი ბოროტებისთვის, და არა ჩვენ მიერ კანადაში რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალის დაფინანსება.



**უცხო ქვეყნიდან მართული ძალების მიერ პროვოცირებული «წითელი ტერორი» დემოკრატიულმა ტერორმა ჩაანაცვლა თავისი ანტიდისკრიმინაციული კანონით, გაურკვეველი ე.წ. ტოლერანტობითა და ათასი სიბინძურით. პოსტსაბჭოთა სივრცე არის მსხვერპლი დასავლეთის პოლიტიკისა და დასავლეთისგან კომპენსაცია გვეკუთვნის ჩადენილი ბოროტებისთვის, და არა ჩვენ მიერ კანადაში რეპრესიების მსხვერპლთა მემორიალის დაფინანსება**

**იზა თამაზაშვილი**

**P.S. რამდენიმე წლის წინათ ვნახე ფრაგმენტი ფილმისა, რომლის სიუჟეტმაც გამაოგნა, მაგრამ ახსნა ვერ მოვუძებნე: ერთი მამაკაცი მეორეს სხვადასხვა მეთოდით აწამებდა იქამდე, სანამ წამებულმა არ აღიარა, რომ მწამებელი უყვარს. საქართველო-ამერიკის ე.წ. მეგობრობამ, რომელიც გვეხმარება, დემოკრატიულად ამოგვხდეს სული, და საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულებამ მანიაკი მიხეილ სააკაშვილისადმი (მეტროპოლიტენის სადგურ „ტექნიკურ უნივერსიტეტთან“ ხელმოწერებს აგროვებენ — „შეწყდეს სააკაშვილის დევნა“) ამ ფილმის იდეის ახსნა მაპოვნინა. მეტი დამაჯერებლობისთვის ფსიქიატრსაც მივმართე შეკითხვით: არის თუ არა ფსიქიატრიაში შემთხვევა, როცა წამებულს მწამებელი უყვარს? ეს მხოლოდ სადო-მაზოხისტური გამოვლინებაა, — იყო პასუხი.**

**„შეცდომად მიმაჩნია ჩერჩილის მხრიდან რუსეთისა და სტალინის ქება-დიდების სიტყვების გამოქვეყნება გაზეთ „პრავდაში“. ჩვენში ბევრია ისეთი პასუხისმგებელი მუშაკი, რომლებიც გულუბრყვილო აღტაცებას განიცდიან ჩერჩილის, ტრუმენისა თუ ბირნსებისგან ქება-დიდების მოსმენით. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია. საბჭოთა ლიდერებს არ სჭირდებათ უცხოელი ლიდერების შექება. მე ამგვარი ქება, უბრალოდ, მეჩოთირება კიდეც“.**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინი — როგორც დალაი-ლამა

**როდესაც სტალინის პორტრეტისთვის შტრიხებს ვეძებ და ვალაგებ, ზოგჯერ ესა თუ ის შემთხვევა ან მოგონილი, ან სტალინის ქართული ხრიკი მგონია, ამა თუ იმ ფაქტის გადასამალავად და თავმდაბლობის კიდევ უფრო ხაზგასასმელად, ან რაღაც საიდუმლოებისთვის, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავები ვერ მივხვდებით.**

1945 წლის ნოემბერში, როდესაც გაზეთმა „პრავდამ“, მოლოტოვის მითითებით, გამოაქვეყნა სტალინისადმი მიძღვნილი პანეგრიკი, რომელშიც დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი (იმხანად უკვე ყოფილი) **უინსტონ ჩერჩილი** სიტყვებს არ იშურებდა სსრკ-ის ხელმძღვანელის განსადიდებლად, შავი ზღვისპირა აგარაკზე დასასვენებლად ჩასული სტალინი სრულიად შემთხვევით გაეცნო მას და შავი დღე აყარა მოლოტოვს. სასწრაფოდ გაგზავნილ დეპეშაში სტალინი წერდა:

**„შეცდომად მიმაჩნია ჩერჩილის მხრიდან რუსეთისა და სტალინის ქება-დიდების სიტყვების გამოქვეყნება გაზეთ „პრავდაში“. ჩვენში ბევრია ისეთი პასუხისმგებელი მუშაკი, რომლებიც გულუბრყვილო აღტაცებას განიცდიან ჩერჩილის, ტრუმენისა თუ ბირნსებისგან ქება-დიდების მოსმენით. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია. საბჭოთა ლიდერებს არ სჭირდებათ უცხოელი ლიდერების შექება. მე ამგვარი ქება, უბრალოდ, მეჩოთირება კიდეც.**

**სტალინი“.**

საინტერესოა, რომ სტალინის პირადი არქივის გახსნის შემდეგ გამომზეურდა უამრავი გადამალული დოკუმენტი, რომლებშიც სტალინის უსაზღვრო პატივისცემა და ქება-დიდებაა. საილუსტრაციოდ გაგაცნობთ ერთ-ერთი ამერიკელი ჟურნალისტის მიერ სტალინისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუს, რომელსაც მეორე ამერიკელი ჟურნალისტი, „ნიუორკ თაიმსის“ წარმომადგენელი მოსკოვში 1921 წლიდან, **დიურანტიც** ესწრებოდა. საუბარი გაიმართა 1930 წლის 27 ნოემბერს. ამ საუბრის ჩანაწერი საბჭოთა კავშირში არ გამოქვეყნებულა. საუბრის შემდეგ ჟურნალისტმა თავის გაზეთს დეპეშით გადასცა ინტერვიუს შინაარსი და შთაბეჭდილებები რესპონდენტზე (სტალინზე).

აი დეპეშის ტექსტი, რომელშიც დაცულია, როგორც ინტერვიუს შინაარსი, ასევე შთაბეჭდილებები სტალინზე:

„სტალინი ყველაზე საინტერესო პიროვნებაა მსოფლიოში, მაგრამ სხვა ნაციონალურ ლიდერთა შორის ყველაზე ნაკლებად ცნობილი; ის ცალკე დგას, იდუმალებით მოსილი, როგორც ტიბეტელი ხალხის დალაი-ლამა. ის უკვე ესაუბრა რამდენიმე უცხოელს: 1923 წელს ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ გერმანელს, 1924 წელს — იაპონელ კორესპონდენტს, შეხვდა რამდენიმე დელეგაციის მეთაურს, ამერიკელ კონსულტანტ **კუპერს,** მიმდინარე თვეში მან ორჯერ დაარღვია სიჩუმე და დღეს თქვენს კორესპონდენტს თანმიმდევრულად გაუზიარა თვალსაზრისი მსოფლიოში შექმნილ ვითარებაზე; ნება დართო, შეეფასებინა მისი ხასიათი, შინაგანი ძალა, რომელმაც საშუალება მისცა, ფეხსაცმლის შემკეთებლის ქოხიდან კრემლში მოხვედრილიყო. სტალინის ღმერთი, პლატონის გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, მისი ნებისყოფაა, წარმოუდგენელი ძალა თავშეკავებისა, საკუთარ თავზე გამარჯვება და შემაკავებელი ცენტრების სიმყარე. თქვენი კორესპონდენტისთვის დიდი ადამიანების სულიერი სიძლიერე უფრო მეტადაა საინტერესო, ვიდრე ის, რასაც ისინი ამბობენ. კბილის ტკივილის მსგავსი განცდით გიწევს ლაპარაკი სტალინის აზრებზე, ვიდრე დახატავ მის პორტრეტს, ეს არის სტალინი, რუსეთში და სრულიად მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობის ბელადი, და მისი სიტყვები უნდა იდგეს პირველ ადგილზე.

**სტალინმა** თქვა: — ამჟამინდელი ეკონომიკური კრიზისი მძიმეა და თანდათან დამძიმდება. პერიოდულ კრიზისებს შორის, რომელიც კაპიტალისტურ სისტემას ახასიათებს, ეს ყველაზე მძიმეა, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ბოლო ან კულმინაციური კრიზისია. კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია, შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ბოლო წელიწადმა გამოამჟღავნა მისი ფატალური სისუსტე — კაპიტალიზმი ვერ იარსებებს ბაზრის გარეშე, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთშეჯიბრება ხურავს მათივე ბაზრებს. ამგვარად, ძლიერი სახელმწიფო იძულებულია, გავლენის ქვეშ მოაქციოს უფრო სუსტი. მსოფლიო ომის შედეგად ზოგი ევროპული ქვეყანა უფრო ზარალდება კრიზისისგან, ვიდრე რომელიმე სხვა. ზოგიერთი უფრო სუსტია და ჩამორჩენილი, ამიტომ ძლიერები გამოსავალს ეძებენ მათ ხარჯზე. ბუნებრივია, კრიზისი გაირღვევა იმ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა, რადგან ძაფი იქ წყდება, სადაც სუსტია.

სტალინი ლაპარაკობდა ნელა, რბილი სამხრეთული აქცენტით, წინადადება წინადადებას მიჰყვებოდა ძუნწი მარცვლებითა და ჟესტებით.

**— ფიქრობთ რომ ახალი ომი გარდაუვალია?**



**«ჩვენ ომი არ გვინდა, არც ყველა მათგანს სურს ომი, ჩვენ მზად ვართ, ურთიერთობისთვის (მათ წისქვილზე დავასხათ წყალი), რაც ნიშნავს მათთან ერთად საქმის კეთებას. აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი: მოიტანს თუ არა მოგებას ჩვენ წინააღმდეგ ომი და დიდი იქნება თუ არა რისკი. მათ იციან, რომ ჩვენ ვიომებთ უკანასკნელ ჯარისკაცამდე»**

**სტალინი:** — როდის, სად და რა მიზეზით დაიწყება ეს ომი ვერ ვიწინასწარმეტყველებ, მაგრამ გარდაუვალია, რომ ძლიერი სახელმწიფოების ძალისხმევა — გადალახონ ეკონომიკური კრიზისი, აიძულებს მათ, სძლიონ უფრო სუსტი მოწინააღმდეგეები. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ომს, სანამ გიგანტი სახელმწიფოები ერთმანეთში არ დაიწყებენ ბრძოლას ბაზრებისთვის.

სტალინის ხმა ჯერ კიდევ მშვიდია, მაგრამ ენერგიის მოზღვავება მის ინტონაციაში უკვე იგრძნობა. ის ერთი წუთით გაჩუმდა, თითები ერთმანეთს მიადო და განაგრძო: — **კაპიტალისტური საზოგადოების კანონია ძლიერთა მტაცებლობა სუსტების ხარჯზე, ბევრ ძლიერ ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც ნათლად ხედავენ ამას და ცდილობენ, მიმართონ ყველაზე იოლ საშუალებას — ომს. ზოგჯერ ეს ომები კოლონიური ექსპანსიის ან ექსპედიციის სახეს იღებს, მაგრამ აგრესიის სულისკვეთება არასოდეს კვდება.** მეორე მხრივ, ძლიერ ქვეყნებში არიან შორსმჭვრეტელი ელემენტები, რომლებიც ფრთხილად ანგარიშობენ და ფიქრობენ, რომ ომი, განსაკუთრებით ახალი ომი ევროპაში, ძალიან სარისკოა და მათ შეიძლება მეტი ზარალი მოუტანოს, ვიდრე მოგება. ისინი ცდილობენ, შეაკავონ ჩხუბისთავები და ამგვარად იქმნება გარკვეული წონასწორობა ორ ჯგუფს შორის. საბოლოო შედეგები განისაზღვრება შექმნილი ვითარებით. ორივე ჯგუფი მზადაა, გაანადგუროს სუსტი მტერი და, თუ ეს გაკეთდება ნაკლები ან ყოველგვარი რისკის გარეშე, მაგრამ მოცემულ ვითარებაში, ასეთი ავანტიურა მათთვის არც ადვილია და არც მომგებიანი. მათ შეეძლოთ ეცადათ ამის გაკეთება ჩვენ წინააღმდეგ ხუთი ან ექვსი წლის წინათ, მაგრამ ძალიან დიდხანს იცდიდნენ, ახლა კი უკვე ძალიან გვიანია. **სტალინმა ბოლო სიტყვები ხმის აუმაღლებლად თქვა, მაგრამ ისე ძლიერად, რომ დარტყმასავით გაისმა. მან განაგრძო:**

— თქვენ იცით, რომ **ევროპა შეიარაღებულ ბანაკს ჰგავს, სადაც ხალხს ართმევენ რაც შეიძლება მეტ სახსარს შეიარაღებისთვის, მაშინ, როცა ზოგიერთი ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის შედეგად სანახევროდ გაკოტრებულია.** ასე ველარ გაგრძელდება, სადღაც მაინც გაწყდება. შორსმჭვრეტელი ელემენტები ყველგან ცდილობენ, შეაჩერონ კრიზისი, მაგრამ ისინი უძლურნი არიან. შეხედეთ ჟენევის კონფერენციას — ეს დემონსტაციაა ერთა ლიგის უძლურებისა, გაუმკლავდეს მზარდ საფრთხეს. ცხადია, ყველა ხვდება, რომ ასე ველარ გაგრძელდება.

**— გინდათ, თქვათ, რომ ევროპული სტატუს კვო, ვერსალის შეთანხმებით დადგენილი, ველარ გაგრძელდება?**

**სტალინი:** — არ ვფიქრობ, რომ ვერსალის შეთანხმება შეიძლება გაგრძელდეს. შემდეგ მან გადაჭრით განაცხადა: — არა, არ შეიძლება გაგრძელდეს.

**— დავუშვათ, —** თქვა კორესპონდენტმა, **— ომის მოწინააღმდეგე ელემენტებმა, რომლებზეც თქვენ ლაპარაკობდით, სცადეს, თავიდან აიცილონ საფრთხე მსოფლიო ეკონომიკური კონფერენციების ან სხვა ანალოგიური საშუალებებით. როგორ მოიქცევა ასეთ შემთხვევაში სსრკ?**

**სტალინი:** — უკვე ჩატარდა აგრარული სახელმწიფოების მცირემასშტაბიანი კონფერენციები. ახლა ლაპარაკია უფრო დიდ კონფერენციებზე ხორბლის მწარმოებელი სახელმწიფოებისა. თუ მიგვიწვევენ, მივიღებთ მოწვევას. ჩვენ უკვე გავგზავნეთ **ოსტინსკი** ერთ-ერთ ასეთ თათბირზე, ლაპარაკია ორი-სამი წლის წინათ კანადაში გამართულ ამერიკელი ფერმერებისა და კანადის ხორბლის კონცერნის წარმომადგენელთა თათბირზე, რომელსაც ესწრებოდა ოსტინსკი. ჩვენ მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა ფასების რეგულირების, მიწოდებისა და მოხმარების კოორდინაციის მცდელობაში.

**— გამოდის, თქვენ ვერ ხედავთ, როგორ შეიძლება კაპიტალისტურმა და კომუნისტურმა სისტემებმა იარსებონ გვერდიგვერდ უზრუნველად?**

**სტალინი:** — მათ არ უომიათ ერთმანეთთან ათი წელია, ჩვენ ომი არ გვინდა, არც ყველა მათგანს სურს ომი, ჩვენ მზად ვართ, ურთიერთობისთვის (მათ წისქვილზე დავასხათ წყალი). რაც ნიშნავს მათთან ერთად საქმის კეთებას (კორესპონდენტის შენიშვნა). აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი: მოიტანს თუ არა მოგებას ჩვენ წინააღმდეგ ომი და დიდი იქნება თუ არა რისკი. მათ იციან, რომ ჩვენ ვიომებთ უკანასკნელ ჯარისკაცამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საუბრის განმავლობაში სტალინს არასოდეს გამოუმჟღავნებია არც სისუსტე, არც ყოყმანი და არც ურწმუნოება რუსეთის მიმართ. ის იყურება წინ და არა უკან, ერთხელაც არ უხსენებია სირთულეები“.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**«კაპიტალისტური საზოგადოების კანონია, ძლიერთა მტაცებლობა სუსტების ხარჯზე, ბევრ ძლიერ ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც ნათლად ხედავენ ამას და ცდილობენ, მიმართონ ყველაზე იოლ საშუალებას — ომს. ზოგჯერ ეს ომები კოლონიური ექსპანსიის ან ექსპედიციის სახეს იღებს, მაგრამ აგრესიის სულისკვეთება არასოდეს კვდება»**




## ყურადღება!

**„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.**

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2018 — ეს არის ყვითელი (მიწის) ძაღლის წელიწადი; ურთიერთგაგების, მოთმინების, სტაბილურობისა და სამართლიანობის პერიოდი. წარმატებას მიაღწევენ მომთმენი, მშვიდობისმოყვარე და პრაქტიკული ადამიანები, რომლებიც დაბადებულნი არიან ძაღლის წელიწადში (1922, 1934, 1946, 1958, 1970, 1982, 1994, 2006, 2018), აგრეთვე, ქალწულის, მორიელისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები. რთული პერიოდია, მამლის, გველის, დრაკონისა და ცხვრის (თხის) წელში დაბადებულთათვის.



# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2018 წელს

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

წლის დასაწყისში ვერძებს ელით ცვლილებები, პრაქტიკულად, ყველა სფეროში. ისინი მოთმინებით უნდა დაელოდონ ხელსაყრელ მომენტებს, წარმატების შანსი აუცილებლად გაუჩნდებათ.

**პირადი ცხოვრება.** ძაღლის წელიწადი ბევრი დაოჯახებული ვერძისთვის ბედნიერი იქნება, ურთიერთობა მეუღლესა და ახლო ნათესავებთან განმტკიცდება და მრავალფეროვანი იქნება. თუ მეუღლე კარიერაში წინ წაწევისკენ მიილტვის, ვერძმა ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი, აგრეთვე, მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მშობლებს — დაეხმარონ მათ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაში.

წლის მეორე ნახევარში დაუქორწინებელი ვერძები გაიცნობენ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელს, რომელთან ურთიერთობა შეიძლება ქორწინებით დასრულდეს.

**ჯანმრთელობა.** ძაღლი ვერ იტანს ჯანმრთელობისთვის სახიფათო ჩვევებს, ამიტომ შეეცადეთ, გათავისუფლდეთ მავნე ჩვევებისგან, განსაკუთრებით თამბაქოს მოწევისგან. დააგროვეთ დადებითი ენერგია და მიმართეთ ის სასიკეთო საქმეების საკეთებლად, დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით. ყურადღება მიაქციეთ კვებას — უარი თქვით ჰამბურგერებზე, ჩიფსებსა და კუჭისთვის „მძიმე“ პროდუქტებზე.

**კარიერა.** 2018 წელი ვერძებს ბევრი შესაძლებლობა გაუჩნდებათ დასახული მიზნების მისაღწევად, განსაკუთრებით — ხელოვნებასა და მშენებლობაში. ოღონდ უნდა გაითვალისწინონ, რომ სიჯიუტე და სხვისი აზრის გაუთვალისწინებლობა პრობლემებს შეუქმნით. წლის ბოლოს, არ არის გამორიცხული, დააწინაურონ.

**ფინანსები.** ბევრი ვერძი შეძლებს ახალი ბიზნესის დაწყებას, რომელიც საკმაოდ მომგებიანი აღმოჩნდება და შემოსავლის დამატებითი წყაროც იქნება.. მოერიდეთ ზედმეტ ხარჯებს და ფულის გასესხებას, განსაკუთრებით — ზაფხულის მეორე ნახევრიდან.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები ვერძის ნიშნით დაბადებულთათვის**: მაისი, ივნისი, ივლისი. **რთული პერიოდები**: აპრილი, დეკემბერი.

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

წარმატებას მოგიტანთ იმპროვიზებული მოქმედებები, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით.

**პირადი ცხოვრება.** ბევრ კუროს კარდინალური ცვლილებები ელის პირად ცხოვრებაში. დაოჯახებულებს შეიძლება გაუჩნდეთ ნანატრი შვილი. დასაქორწინებლები კი, არ არის გამორიცხული, შეხვდნენ მომხიბვლელ ადამიანს და ისე შეუყვარდეთ, რომ ლამის თავი დაკარგონ. საზოგადოდ, კუროების ცხოვრება დიდად იქნება დამოკიდებული პირად ურთიერთობებზე, ამიტომ უნდა გაუფრთხილდნენ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას, განსაკუთრებით — მეუღლესა და მშობლებთან.

**ჯანმრთელობა.** დაავადებების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად უნდა დაიცვათ კვების რეჟიმი და სრულფასოვნად დაისვენოთ. მოერიდეთ მძიმე სამუშაოს შესრულებასა და სტრესულ სიტუაციებს. ხშირად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**კარიერა.** მოვლენებით დატვირთული წელიწადია, კარიერაში წარმატების მიღწევის თვალსაზრისით — რთული. შესაძლოა, შეიცვალოთ საქმიანი პარტნიორები, მაგრამ არ შეშფოთდეთ, დასახულ მიზნებს მაინც მიაღწევთ, ოღონდ ამისთვის თავგამოდებით უნდა იშრომოთ.

**ფინანსები.** ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ბევრი შრომა მოგიწევთ. შესაძლოა, მოიძიოთ შემოსავლის დამატებით წყაროები და შეიძინოთ უძრავი ქონება.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები კუროს ნიშნით დაბადებულთათვის**: თებერვალი, მარტი, აგვისტო. **რთული პერიოდები**: ივლისი და დეკემბერი.

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

2018 წელი ტყუპებისთვის აქტიურობისა და ახალი აღმოჩენების პერიოდი იქნება, თუმცა სიზარმაცემ და წინდაუხედავმა მოქმედებამ შეიძლება ცხოვრება გაურთულოთ.

**პირადი ცხოვრება.** ტყუპებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ უპოვიათ ცხოვრების თანამგზავრი, საინტერესო ადამიანთან შეხვედრა ელით, რაც სასიყვარულო ურთიერთობაში შეიძლება გადაიზარდოს და ქორწინებით დასრულდეს, ოღონდ არ უნდა შეეცადონ საკუთარი თავისა და იმ ადამიანის მოტყუებას, რომელმაც მოხიბლა. გადაწყვეტილება უნდა მიიღონ გონებით.

დაოჯახებულებმა ყველაფერი უნდა იღონონ ურთიერთობის განსამტკიცებლად არა მხოლოდ მეუღლესთან, არამედ ახლო ნათესავებთანაც.

**ჯანმრთელობა.** ტყუპებმა, წელი უპრობლემოდ რომ გავლონ ჯანმრთელობის მხრივ, აუცილებელია, ზომიერება დაიცვან ყველაფერში, იქნება ეს კვება, მუშაობა თუ სპორტი.

**კარიერა.** უმრავლესობა ტყუპისა შეძლებს ძველი იდეების განხორციელებას, რაც მათ ხელს შეუწყობს, წინ წაიწიონ კარიერაში. ამის შანსი კი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მიეცემათ. თუ სამსახური და ანაზღაურება არ გაკმაყოფილებთ, შეგიძლიათ ახალი ეძებოთ, ოღონდ ახალი სამსახურის დაწყებისას გულმოდგინედ გაეცანით ხელშეკრულების პირობებს.

**ფინანსები.** ამ წელს ტყუპები, მიუხედავად იმისა, რომ შეძლებენ საკმაო რაოდენობით ფულის გამომუშავებას, თუ თავს არ შეიკავებენ ხარჯვისგან, შემოსავალი შეიძლება გასავალზე ნაკლები აღმოჩნდეს.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები ტყუპის ნიშნით დაბადებულთათვის**: აპრილი, მაისი. **რთული პერიოდები:** მარტი, აგვისტო, ოქტომბერი.

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

ტემპერამენტიანი ლომები 2018 წელს ბევრ წარმატებას მიაღწევენ, თუ კოლეგებსა და ახლობელ ადამიანებთან კონფლიქტებს თავიდან აიცილებენ. **პირადი ცხოვრება.** დაუქორწინებელ ლომებს 2018 წელს სიყვარული ეწვევათ, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ, რომ ძაღლი ვერ იტანს ტყუილსა და ღალატს. და თუ საყვარელი ადამიანის მოტყუებას შეეცდებიან, ეს ცუდად დასრულდება. დაოჯახებულ ლომებს შეიძლება შეექმნათ საყოფაცხოვრებო პრობლემები, მაგრამ შეძლებენ, თავი დააღწიონ რთულ სიტუაციებს.

**ჯანმრთელობა.** ლომის ნიშნით დაბადებულები იშვიათად ავადდებიან, მაგრამ ხშირად ექმნებათ ჯანმრთელობის პრობლემა ძალების არათანაბრად განაწილების გამო. მათი სუსტი წერტილი არის გული. ლომები უნდა შეეცადონ, თავიდან აიცილონ სტრესული სიტუაციები და დაიტვირთონ ფიზიკურად.

**კარიერა.** უწინარესად, გაითვალისწინეთ, რომ აზარტული თამაშები და ფინანსური ავანტიურა კარგს არაფერს მოგიტანთ. კარიერაში წარმატებას მიაღწევენ ის ლომები, რომლებიც დაკავებულნი არიან შემოქმედებითი საქმიანობით — მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები, მხატვრები, განსაკუთრებით — ქალები. ისინი თავიანთი მომხიბვლელობითა და შრომისმოყვარეობით შეძლებენ, წინ წაიწიონ კარიერის კიბეზე და გამდიდრდნენ.

**ფინანსები.** ლომის ნიშნით დაბადებულებს, რომლებსაც აქვთ სამსახური, შეუძლიათ, პირადი ბიზნესი წამოიწყონ და დამატებითი შემოსავალი მიიღონ, ოღონდ ამისთვის პარტნიორები და თანამშრომლები გულმოდგინედ უნდა შეარჩინონ.

**2018 წლის სასიკეთი პერიოდები ლომის ნიშნით დაბადებულთათვის:** თებერვალი, ივნისი, ნოემბერი. **რთული პერიოდები:** მარტი, ოქტომბერი.

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

2018 წლის დასაწყისში ქალწულებს წინა წელს დაწყებული საქმეების დასრულება მოუწევთ, მაგრამ გულმოდგინებისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენით ყველა პრობლემას მოაგვარებენ.

**პირადი ცხოვრება.** დაუქორწინებელმა ქალწულებმა მეტი დრო უნდა გაატარონ მეგობრების გარემოცვაში და აუცილებლად შეხვდებიან ადამიანს, რომელიც ძალიან დააინტერესებთ. იყავით გულწრფელი ურთიერთობაში და ინტერესის ობიექტიც თქვენ მიმართ გულგრილი არ დარჩება.

დაოჯახებული ქალწულების ურთიერთობა მეუღლესთან ახალ ეტაპზე გადავა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ოჯახს, თუმცა თავი უნდა შეიკავონ მეუღლისა და შვილების გაკრიტიკებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში უთანხმოებას თავიდან ვერ აიცილებენ.

**ჯანმრთელობა.** ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კარგი განწყობის შესანარჩუნებლად ქალწულებმა კვების რეჟიმი უნდა დაიცვან და მეტად დაიტვირთონ ფიზიკურად.

**კარიერა.** შეეცადეთ, თავი დაანებოთ კოლეგების გაკრიტიკებას. გაითვალისწინეთ გამოცდილი ადამიანების რჩევები. წარმატებას მიაღწევენ ქალწულები, რომლებიც საქმიანობენ იურისპრუდენციასა და ფარმაცევტიკის სფეროებში.

**ფინანსები.** 2018 წლის ქალწულებს მოუწევთ არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ახლობლების უზრუნველყოფაც საჭირო ფინანსებით, თუმცა ჩვეული პედანტობითა და დაკისრებული მოვალეობის ზედმიწევნით შესრულებით, ყველა საქმეს თავს გაართმევენ.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები ქალწულის ნიშნით დაბადებულთათვის**: ივლისი, აგვისტო. **რთული პერიოდები**: მარტი, დეკემბერი.

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

კირჩხიბებს ყვითელი ძაღლის წელიწადი ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს ჰპირდება. განსაკუთრებით წარმატებული იქნება ზაფხულის პერიოდი.

**პირადი ცხოვრება.** დაუქორწინებელ კირჩხიბებს გაუჩნდებათ შესაძლებლობა, შეხვდნენ საინტერესო ადამიანს და გააბან მასთან სასიყვარულო ურთიერთობა, ოღონდ გამოგონილ იდეალებს არ უნდა გამოედევნონ.

დაოჯახებულებმა კი ურთიერთობა სრულად უნდა გაარკვიონ მეუღლეებთან და უთანხმოებას წერტილი დაუსვან, აგრეთვე, მეტი დრო დაუთმონ შვილებს.

**ჯანმრთელობა.** ბევრმა მუშაობამ და გამოუძინებლობამ შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემები შეგიქმნათ. მეტი იმოძრავეთ და შეეცადეთ, თავიდან მოიცილოთ მავნე ჩვევები — ალკოჰოლის ჭარბი მიღება და თამბაქოს მოწევა.

**კარიერა.** ნუ გარისკავთ, წინდახედულად იმოქმედეთ, ნუ დაუპირისპირდებით კოლეგებს, ხელმძღვანელობას და კარიერაში წარმატება არ დააყოვნებს. სანამ სამუშაო ადგილს გამოიცვლით, კარგად დაფიქრდით: იქნება თუ არა პერსპექტიული ახალი სამსახური.

**ფინანსები.** მოსალოდნელია პატარ-პატარა გართულებები, მაგრამ მომჭირნეობითა და დამატებითი შემოსავლების წყალობით ყველა სირთულეს გადალახავთ.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები კირჩხიბის ნიშნით დაბადებულთათვის**: ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. **რთული პერიოდები**: აპრილი, დეკემბერი.



# რას უნდა ელოდოს მსოფლიო 2018 წელს

**2018 წელი, აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ყვითელი (მიწის) ძაღლის წელიწადია. დაიწყება 2018 წლის 16 თებერვალს და დასრულდება 2019 წლის 4 თებერვალს.**

* წლის ციფრი: 2;
* ბედნიერი ციფრები: 3, 4, 9;
* ფერები: ყვითელი, წითელი, ყავისფერი;
* ქვები: ქარვა, ალმასი, ოპალი;
* ყვავილი: ვარდი, ორქიდეა;
* საუკეთესო პროფესიები ძაღლის წელიწადში დაბადებულთათვის: გამომძიებელი, პედაგოგი, ეკლესიის მსახური, ექიმი, მოსამართლე, ადვოკატი.



2018 წელს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, შესაძლოა, კვლავ გამწვავდეს კონფლიქტები; მაგალითად, აღმოსავლეთ უკრაინაში.

მიუხედავად იმისა რომ სირიაში სისხლისმღვრელი დაპირისპირება ტერორისტებთან, რუსეთის სამხედრო ძალების ჩარევის შედეგად, სირიის სამთავრობო ჯარების ▶



**2018 წელი საკმაოდ დატვირთული იქნება ზოდიაქოს ბევრი ნიშნის წარმომადგენლისთვის, მაგრამ შესაძლებლობების ჯეროვნად შეფასებისა და მუხლჩაუხრელი მუშაობით შეიძლება წარმატების მიღწევა. ამას შეძლებენ შეუპოვარი, შრომისმოყვარე, ახლობლებზე მზრუნველი და საქმის ერთგული ადამიანები. მოიმატებს შემოსავლები, განსაკუთრებით — წლის მეორე ნახევარში.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2018 წელს

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

სასწორები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ერთი უკიდურესობიდან მეორეში და არც 2018 წელი იქნება გამონაკლისი, ამიტომ მათი უმთავრესი პრობლემა ბალანსის დაცვა იქნება.

**პირადი ცხოვრება.** ნამდვილი გრძნობა გულიდან მოდის, ამიტომ გონების ხმას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა დაუგდოთ ყური. დაუქორწინებელ სასწორებს ინტუიცია დაეხმარებათ მათთვის საჭირო ადამიანის პოვნაში; დაქორწინებულებმა მეტი დრო უნდა გაატარონ მეუღლესა და შვილებთან, არც მშობლები უნდა დაივიწყონ.

**ჯანმრთელობა.** ყურადღება უნდა მიაპყროთ თქვენს ორგანიზმს, რომელიც აუცილებლად მოგცემთ ნიშანს, რომ რაღაც რიგზე არ არის. ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას, ეს ცუდ შედეგებამდე მიგიყვანთ. არც დიეტის დაცვა და მეტისმეტი ფიზიკური დატვირთვა წაგადგებათ. შეეცადეთ, ყველაფერში ზომიერება გამოიჩინოთ.

**კარიერა.** თუ იზარმაცებთ ან კარიერისტულ თვისებებს გამოავლენთ, რეპუტაცია ძალიან შეგელახებათ. გამოიჩინეთ კეთილგანწყობა კოლეგების მიმართ და დაკისრებული მოვალეობები გულმოდგინეთ შეასრულეთ, მხოლოდ ასე მიაღწევთ წარმატებას კარიერაში.

**ფინანსები.** ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები — წამოიწყვეთ ახალი ბიზნესი ან მოიძიეთ სპონსორები, რომლებიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებიან. თუ უარს არ იტყვით აზარტულ თამაშებზე, გაკოტრდებით.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები სასწორის ნიშნით დაბადებულთათვის**: მაისი, ოქტომბერი. **რთული პერიოდები:** ივნისი, იანვარი.

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

მორიელებისთვის აქტიურობის წელიწადია. ნებისმიერი მოქმედება იქნება შანსი, მიიღოთ საჭირო შედეგი. ოღონდ ეს მოქმედება არააგრესიული, მშვიდი უნდა იყოს.

**პირადი ცხოვრება.** დაუქორწინებელ მორიელებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შეიძლება ქორწინებით დასრულდეს. დაოჯახებულმა მორიელებმა თავი უნდა შეიკავონ ეჭვიანობისგან მეუღლეების მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მარტო დარჩნენ. ნუ დაადანაშაულებთ ახლობელ ადამიანებს იმაში, რაც არ ჩაუდენიათ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — ბავშვებს.

**ჯანმრთელობა.** თუ უმიზეზო ჭირვეულობას თავს დაანებებთ, ჯანმრთელობის პრობლემები არ შეგექმნებათ. რეჟიმის დაცვა, სწორი კვება და ფიზიკური დატვირთვა — აი თქვენი ჯანმრთელობის საწინდარი, და, რა თქმა უნდა, ბუნების წიაღში ხშირად გასეირნება.

**კარიერა.** კარიერაში წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ, თუმცა, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ შემოდგომაზე. თუ სამუშაო ადგილის შეცვლას მოიწადინებთ, კარგად გააანალიზეთ შემოთავაზებული პირობები, სამომავლოდ იმედგაცრუებული რომ არ დარჩეთ.

**ფინანსები.** არც ერთ შემოთავაზებაზე, რომელიც შემოსავალს მოგიტანთ, როგორი რთულიც უნდა იყოს საქმე, უარი არ თქვათ. გუდმოდგინებითა და მუხლჩაუხრელი შრომით ყველაფერს თავს გაართმევთ. თავი შეიკავეთ ძვირფასი ნივთების შეძენისგან.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები მორიელის ნიშნით დაბადებულთათვის:** მარტი, ივლისი, ნოემბერი. **რთული პერიოდები**: მაისი, თებერვალი.

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

2018 წლის დასაწყისში მშვილდოსნები ბევრ საქმეს დაასრულებენ წარმატებით. კარგი წელიწადია ინვესტიციების ჩასადებად უძრავ ქონებაში.

**პირადი ცხოვრება.** მარტოხელა მშვილდოსნებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც შეიძლება არც ისე ხანგრძლივი აღმოჩნდეს, თუ საყვარელი ადამიანის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებენ.

დაოჯახებულმა მშვილდოსნებმა მეტი მოთმინება უნდა გამოიჩინონ მეუღლესთან ურთიერთობისას და საყვარელი ადამიანი საყვედურებით არ აავსონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია კონფლიქტი, რომლის მოგვარებასაც საკმაო დრო დასჭირდება.

**ჯანმრთელობა.** უარი თქვით ტკბილ, ცხარე და მარილიან საკვებზე, ალკოჰოლურ სასმელზე და რაციონში ჩართეთ მეტი ხილი და ბოსტნეული.

მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად — შეასრულეთ სავარჯიშოები ან დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

**კარიერა.** თქვენი მონდომება და გულმოდგინება ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და დაგაწინაურებთ. ამასთანავე, ახალი საქმის წამოწყებაც წარმატებით დასრულდება და დამატებით შემოსავალს მოგიტანთ.

**ფინანსები.** კარიერაში, წარმატებასთან ერთად, მნიშვნელოვნად მოიმატებს შემოსავლებიც, ოღონდ ფული ეკონომიურად უნდა ხარჯოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასავლები შემოსავლებს გადააჭარბებს.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები მშვილდოსნის ნიშნით დაბადებულთათვის**: აპრილი, ივლისი, დეკემბერი. **რთული პერიოდი:** მარტი, სექტემბერი.

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

თხის რქის ნიშნით დაბადებულებს შეიძლება შეექმნათ პრობლემები, თუ მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებენ და სხვა ადამიანების ინტერესებს არ გაითვალისწინებენ.

**პირადი ცხოვრება.** მარტოხელა თხის რქებს ელოდებათ ლამაზი სასიყვარულო რომანი, რომლის დასრულება ქორწინებით მხოლოდ მათზე იქნება დამოკიდებული.

დაქორწინებულ თხის რქებს მეუღლესთან ურთიერთობის ახალ საფეხურზე ასაყვანად მოუწევთ მეტი მზრუნველობის გამოჩენა. წყენის გულში ჩადება და საყვედურები კი ძალიან დაძაბავს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას.

**ჯანმრთელობა.** შეეცადეთ, მოთოკოთ ემოციები და ნაკლები ინერვიულოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენმა ფსიქიკამ შეიძლება დატვირთვას ვერ გაუძლოს. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, აუცილებლად მიმართეთ სპეციალისტს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**კარიერა.** წლის დასაწყისში რეკომენდებული არ არის სამსახურის გამოცვლა ან ახალი ბიზნესის დაწყება. ამისთვის შედარებით ხელსაყრელი პერიოდია წლის მეორე ნახევარი.

**ფინანსები.** 2018 წელს მოგიწევთ, ეკონომიურად ხარჯოთ ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალებში ჩაეფლობით. დიდი იქნება უძრავი ქონებისთვის ან ბავშვის სწავლისთვის გაღებული ხარჯები. ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად მუხლჩაუხრელად უნდა იშრომოთ.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები თხის რქის ნიშნით დაბადებულთათვის:** იანვარი, აგვისტო. **რთული პერიოდები:** თებერვლის ბოლო — მარტის დასაწყისი, ივნისი.

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

შემოქმედებითი პროფესიის მერწყულებისთვის ეს წელი წარმატებული იქნება, როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერასა და ფინანსებში.

**პირადი ცხოვრება.** მარტოხელა მერწყულებმა წლის დასაწყისშივე შეიძლება გააჩაღონ მგზნებარე რომანი და მოკლე ხანში იქორწინონ კიდეც.

დაქორწინებული მერწყულების ურთიერთობა მეუღლესთან თითქმის იდეალური იქნება. ცხოვრების მეგზური მათ საჩუქრებითა და სასიამოვნო სიურპრიზებით გაანებივრებს.

**ჯანმრთელობა.** პასიურ და არასპორტულ მერწყულებს შეიძლება შეექმნათ ჭარბი წონისა და უძილობის პრობლემა. ამიტომ უნდა მოიწესრიგონ კვების რეჟიმი და მეტი იმოძრაონ — დაიტვირთონ ფიზიკური სამუშაოს შესრულებით ან დაკავდნენ სპორტის რომელიმე სახეობით.

**კარიერა.** კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნება მერწყულებისთვის კარიერაში წინსვლის გარანტია იქნება. წარმატებას მიაღწევენ სამსახურის შეცვლის შემთხვევაშიც.

**ფინანსები.** მოიმატებს მერწყულების თვითდაჯერებულობა და, შესაბამისად, შემოსავლებიც, თუმცა მოუწევთ ახლობელი ადამიანებისთვის ხელის გამართვა.

უძრავი ქონების შეძენა დიდად გაახარებს არა მხოლოდ თვითონ მერწყულებს, არამედ მისი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები თხის რქის ნიშნით დაბადებულთათვის**: თებერვალი, მაისი, ოქტომბერი. **რთული პერიოდები**: ივლისი, დეკემბერი.

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

წყლის ნიშნით დაბადებულ თევზებს 2018 წელს შეუძლიათ ბევრ დასახულ მიზანს მიაღწიონ, თუ დინების მიმართულებით ცურვას შეწყვეტენ.

**პირადი ცხოვრება.** მარტოხელა თევზებს ბევრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდებათ და ელით არაერთი სასიყვარულო თავგადასავალი. მთავარია, არ აჩქარდნენ ცხოვრების თანამგზავრის შერჩევაში და გადაწყვეტილება მიიღონ არა მხოლოდ გულის, არამედ გონების კარნახითაც.

დაქორწინებულ თევზებს მეუღლე მხარში ამოუდგებათ და ეს მათ თავდაჯერებულობას შეჰმატებს პროფესიულ საქმიანობაში.

**ჯანმრთელობა.** თავგამოდებული მუშაობისა და ცხოვრების არასწორი რეჟიმის გამო ბევრ თევზებს შეიძლება დაუქვეითდეს იმუნიტეტი, ამიტომ საჭიროა სპეციალისტთან მისვლა და პროფილაქტიკური პროცედურების ჩატარება 6 თვეში ერთხელ მაინც. აგრეთვე, აუცილებელია სრულფასოვანი დასვენება.

**კარიერა.** თქვენი მონდომება და მუხლჩაუხრეში შრომა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და შეიძლება დაგაწინაურონ. თუმცა ამისთვის, აგრეთვე, საჭიროა პროექტების წარმატებით განხორციელებაც.

**ფინანსები.** თუ შემოქმედებით გეგმებს წარმატებით განახორციელებთ, საკმაო ოდენობით ჰონორარს გამოიმუშავებთ და შეძლებთ, მნიშვნელოვნად გამოასწოროთ საკმაოდ შერყეული ფინანსური მდგომარეობა. ინტუიცია დაგეხმარებათ, ყველაფერი დეტალებამდე გათვალოთ.

**2018 წლის სასიკეთო პერიოდები თევზების ნიშნით დაბადებულთათვის**: მარტი, ივნისი, ნოემბერი. **რთული პერიოდები**: აგვისტო, დეკემბერი.

◀ გამარჯვებით დასრულდა, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის საბოლოო მოგვარებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

2018 წელს მსოფლიოში გაძლიერდებიან ულტრამემარჯვენეები, გამწვავდება რელიგიური დაპირისპირებები, გაღრმავდება სოციალური უთანასწორობა. ამ ფონზე ნელ-ნელა შემცირდება აშშ-ის გავლენა მსოფლიოზე, რუსეთის გავლენა კი ამ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ უფრო მოიმატებს.

2018 წლის გაზაფხულზე დიდი იქნება ავარიებისა და კატასტროფების ალბათობა.

საქართველოში პოლიტიკური ვითარების გამწვავება მოსალოდნელია გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

წარმატებას მიაღწევენ ქართული ფასეულობების დამცველი პოლიტიკოსები. ასპარეზზე შეიძლება გამოჩნდეს ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ბევრი დაუჭერს მხარს.












# საქართველოს ისტორიული გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონატზე კარატეში



**2017 წლის 30 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე იტალიის ქალაქ მონტეკატინი-ტერმეში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში.**

მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელშიც მონაწილეობდა 45 ქვეყნის 400-ზე მეტი წარმომადგენელი, საქართველოს ნაკრებმა, 10 წევრის შემადგენლობით, 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლით ისტორიულ წარმატებას მიაღწია.

ქართველმა კარატისტებმა ურთულეს ორთაბრძოლებში შთამბეჭდავი და უპრეცედენტო გამარჯვება მოიპოვეს და კიდევ ერთხელ ასახელეს სამშობლო, უკვე მსოფლიო დონეზე.

პირველი ადგილი დაიკავეს და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ:

**1. გიორგი ზურაბაშვილი;**
**2. ნიკა ნავროზაშვილი;**
**3. ტატო თავართქილაძე;**
**4. დავით ასლანოვი.**

მეორე ადგილზე გავიდნენ:

**1. მარიამ დათვაძე;**
**2. გიორგი დევდარიანი.**

მესამე ადგილზე გავიდნენ:

**1. ლიზი ალადაშვილი;**
**2. ბექა ზედგინიძე;**
**3. სანდრო გემაზაშვილი.**

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ტექნიკურ სპორტსმენად ქართველი კარატისტი **აკაკი გაგუა** დასახელდა.

ბოლო ერთ წლის განმავლობაში **საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაციამ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე 34 მედალი მოიპოვა: 15 ოქრო, 11 ვერცხლი და 8 ბრინჯაო.**

სამწუხაროა, რომ, არაერთგზის მოწოდებისა და თხოვნის მიუხედავად, ფინანსურად არავინ დაეხმარა ქართველ სპორტსმენებს, რომლებიც ამჯერადაც საკუთარი თანხებით გაემგზავრნენ მსოფლიო ჩემპიონატზე.

ფედერაცია, რომელიც, ყოველგვარი დახმარებისა და დაფინანსების გარეშე, მხოლოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მსოფლიო და ევროსარბიელზე ასეთ წარმატებებს აღწევს, დაფინანსების შემთხვევაში, მედლების რაოდენობას, სულ ცოტა, გაასამმაგებდა.

საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია კიდევ ერთხელ მიმართავს ყველას, ვისაც აქვს სურვილი და ფინანსური შესაძლებლობა, გახდეს ფედერაციის პარტნიორი და მიიღოს მონაწილეობა ღირსეული მომავალი თაობის აღზრდაში.

მიღწეული შედეგებით ფედერაციამ დაამტკიცა, რომ შესწევს უნარი, აღზარდოს და მოამზადოს მსოფლიო დონის სპორტსმენები, რომლებიც კიდევ უფრო მეტ გამარჯვებასა და აღიარებს მოუტანენ საქართველოს.

**2018 წელს ფედერაცია გეგმავს მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში და, ვისაც სურვილი აქვს, ფინანსურად დაეხმაროს ქართველ სპორტსმენებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე გამგზავრებაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდით ამ ნომერზე:**

**555 425 455**

**(გოჩა კაკაბაძე, ფედერაციის პრეზიდენტი).**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

# ღია წერილი

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

## საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ ბაღათერ არაბულს,

## საქართველოს პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ ადერკინ კოპლატაძეს

**მოგმართავთ დიდი პატივისცემითა და მორიდებით. არ შემიძლია, არ აღვნიშნო თქვენი დიდი დამსახურება ერის წინაშე. თქვენ ჩემზე კარგად იცით, რომ სამშობლოსა და ერის სიყვარული არ არის პოლიტიკა. ეს არის პასუხისმგებლობა და მოვალეობა ერის წინაშე, ამიტომ გთხოვთ, მხარი დაგვიჭიროთ ჩვენ, „სრულიად საქართველოს ეროვნულ მოძრაობა 2017“-ს, რათა ერს დავუბრუნოთ ღირსება.**

უწმინდესო, 2015 წლის აპრილში ვიყავი თქვენთან და მოგახსენეთ რუსთავის, ქვემო ქართლისა და, საერთოდ, საქართველოს მდგომარეობის შესახებ. თქვენ დამლოცეთ და წარმატებები მისურვეთ ერის გადარჩენისთვის ბრძოლაში, რაც დავიწყე კიდეც თქვენი რჩევითა და ლოცვით. რადგან ვთვლით, რომ სამშობლოსა და ერის სიყვარული არ არის პოლიტიკა, გთხოვთ, მოუწოდოთ მრევლს ჩვენი მხარდაჭერისკენ.

საქართველოს უახლესმა ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ ხელისუფლების შეცვლას აზრი არ აქვს. არც ერთ არჩეულ მთავრობას განსაკუთრებული სიკეთე არ მოუტანია ერისთვის, ამიტომ არ ვფიქრობთ, განსხვავებით პარტიებისგან, მთავრობის შეცვლას ან ხელისუფლებაში მოსვლას. მოგვწონს თუ არა ეს მთავრობა, სხვა საკითხია, მაგრამ სხვასთან შედარებით მისაღები მთავრობაა. არ არის გამორიცხული, ჩვენი მთავრობა იყოს შიდა და გარე ძალების ზეგავლენის ქვეშ. ამიტომ უნდა დავეხმაროთ, მხარში ამოვუდგეთ და ცოტა მოვთხოვოთ კიდეც, რომ, როგორც ერი, გადავრჩეთ და შევინარჩუნოთ ეროვნული ტრადიციები. ასევე გავუფრთხილდეთ ეროვნულ ტრადიციებს ეთნიკური უმცირესობებისა, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში საუკუნეების განმავლობაში.

ჩვენი მიზანია, ჩვენი და ხალხის მოთხოვნა გავამყაროთ ხელმოწერებით და წარვუდგინოთ მთავრობას შესასრულებლად:

საქართველო თავისი მიწით, წყლით, წიაღისეულით ერის საკუთრებაა. ის ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ ერის წიაღისეულით, უნდა დაიბეგრონ მოგების გადასახადის 50%-ით (რაც შესაძლებელია საგადასახადო სისტემის შეცვლით, ამით არ დავარღვევთ საკუთრებისა და იჯარის კანონს, სამართლიანობაც მეტ-ნაკლებად აღდგება).

„ხალხის, ერის ნება უზენაესია!“

ჩვენი მოთხოვნაა თქვენი მხარში ამოდგომით საგადასახადო სისტემის შეცვლა. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი:

**1. 2018 წლიდან პენსია გახდეს 350 ლარი;**

**2. პენსიონერზე საპენსიო კრედიტი გაიცეს უპროცენტოდ ან მინიმალური პროცენტით;**

**3. პენსიონერის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახს ერთი წლით გაუგრძელდეს პენსიის გადახდა;**

**4. ომის ვეტერანების დანამატი გახდეს 100 ლარი;**

**5. მეანაბრეებს ვალი დაუბრუნდეს ეტაპობრივად 6-8 წლის განმავლობაში;**

**6. მეანაბრეებს, რომლებსაც აქვთ ბანკის ვალი ან ბინა დაკარგული იპოთეკით, ვალი დაუბრუნდეს უმოკლეს ვადაში.**

**ჩვენი პენსიონერი არ უნდა იყოს სხვა ქვეყნის პენსიონერის მოჯამაგირე (ამონაწერი „სრულიად საქართველოს ეროვნული მოძრაობის 2017“-ის პროგრამიდან).**

თქვენი პასუხის შემდეგ დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას საგადასახადო სისტემის შეცვლის შესახებ.

**პატივისცემით,**

**ელგუჯა ქოჩიაშვილი,**
**„სრულიად საქართველოს ეროვნული მოძრაობა 2017“-ის თავმჯდომარე**

მეგობრები მწუხარებას გამოთქვამენ მედიკო დევდარიანის მეუღლის

**მამუკა ჩუბინიძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

**პანაშვიდი:** ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს (27-28-29 დეკემბერს).

**მისამართი:** ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონი, მე-2 რიგი, მე-6 კორპუსი, მე-2 სადარბაზო.

**დაკრძალვა:** 30 დეკემბერს, შაბათს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოზე.



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894